№29 (296) ● 3 სექტემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი




## აი, ასეთი ბრალდებებით დახუნძლული წარსდგება მიხეილ სააკაშვილი ქართული მართლმსაჯულების წინაშე 2014 წლის ბოლოს

**თეიმურაზ ქარჩავა:**

## ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, საქართველოსთვის და ანაკლია-პორტის მშენებლობისთვის არის განკუთვნილი



## პოლიტიკური აპოკალიფსის ოთხი ვერსია ანუ თავს უშველეთ, ვიღუპებით!






ვისი დაკვეთით ავრცელებს ქართული პრესა ჭორებს ღარიბაშვილისა და მისი გუნდის დაპირისპირებაზე, თანაც ღარიბაშვილისადმი დიდი სიყვარულის ნიღაბქვეშ?

**ლადო ბედუქაძე:**

## ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# საფრთხის სიგნალი: თუ ქვეყანა ნატოს წევრი არ არის, ესე იგი, რუსეთის კანონიერი ნადავლია?

**ნატო-მ არაერთხელ დაგმო პუტინის მოქმედება უკრაინაში, მაგრამ იოტისოდენადაც ვერ შეძლო რუსი პრეზიდენტის შეჩერება; თუმცა ალიანსს სიტყვების გარდა სხვა შესაძლებლობებიც აქვს, წერს Foreign Policy-ს მიმომხილველი.**

„პუტინის დოქტრინა — რუსეთს აქვს უფლება დაიცვას ნებისმიერ ადგილას მყოფი რუსულენოვანი ხალხი — რისკს უქმნის ნატო-ს წევრებს: ესტონეთს, ლატვიასა და პოლონეთს (ასეა ტექსტში), რომლებშიც ცხოვრობენ რუსულად მოლაპარაკე მოქალაქეები. კრემლის მინიშნებით, თუკი მოსკოვი დაინახავს, რომ მათ საფრთხე ემუქრებათ, ამ ქვეყნების საზღვრებს გადაკვეთს“, — წერს გამოცემა.

2008-2009 წლებში ნატო-ში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი კიორტ ვოლქერის მტკიცებით, ახლა ალიანსი ცდილობს აჩვენოს თავისი ძალა და რუსეთის აგრესიისგან დაიცვას ნატო-ს ის წევრები, რომლებიც ადრე აღმოსავლეთის ბლოკში იყვნენ გაერთიანებული. ამასთან, ძალის ჩვენება არ უნდა იყოს მეტისმეტად მტრული, რომ არ მოახდინოს რუსეთის ტერიტორიული ამბიციების პროვოცირება. ნატოს არასგზით არ სურს მეორე „ცივი ომი“.

„მოკავშირეების დაცვის რაც უფრო მაღალ თამასას დავაწესებთ, მით უარესი იქნება ისეთი ქვეყნებისთვის, როგორებიცაა მოლდავეთი, საქართველო და უკრაინა. ჩვენ თითქოს ვეუბნებით რუსეთს — თუ ქვეყანა არ არის ნატოს წევრი, ესე იგი, ის კანონიერი ნადავლია. ეს საზიფათო სიგნალია“, — აცხადებს დიპლომატი.

უკრაინის კრიზისის დაწყების შემდეგ ნატო აჩვენებს თავის ძლიერებასა და ძალას საბჭოთა ბლოკის ყოფილ ქვეყნებში, მაგრამ ალიანსს შეეძლო ბევრად მეტი გაეკეთებინა; მაგალითად, აღედგინა ელიტური მობილური ძალები, რომლებსაც, როგორც მულტინაციონალურ ძალებს, შეეძლებოდათ, გაემართათ სწავლებები აღმოსავლეთ ევროპაში.

უკრაინის ბიუჯეტის ახლანდელი მდგომარეობა რუსეთს უჩენს ახალ ბერკეტებს. იმისათვის, რომ მოსკოვმა ამ ბერკეტების გამოყენება არ მოინდომოს, საჭიროა ნატო-მ აჩვენოს თავისი მზადყოფნა, მყისიერად უპასუხოს ასეთ საფრთხეს.

ნატო-ს მოქმედებაში არის „უცნობი ფაქტორი“ — კონკრეტულად კი გერმანია. ბერლინში მიაჩნიათ, რომ რუსეთისთვის დამატებითი სადამსჯელო სანქციების დაწესება ვითარების ფუჭი ესკალაციაა. ევროპელები ითვალისწინებენ ომის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და ამერიკელებზე მეტად ეშინიათ მოულოდნელი გარემოებებისა და მისი შედეგების, მანკიერი წრეებისა და სპირალების, რომლებსაც ომისკენ მივყავართ.



გერმანიის ხელისუფლების ყოყმანი გასაგებია, მაგრამ ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნება მაინც უპირველესი საზრუნავია. ამ სტაბილურობას შევინარჩუნებთ არა მხოლოდ ნატო-ს წევრი-ქვეყნების საზღვრების, არამედ ჩვენი პარტნიორების ტერიტორიული მთლიანობის დაცვითაც. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოსა და უკრაინას ნატო-ს ოფიციალური პარტნიორის სტატუსი აქვთ.

როგორც კი ნატო ყოყმანს იწყებს და სათანადო პასუხს არ სცემს რუსეთის აგრესიას, მოსკოვს ხელ-ფეხი ეხსნება. რუსეთისთვის უნდა არსებობდეს მკაფიო ზღვარი, რომლის გადალახვა მათ არ მოუნდებათ და არც შეეძლებათ.

# დასავლეთს არ სურს საქართველოს მიღება თავის კლუბში



**„მთელი მსოფლიო დიდი ყურადღებით თვალს ადევნებს უკრაინასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ამასობაში კი ახლოვდება გადამწყვეტი დრო კიდევ ერთ ქვეყანასთან ურთიერთობაში, რომელსაც დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში ცენტრალური ადგილი უკავია: ეს არის პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქართველო“, — ვკითხულობთ The Wall Street Journal-ში.**

ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას ხელი უნდა შეუწყოს უელსის სამიტმა, თუმცა მისი წევრი-ქვეყნების ზოგიერთი ლიდერი ყოყმანობს.

ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევიან ევროკავშირი და ნატო ამ ვითარებაში. პუტინი ცდილობს, ქვეყნების ერთი ნაწილი სხვებს დააპირისპიროს. საქართველო, სომხეთი, მოლდავეთი და ბელორუსი — იგი კვლავ ყოფს ევროპას აღმოსავლეთად და დასავლეთად.

საქართველოს აშკარა სურვილია, მიეკედლოს ევროპას, მაგრამ იგი სრულად ვერ აკონტროლებს თავის ტერიტორიას: 2008 წლიდან მოყოლებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთს აქვს ოკუპირებული.

სახელმწიფოთა ერთი ნაწილი შიშობს, რომ საქართველოსთვის ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმის — მაპის შეთავაზება მოსკოვის პროვოცირებას მოახდენს. ამის ნაცვლად ნატო-ს ხელმძღვანელობა უელსში, სავარაუდოდ, გამოაცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს, თუმცა ეს მხარდაჭერა ბევრად მოკრძალებული იქნება.

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, საქართველოსთან თანამშრომლობის განსამტკიცებლად ღონისძიებათა მნიშვნელოვანი პაკეტი მზადდება.

ევროპელი დიპლომატები კი მეტისმეტად შეწუხებული არიან იმით, რომ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და სიფრთხილეს იჩენენ, ამ პროცესმა პოლიტიკური შურისძიების სახე არ მიიღოს.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მაშინვე გამოაცხადა თავისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ. საქართველოს განსხვავებული მთავრობებისთვის ყოველთვის უცვლელი იყო ეს საკითხი.

# აფხაზეთის ლიდერად... მესამე ცდაზე

2004 წლიდან მოყოლებული, რაულ ხაჯიმბა მესამედ მონაწილეობდა პრეზიდენტის არჩევნებში. ბოლო ცდა წარმატებული აღმოჩნდა — ალექსანდრ ანქვაბის გადადგომის შემდეგ დანიშნულ რიგგარეშე არჩევნებში იგი აფხაზეთის ლიდერად 5 წლით აირჩიეს.

სამი თვის წინ დაწყებული ქუჩის აქციების ერთ-ერთი ლიდერი, 56 წლის ხაჯინბა ძლივს გადაურჩა მეორე ტურს — სეპარატისტული რეგიონის საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მან ამომრჩეველთა 50,57 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო. უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსი ასლან ბჟანია მარათონში 36 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდა. ამომრჩეველთა აქტიურობა 70 პროცენტს შეადგენდა. აფხაზეთის აღმოსავლეთში მცხოვრები ათასობით ეთნიკური ქართველი რიგგარეშე არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე სიიდან ამოიღეს.

რაულ ხაჯიმბამ არჩევნების შემდეგ განაცხადა, რომ მისი უპირველესი საზრუნავი იქნება პოლიტიკური სისტემის რეფორმა და ეროვნული ერთიანობის მიღწევა.

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე საპრეზიდენტო მარათონში ჩართულმა ოთხივე კანდიდატმა ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას „ეროვნული ერთიანობის მიღწევისა და პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებების შესახებ“, ანუ პრეზიდენტის არჩევის შემდეგ შეიქმნება კოალიციური მთავრობა, რომელშიც მიიწვევენ პროფესიონალებს — პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს.

საარჩევნო კამპანიის დროს რაულ ხაჯიმბა რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მოწოდებით გამოდიოდა, თუმცა იქვე განმარტავდა, რომ ეს ურთიერთობა არ ნიშნავს „ასოცირებულ“ კავშირს.

რაულ ხაჯიმბამ მინსკის უშიშროების სკოლა დაამთავრა და შრომითი საქმიანობა ამავე სისტემაში გააგრძელა. შეიარაღებული დაპირისპირებისას, 1992-1993 წლებში, აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო დაზვერვასა და კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა, 2002 წლიდან თავდაცვის მინისტრად მუშაობდა მანამდე, ვიდრე სეპარატისტთა მაშინდელი ლიდერი ვლადისლავ არძინბა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას შესთავაზებდა. 2004 წელს კრემლი აშკარა მხარდაჭერას უცხადებდა მას საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც სერგეი ბაღაფშმა გაიმარჯვა. 2009 წლის არჩევნებშიც დამარცხდა ბაღაფშთან — მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო 2011 წლის არჩევნებში, როცა ალექსანდრ ანქვაბი პრეზიდენტი გახდა, ხაჯიმბას მესამე ადგილი ერგო.



თბილისში აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს არალეგიტიმურად აცხადებენ. ამ ეგრეთ წოდებულ არჩევნებს საქართველოს პრეზიდენტი „არსებული ოკუპაციის ლეგიტიმაციის მორიგ მცდელობად“ აფასებს. აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა ხომ ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებულია საკუთარი მიწა-წყლიდან. ნებისმიერი მცდელობა, რომლის მიზანიც არსებული რეალობის არჩევნების გზით დაკანონებაა, ქმნის დემოკრატიული მმართველობის ილუზიას — ასეთია ქვეყნის პირველი პირის შეფასება.

პუტინმა, რასაკვირველია, გამარჯვება მიულოცა ხაჯიმბას და რუსეთ-აფხაზეთს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების შესახებ მზადყოფნა გამოთქვა.

ევროკავშირმა, ნატომ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა არ აღიარეს ის კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოები, რომელშიც სეპარატისტული აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და მისი შედეგებიც არალეგიტიმურად ცნეს. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება მკაფიო და ურყევია — ეს არის საქართველოს განუყოფელი ტერიტორიები“, — ნათქვამია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. უკრაინისა და აზერბაიჯანის საგარეო უწყებებმაც ანალოგიური პოზიცია გამოხატეს.

**მოამზადა**
**ე. ნაბახტეველმა**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# პოლიტიკური აპოკალიფსის ოთხი ვერსია ანუ თავს უშველეთ, ვიღუპებით!

## ვისი დაკვეთით ავრცელებს ქართული პრესის ნაწილი ჭორებს ღარიბაშვილისა და მისი გუნდის დაპირისპირებაზე, თანაც ღარიბაშვილისადმი დიდი სიყვარულის ნიღაბქვეშ?

მართლაც თუ განუწყვეტლივ იქნება საუბარი კონსპიროლოგიაზე, მოტყუებაზე და ა.შ. ბუნებრივად გაჩნდება ეჭვი თვით მთავრობის წევრებს შორისაც კი, ხოლო ასეთი ეჭვი, როგორც წესი, ძალიან ცუდი დამხმარეა სახელმწიფოს მართვაში, ასევე ცუდი მრჩეველია რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღების დროს.

ქართული მედია რომ ერთობ თავისებური მოვლენაა, ეს ბავშვმაც კი იცის. რა იბეჭდება ქართულ მედიაში, ან რა გადაცემები გადის, ამისი ანალიზი იმდენად ძნელი და რთულია, რომ ასობით პროფესიონალისგან შემდგარი სერიოზული კვლევითი ინსტიტუტიც კი ძნელად თუ გაერკვევა იმ „ლოგიკაში“, რომლითაც ჩვენი ჟურნალისტები თხზავენ ფაქტებს, მერე კი, ამ ფაქტებზე აშენებენ პროგნოზებს, ბოლოს კი, ყველაფერს სქელ აბლაბუდას შემოახვევენ ხოლმე და ინებეთ მზადაა „წარმატებული“ პუბლიკაცია. სინამდვილეში კი საქმე, როგორც ჩანს, კიდევ



უფრო რთულადაა, ვიდრე ქართული მკითხველის, მსმენელისა თუ მაყურებლის გემოვნება და ამ გემოვნებაზე მორგებული პუბლიკაციები. რატომ ავრცელებს ქართული პრესა ჭორებს, რატომ ხლეჩს და აპირისპირებს საზოგადოების ერთ ფენას მეორესთან, ან რატომ თესავს საყოველთაო უნდობლობას ? რატომ ჰგონიათ, რომ თუ დახატავენ აპოკალიფსურ სურათს და გაალამაზებენ საშინლად პირქუშ პროგნოზებს, ეს გადაიქცევა მკითხველისთვის საინტერესო თემად ? სამწუხაროდ, ქართული მედიის დიდი ნაწილი დღეს ასეთ სურათს ხატავს. თუმცა, მივყვეთ მოვლენებს და შევეცადოთ ერთგვარი ნათელი მოვფინოთ მედიის ზოგიერთ თავისებურებას.

ორიოდე კვირის წინათ, ერთმა საკმაოდ პოპულარულმა გამოცემამ ერთობ უცნაური პუბლიკაცია გამოაქვეყნა, იმდენად უცნაური, რომ მართალია მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება კაზანტიპზე იყო გადატანილი, მაგრამ ეს პუბლიკაცია შეუმჩნეველი არ დარჩენილა. პუბლიკაციაში ნათლად და მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, რომ მარგველაშვილი და ღარიბაშვილი თურმე ისეთ დონეზე ყოფილან დაპირისპირებულნი, რომ მათ შორის პაწაწინა შავ კნუტს კი არა, ვეება, გაბურძგნულ, მჩხავანა შავ კატას გაურბენია.

ამავე პათოსით და დაახლოებით იმავე დროს კიდევ ერთი ძალიან ცნობილი ბეჭვდური გამოცემა წერდა — „ალასანია და კომპანია, პლუს მარგველაშვილი და „ნაცმოძრაობის“ ნაშთი შთამბეჭდავი ძალაა, რომელიც მომავალ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ კუდით ქვას ასროლინებს“.

როგორც ჩანს, ეს სქემა პუბლიკაციის ავტორს უფრო რეალურად მიაჩნია, ვიდრე ის, რომ მარგველაშვილი შეიძლება თამაშობდეს, თანაც ეს თამაში შეთანხმებული იყოს თავად ბიძინა ივანიშვილთან იმ ვარაუდით, რომ დასავლელ პარტნიორებთან უკვე ნდობა მოპოვებული მარგველაშვილი მეორე ვადითაც გავიდეს და ყველაფერი ძველებურად დარჩეს. ასეთი სქემა, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა ქართველ მკითხველს, რომელსაც, ალბათ, ურჩევნია ხელისუფლებაში განხეთქილების გამო იყოს დამშეული, ვიდრე სხვა მიზეზით. ასევე ძალიან უნდა ქართველ მკითხველს, რომ ნაციონალების ეშინოდეს, არა? ერთი სიტყვით, ეს ანალიზი იმ მიზანს ემსახურება, რომ მთავრობაში განხეთქილება შექმნას და არა უკვე მომხდარი განხეთქილების ( რომელიც ჩვენი ინფორმაციით, ასეთი მძიმე ფორმით, არც კი არსებობს) ანალიზს. მართლაც თუ განუწყვეტლივ იქნება საუბარი კონსპიროლოგიაზე, მოტყუებაზე და ა.შ. ბუნებრივად გაჩნდება ეჭვი თვით მთვრობის წევრებს შორისაც კი, ხოლო ასეთი ეჭვი, როგორც წესი, ძალიან ცუდი დამხმარეა სახელმწიფოს მართვაში, ასევე ცუდი მრჩეველია რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღების დროს. ერთი სიტყვით, ეს ორი სტატია იმდენად წააგავს ერთმანეთს, რომ სხვა ეჭვებიც ჩნდება...

არანაკლებ საინტერესოა, ის ჭორები, რომლებიც მედიითაც და უიმედოთაც ხშირად ტრიალებს ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. კერძოდ, ის, რომ ცოტა ხანში ჩვენი პრემიერ-მინისტრი უნდა გამოიცვალოს და ჩანაცვლდეს ერთ-ერთი მინისტრით, რომელიც პირადად ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურაა და მართალია, ცოტა ხნის წინათ, კინაღამ ქართული ოცნება დატოვა, მაგრამ კარგი მინისტრია და მშვენიერი პრემიერ-მინისტრი გამოვა მისგან. დიახ, კალაძე ჰყავთ მხედველობაში ამ ჭორის ავტორებს. თუმცა ჩვენი ინფორმაციით, კალაძე, არც ოცნებიდან მიდის და არც პრემიერ მინისტრის სკამზე ოცნებობს. თუ ასე იქნებოდა სრული უაზრობა იქნებოდა კალაძისგან ბლოკის შეკვრა ღარიბაშვილისთვის მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი თამაშობს ოცნების წინააღმდეგ. ან ერთი ინფორმაციაა ტყუილი, ან მეორე, ან ორივე. კალაძე თუ არ ჩაება მარგველაშვილს და ერთად თუ არ შუტიეს ღარიბაშვილს, შეუძლებელია ეყოს ძალები ღარიბაშვილის წასაქცევად.

კიდევ ერთი „ცნობილი“, „პოპულარული“ და „წარმატებული“ ვერსია იმდენად შორს წავიდა, რომ ბარაქალა თქვენს ფანტაზიასო, აღფრთოვანება კინაღამ ვერ დავმალეთ. კერძოდ, ეს „გენიალური“ სცენარი გულისხმობს იმას, რომ სექტემბრიდან ეროვნული ფორუმი, რომელიც საშინლად არ მოსწონს ბიძინა ივანიშვილს განუდგება ოცნებას, მას, რა თქმა უნდა, მიჰყვება კალაძე (რომელიც ბიძინა ივანიშვილს ძალიან მოსწონს!!!) მათ შეუერთდება თბილისის მერი დავით ნარმანია (რომელიც კალაძეზე მეტად მოსწონს ბიძინა ივანიშვილს) და ესენი, ყველანი ერთად, შეუტევენ ერთადერთ კაცს, რომელიც უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის გუნდელად მოიაზრება, ეს კაცი, რა თქმა უნდა, არის ღარიბაშვილი. მოგვიტევოს ამ ჭორის ავტორმა, მაგრამ ასეთი პოლიტიკური აჯაფსანდალი შეუძლებელია, რომ საქართველოსნაირ ქვეყანაში ახლა კი არა და სექტემბრიდან კი არა და, ოთხი ხუთი წლის მერეც, რომ შედგეს. ჯერ ერთი, კალაძე და ფორუმი ერთად ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, ასევე რთული წარმოსადგენია ნარმანია, ფორუმი და კალაძე და ბოლოს, ამხელა ძალების მობილიზება იმისთვის, რომ ღარიბაშვილი შეიცვალოს კალაძის ტიპის პოლიტიკოსით, ცოტა გადაჭრბებული ხომ არ არის? და თუ ამ ყველაფერს კიდევ დავამატებთ იმას, რომ ამ აჯაფსანდალში დაფნის ფოთლად და არომატის მისაცემად ირაკლი ალასანია და რესპუბლიკელებიც არიან შეყვანილნი, ისეთ სურათს მივიღებთ, რომ დავლუპულვართ და ეგაა.



მოკლედ, სახეზე გვაქვს ოთხი „გენიალური“ ვერსია, რომელიც თვით ინდური და თურქული ფილმების ავტორებსაც კი შეშურდებოდათ:

პირველი - მარგველაშვილი ღარიბაშვილის წინააღმდეგ და ნაცებთან ერთად.

მეორე - ალასანია და კომპანია, პლუს მარგველაშვილი ისევ ნაცებთან ერთად და ისევ ღარიბაშილის წინააღმდეგ.

მესამე - კალაძე ღარიბაშვილის წინააღმდეგ (აქ რატომღაც ნაცების გარეშე)

მეოთხე — (მგონი ჩვენც გვიჭირს გარკვევა) კალაძე- ფორუმი-ალასანია-რესპები-ნარმანია ჯიუტად ისევ ღარიბაშვილის წინააღმდეგ (ნაცები, სამწუხაროდ, აქაც დაგვიჩაგრეს)

ხუმრობა იქით იყოს და ეს ოთხი ვერსია ძალიან საინტერესოა, არა იმათთვის, ვინც პროგნოზად მიიღებს ამ ვერსიებს და დაელოდება ახდება ეს პროგნოზები თუ არა, არამედ ეს ვერსიები საინტერესოა იმით, რომ რაღაც მიზანი, რომელიც ამ ხმების გავრცელებას ჰქონდა, როგორც ინფორმაციის ავტორებისთვის, ასევე იმ ხალხისთვის, ვისაც ამის გავრცელება დაევალა, ძალიან სერიოზულ ინტერესს იწ-





6 gv.

# უცნობი სააკაშვილი, ანუ დიდი ღალატის ანატომია

## საბრალდებო დასკვნა მიხეილ სააკაშვილისთვის

წერილის მიზანია დოკუმენტებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ობიექტურად და მიუკერძოებლად აჩვენოს საზოგადოებას მიხეილ სააკაშვილის მიერ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული იმ გამაოგნებელი ავანტურის ანატომია, რომლის ფინალიც 2008 წლის აგვისტოს ომი იყო.

სამწუხაროდ, არც დღევანდელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები, არც მასმედია, არც პოლიტოლოგები, არც ექსპერტები და ანალიტიკოსები, საერთოდ არ იკვლევენ და არ იძიებენ იმ გარემოებებს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომს უძღოდა წინ და ამ ტრაგიკულ მოვლენებს კონტექსტიდან ამოგლეჯილად, მოხლოდ 5-დღიანი ქრონომეტრაჟით განიხილავენ, რაც, თავისთავად ცხადია, ვერ იძლევა სრულფასოვან, დამაჯერებელ სურათს მომხდარის შესახებ.



უფრო მეტიც, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო აბუნდოვანებს და გაურკვეველს ხდის, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა, რატომ განვითარდა პროცესები მაინცდამაინც ასეთი სცენარით და რატომ დამთავრდა იგი მაინცდამაინც იმ შედეგით, რომლითაც დამთავრდა?

2008 წლის აგვისტოს ომის წინა სამწლიან პერიოდს თუ შევისწავლით და საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ქმედებებს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თუ გავაანალიზებთ, სენსაციურ და სკანდალურ აღტყინების ფონზე, ის დაიწყო წინასწარ გათვლილი გეგმის მიხედვით, საჭირო დროს და საჭირო ადგილას.

საქართველოს ხელისუფლების, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის მიერ 2006-2008 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები გვაძლევს ეჭვმიუტანელ საფუძველს დავასკვნათ: მიხეილ სააკაშვილმა მიზანმიმართულად, წინასწარი განზრახვით, თანმიმდევრულად, წინასწარ დამუშავებული სქემის მიხედვით დაგეგმა და განახორციელა წარმოუდგენელი მასშტაბების ღალატი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლითაც მან მოამზადა დასკვნამდე მივალთ: 2008 წლის აგვისტოს ომი არ დაწყებულა სპონტანურად, არ დაწყებულა გაუთვალისწინებელი შეცდომების გამო, არ დაწყებულა მოწინააღმდეგე მხარის პროვოკაციული ნაბიჯების საპასუხოდ, არ დაწყებულა მოუთოკავი ემოციების და პატრიოტული იურიდიული და სამართლებრივი ნიადაგი 2008 წლის აგვისტოს ომის მოსალოდნელი შედეგების ლეგიტიმაციისთვის.

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა იმ უმძიმესი ბრალდების გამო, რომელსაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ვუყენებთ, თუმცა, აქვე გვინდა კატეგორიულად განვაცხადოთ, ჩვენ არაფერს არ ვიგონებთ, არაფერს არ ვთხზავთ, ჩვენ არაფერს არ ვაზვიადებთ, რადგან არსებობს უამრავი მტკიცებულება, უამრავი დოკუმენტური მასალა, რომელიც ეჭვმიუტანლად ამტკიცებს სააკაშვილის ბრალეულობას.

უბრალოდ, საჭიროა სამწლიან მონაკვეთზე გაფანტული ამ ერთი დანაშაულის ფრაგმენტების ერთად თავმოყრა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ამ ფრაგმენტების დამაკავშირებელი საერთო მაგისტრალური ხაზის აღდგენა და მათი ერთ კონტექსტში მოქცევა.

ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილმა ღიად, საქართველოს მოსახლეობის თვალწინ, უამრავი მოწმისა და თვითმხილველის თანდასწრებით ჩაიდინა დანაშაული, რომელსაც დღემდე არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი შეფასება არ მისცემია.

მიხეილ სააკაშვილი 2005 წლის მიწურულს ინტენსიურად იწყებს საუბარს ე. წ. სამხრეთ ოსეთის გარშემო, თუმცა სახელწოდება სამხრეთ ოსეთს ყოველგვარი ეგრეთწოდებულის გარეშე წარმოთქვამს – სამხრეთ ოსეთი! სამხრეთ ოსეთი! და არავითარი ე. წ.

ასე ხდება ყველა მისი გამოსვლისას – საზოგადოებასთან შეხვედრების დროს, სამთავრობო სხდომებზე, პარლამენტში, მასმედიისთვის გაკეთებილ განცხადებებში.

მიხეილ სააკაშვილი ჯიუტად, მიზანმიმართულად ამკვიდრებს ამ ტერმინს – სამხრეთ ოსეთი, თითქოს საქმე სეპარატისტულ წარმონაქმნს კი არა სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეხებოდეს.





სამწუხაროდ, მას არავინ უსვამს კითხვას – რატომ აკეთებთ ამას? რატომ უწყობთ ხელს სეპარატისტული რეჟიმის ლეგიტიმაციას და მის დე იურედ გაფორმებას, მით უმეტეს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს გაუქმდა ოფიციალურად, იმდროინდელი უზენაესი საბჭოს სათანადო დადგენილებით და მას შემდეგ ის არავის აღუდგენია. თქვენ რატომ აძლევთ თავს უფლებას, ასე ერთპიროვნულად, ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტოთ ეს საკითხი?

რა თქმა უნდა, ეს კითხვები მიხეილ სააკაშვილისთვის არავის დაუსვამს (ან ვინ გაუბედავდა?) და ისიც არხეინად იმეორებს და იმეორებს: – სამხრეთ ოსეთი! სამხრეთ ოსეთი! სამხრეთ ოსეთი!



ქართული ტელევიზიების (და არა მარტო ქართულის...), ქართული რადიოარხების (და არა მარტო ქართულის...) არქივები სავსეა ამის დამადასტურებელი ვიდეო და აუდიო დოკუმენტური მასალებით. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამის დამადასტურებელი არაერთი წერილი და განცხადებაა დაბეჭდილი.

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი მოამთავრა და სათანადო იურიდიული და სამართლებრივი „ბაზა“ შექმნა, ის ამ არარ-

სებულ სამხრეთ ოსეთში (!) საპრეზიდენტო არჩევნებს ნიშნავს და სულ მალე საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთი პრეზიდენტი ჩნდება დიმიტრი სანაკოევის



სახით (იმ პერიოდისთვის საქართველოში უკვე ოთხი პრეზიდენტია – ერთი საქართველოსი, ერთი აფხაზეთის და ორიც – „სამხრეთ ოსეთის").

დიმიტრი სანაკოევი, რომელიც თავის დროზე რუსების მიერ კონტროლირებად „მეორე" „სამხრეთ ოსეთში" თავდაცვის მინისტრი ბრძანდებოდა, ოფიციალურად, ალბათ, დღემდე არის მიხეილ სააკაშვილის მიერ „დაარსებული" „სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტი – ყოველ შემთხვევაში, ის ოფიციალურად დღემდე არავის გადაურჩევია და არც თავისი ნებით გადამდგარა.

როგორც მალევე გაირკვა, მიხეილ ყოვლისშემძლის მიერ გამოჩორკნილი სამხრეთ ოსეთის ახლად არჩეული თუ დანიშნული ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უმრავლესობა ფსბ-ს აგენტები იყვნენ, რომლებიც ცოტა ხანში საქართველოდან გაიქცნენ და თავიანთი აგენტობის ამბავი საჯაროდ განაცხადეს, რითაც კიდევ ერთხელ დასცინეს და აბუჩად აიგდეს საქართველოს ხელისუფლება.

რაც ახლა მოვყევით, იმდენად ტრაგიკომიკური და, ამასთან ერთად, იმდენად დაუჯერებელია თავისი სიყეყეჩით, წინდაუხედაობით, აშკარად შიზოფრენიული ქმედებებით, რომ შეიძლება ადამიანს გამოგონილი და შეთხზული ეგონოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დოკუმენტურად დადასტურებული სინამდვილეა, რომელიც ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით მოხდა და მოხდა იმ ქვეყანაში, რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი ჰყავდა, ჰქონდა კონსტიტუცია და ჰყავდა საკონსტიტუციო სასამართლო, ჰქონდა იუსტიციის სამინისტრო, მაგრამ ყველა ეს ინსტიტუტი აბსოლუტურად უმოქმედო და უფუნქციო აღმოჩნდა, რადგან საერთოდ არანაირი რეაგირება, არანაირი შეფასება არ ყოფილა სააკაშვილის მიერ ჩადენილ ქმედებაზე, რომელშიც აშკარად იკვეთება სახელმწიფო ინტერესების ღალატი.

ეს ინსტიტუტები მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩათრეული იქნენ ამ ღალატში და მისი თანამონაწილენი გახდნენ.

მიხეილ სააკაშვილმა ე. წ. „სამხრეთ ოსეთში" საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებით, ფაქტობრივად, ცნო სამხრეთ ოსეთის, როგორც სახელმწიფოებრივი სუბიექტის ლეგიტიმურობა საბჭოთა კავშირის დროს დადგენილი საზღვრების ფარგლებში და ამ არჩევნებით „სამხრეთ ოსეთს" ის ტერიტორიებიც ავტომატურად მიაბა, რომელსაც არჩევნებამდე საქართველო აკონტროლებდა.

მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის საბედისწერო შედეგი განსაკუთრებული სიცხადით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოჩნდა, როცა სეპარატისტებმა სააკაშვილის მიერ მათთვის უკვე დაკანონებული „სამხრეთ ოსეთიდან", რომელშიც სააკაშვილმა ახალგორიც და სხვა ისტორიულად ქართული სოფლებიც შეიყვანა, ძირძველი ქართული მოსახლეობა დედაბუდიანად გამოყარეს და ლტოლვილებად აქციეს.

„სამხრეთ ოსეთმა", მიხეილ სააკაშვილის წყალობით, ტერიტორიული მთლიანობა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში იურიდიულად 2008 წლის აგვისტოს ომამდე აღიდგინა, აგვისტოს ომში კი საქართველოს მიერ „მიტაცებული" „საკუთარი" ტერიტორიები დაიბრუნა და დაიკანონა, რის შემდეგაც მის ცნობას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ხელს არაფერი უშლიდა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით...

მიხეილ სააკაშვილი „სამხრეთ ოსეთის" თემაზე არ შეჩერებულა და ის ჩვეული ენერგიით და ენთუზიაზმით შეუდგა სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას.

მიხეილ სააკაშვილი წინადადებით შედის პარლამენტში, კოდორის ხეობას (დალის ხეობას) გადაერქვას სახელი და ამიერიდან ეწოდოს ზემო აფხაზეთი.

მიუხედავად იმისა, რომ კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი არასოდეს არ რქმევია, მიუხედავად იმისა, რომ კოდორის ხეობაში არასოდეს სახლებულა ერთი აფხაზიც კი და ის ხელოვნურად მიაკერეს კომუნისტებმა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას (როგორც ეს მათ ჩვეოდათ...) საქართველოს პარლამენტმა მაინც უყოყმანოდ დაუჭირა მხარი „ქართველ კოლუმბს" – მიხეილ სააკაშვილს.

არ გაჭრა არც სამეცნიერო საზოგადოების პროტესტმა, არც კოდორის ხეობის მაცხოვრებელთა აღშფოთებამ, სააკაშვილის ინიციატივით და საქართველოს პარლამენტის დასტურით კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი ეწოდა.

პარალელურად სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მიზანში ამოიღეს კოდორის ხეობის დამცველთა რაზმი, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებლებისგან იყო დაკომპლექტებული და 1992 წლიდან გმირულად იცავდა ხეობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1994 წლიდან კოდორელთა სახალხო ლაშქარმა ოფიციალური ლეგიტიმაცია მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ შენაერთს, რომელსაც სახელად „მონადირე" ეწოდა და რომელშიც 350-მდე მებრძოლი იყო გაერთიანებული, საქართველოს ხელისუფლება უხდიდა ხელფასს, უზრუნველყოფდა სამხედრო აღჭურვილობით, მას ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები კურირებდნენ, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ბატალიონი „მონადირე" ბანდიტურ დაჯგუფებად მონათლა და მისი განადგურება გადაწყვიტა.

არადა, ბატალიონმა „მონადირემ" 14 წლის განმავლობაში შეინარჩუნა რეგიონში სტატუს-კვო, შეუნარჩუნა საქართველოს მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილები, კოდორისა და ჩხალთის ხეობა, თუმცა სააკაშვილისთვის ეს ყველაფერი ნაკლებად საინტერესო და ნაკლებად საყურადღებო იყო – მას სხვა გეგმები და სხვა ამოცანები ჰქონდა, რომელთა განხორციელებასაც ბატალიონ „მონადირის" არსებობა ხელს უშლიდა.

დაიწყო ბატალიონის დისკრედიტაციის ფართომასშტაბიანი პიარკამპანია, მისი მორალური განადგურება ათასგვარი ცილისწამებებით და ბრალდებებით.

სიტყვებს სულ მალე საქმეც მოჰყვა – ქართული საჯარისო შენაერთები კოდორის ხეობაში შევიდნენ, ბატალიონის წევრები, აგრეთვე მოსახლეობა განაიარაღეს, ბატალიონის მეთაურმა ემზარ კვიციანმა კი თავს გაქცევით უშველა.

ფაქტია, ქართული საჯარისო შენაერთი კოდორის



ხეობაში ვერ შევიდოდა, თუ არ არსებობდა წინასწარი შეთანხმება და გარიგება რუსულ ჯართან, რომელიც სოფელ ჯვართან იდგა და კოდორის ხეობისკენ მიმავალ გზას კეტავდა.

სწორედ კრემლიდან მოვიდა სპეციალური მითითება, რომ ქართული ჯარი დაუბრკოლებლად გაეტარებინათ.

ქართველ ექსპერტთა და პოლიტოლოგთა ერთი ნაწილის მტკიცებით, კოდორის ხეობის განიარაღების და შემდეგ კი მისი აფხაზეთისთვის გადაცემის სცენარი საქართველოში არ დაწერილა, თუმცა ამ სცენარის განხორციელებისთვის საქართველოს ხელისუფლების იმ ჯგუფს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ სცენარის რეალობად ქცევაში, 50 მილიონი გადაუხადეს.

სახელდება მილიონერი დერიპასკო, რომელმაც ეს თანხა გადაიხადა.



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# პოლიტიკური აპოკალიფსის ოთხი ვერსია ანუ თავს უშველეთ, ვილუპებით!

3 gv.

ვევს. მხედველობაში არ გვყავს მარტო ნაცები (არა, ნაცების ის ფრთა), რომლებმაც ოღონდ მთავრობაში რაიმე განხეთქილებაზე ისაუბრონ და აბსოლუტურად არ აინტერესებთ ტყუილს ამბობენ თუ მართლს. ვინ ხატავს ასეთ სურათს, ვინ არის დამკვეთი, ვის უნდა სასურველის რეალობად წარმოჩენა? ჩვენ უნდა ლოგიკურად ვიმსჯელოთ ვისთვის მოაქვს სარგებლობა ამ ხმებს, ამ სცენარებს და რაში გამოიხატება ეს სარგებლობა?!

დავიწყოთ იმით, მართლაც, რომ არსებობდეს რაიმე დაპირისპირება მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს შორის რას გამოიწვევს ეს? იქნება კი ეს დაპირისპირება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ რაიმე სერიოზული შედეგი მიიღოს „ქართულმა ოცნებამ“ მომავალ არჩევნებში? რა თქმა



უნდა, არა. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით ნამდვილად არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომ მხოლოდ მის განწყობას რაიმე სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ხოლო ღარიბაშვილის წინააღმდეგ მოქმედება მას არ დაუწყია.

რაც შეეხება კალაძესა და ღარიბაშვილის დაპირისპირებას, კალაძე, ნამდვილად არ ჰგავს ისეთ სულელს, რომ არ გაუფრთილდეს მის სკამს და არ გაუფრთხილდეს თავის დღვანდელ მდგომარეობას მთავრობაში. მას მშვენივრად ესმის, რომ, რაც არ უნდა თქვას პრესამ, მაინც საკმაოდ მყიფე მდგომარეობა უკავია (როდის იყო საქართლოში დაცული ენერგეტიკის მინისტრის სკამი აღარც კი გვახსოვს) ასევე მშვენივრად ესმის, რომ შეიძლება ყველაფერი დაკარგოს. ამდენად თუ გარისკავს მხოლოდ მყარი გარანტიების შემთხვევაში და ეს გარანტიები მას არ აქვს.

აქვე არ უნდა დაავიწყდეს პოლიტიკური აჯაფსანდალის, არც ერთ მონაწილეს ის ფაქტი, რომ, მართალია, ჩვენი გულდათუთქული პრესა ყველაფერს წერს ღარიბაშვილისადმი დიდი სიყვარულის ნილაბქვეშ, მაგრამ რეალურად ისინი ცდილობენ საფუძველი შეურყიონ პირადად ღარიბაშვილს. ჯერ ერთი, ამ სტატიების წამკითხავებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ღარიბაშვილი წმენდას ან სულაც რეპრესიებს აპირებს, მეორე ღარიბაშვილმა თუ ვერ შეძლო და ვერ ამუშავა მთვრობა, პლუს, გაიჩინა საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე და მტერიც კი ამ მთავრობაში, ეს ნამდვილად არ ლაპარაკობს იმავე ღარიბაშვილის სასარგებლოდ. დაბოლოს, თავად ღარიბაშვილი, რომელიც ამ ხმებს უნდა თუ არ უნდა, ისმენს, წესით, არ უნდა ენდობოდეს იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენი მედია, „ფოლკლორი“ ან ჭორები მის მტრებად მოიაზრებენ. დასკვნა ძალიან მარტივია - ამ ოთხივე ვერსიის ავტორი არის ერთი ცენტრი და ეს ერთი ცენტრი ცდილობს დააზარალოს, როგორც ღარიბაშვილის აქტივობა, ასევე მისი იმიჯი მსგავსი პუბლიაკაციებითა თუ ჭორებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხში ღარიბაშვილს საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვითარება პოლიტიკურ სცენაზე საბაბს იძლევა ქვეყანაში არეულობის შექმნის. მხედველობაში გვაქვს, რომ სამამულო, ადგილობრივი წარმოების ამ ჭორებს გარე ფაქტორები უკეთებენ ვიზირებას, სანამ ჩვენს ბაზარზე შემოვლენ. გარდა ამისა, იდეა ამ ჭორებისა სამყაროსავით ძველია. როგორ უნდა დაარწმუნო ამერიკელები იმაში, რომ ხარ პროდასავლური ძალა ? უკვე არსებული ხელისუფლებაში მყოფი ძალა უნდა გამოაცხადო პრორუსულად და მისი ლანძღვით ჩაიწერო ქულები. ეს ერთხელ გამოუვიდათ შევარდნაძის წინააღმდეგ, მაგრამ ალასანია- ბოკერია-მარგველაშვილი — რესპების ერთად დაჯგუფება არ ნიშნავს თვისობრივად ახალი ძალის მიღებას, მით უმეტეს, პროდასავლურობის არავითარი გარანტია არ აქვს არავის. ეს იქნება მხოლოდ ამ ადამაინების მექანიკური შეკრება და წარმოუდგენელია, რომ მათ სერიოზული ძალები შუერთდნენ, პირიქით ახლანდელი მხარადმჭერებიდან მინიმუმ ნახევარს დაკარგავენ ამ გაერთიანების შემთხვევაში. ამ ძალებმა და მათმა პატრონებმა სჯობს იმაზე იფიქრონ, რომ ასეთი ჭორებით და ასეთი სქემებით მუშაობა მთვრობას კი არა, ქვეყანას უქმნის საფრხთეს და რომ ის მოქნილი პოლიტიკა, რომელსაც რუსეთთან მიმართებაში ეწევა „ქართული ოცნება“ უნდა მოიწონო და არა პირიქით, იმიტომ, რომ რუსეთთან ასეთი თამაში, როცა შენს საკუთარ მთავრობას პრორუსულობაში სდებ ბრალს, როგორც წესი, ძალიან საშიშია. უკრაინის რესურსების მქონე ქვეყანა დღეს საშინელ დღეშია და მას არავინ ეხმარება იმ დონეზე, რომ ომი მაინც შეაწყვეტინონ, ხოლო პატარა საქართველო რა დღეში ჩავარდებოდა, რუსეთს რომ ის არმია ჩვენსკენ მოეტრიალებინა, ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. თუ ჩვენ მოქნილი პოლიტიკა არ გავატარეთ რუსეთთან მიმართებაში ევროკავშირთან ასოცირების ხელშკრულებაც კი ბუმერანგივით მოგვიტრიალდება. ამდენად რუსეთთან ურთიერთობაში საჭიროა არა პროვოკაციებზე აგებული პოლიტიკა, არამედ კეთილმეზობლური ურთიერთობები, რომელიც ამერიკის გავლენის ზრდას საქართველოში არანაირად არ შუშლის ხელს. საბოლოოდ, მსოფლიო პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე შეიქმნა ისეთი პოზიცია, რომ რუსეთის გინება მხოლოდ რუსეთს აწყობს. შედის და ბომბებს უშენს იმ ქვეყნებს, რომლების მთავრობებიც ლანძღავენ და აგინებენ რუსულ პოლიტიკას, ამდენად, ვინც დღეს ცდილობს ქვეყანაში რუსოფობიურლი განწყობის დამკვიდრებას, ან სულაც ამ ნიშნით რაიმე ტალღის აგორებას, ზუსტად ის არის რუსული პოლიტიკის აგენტი. ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმეს პროვოკაციის მოწყობა უნდა, არც ისე რთულია რუსეთის ვითომ წამოკიდება იმაზე, რომ ტანკებით, თვითფრინავებითა და რაკეტებითაც კი დაიცვას თავისი რომელიმე მოქალაქე უცხო ქვეყანაში...

**ელენე ლიპარტელიანი**

მას შემდეგ, რაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ მედიკამენტების ექიმის რეცეპტის გარეშე გაცემა აკრძალა, ხალხი პანიკამ მოიცვა — წამლები ძვირდებაო. განსაკუთრებით „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები აქტიურობდნენ. ჯანდაცვის ყოფილმა ორთვიანმა მინისტრმა ჭიაბერაშვილმა ბრიფინგიც მოაწყო, სადაც რამდენიმე პრეპარატი წარმოადგინა, 10 პროცენტით გაძვირდაო.

თავისუფალ ბაზარზე ფასების ცვლა ჩვეულებრივი მომენტია, მაგრამ საგანგაშოა, როდესაც პროდუქციაზე ფასების ზრდა პანიკის, მოსახლეობის მოტყუების ხარჯზე ხდება. იმასაც ამბობდნენ, რეცეპტის გამოწერაც ფასიანი იქნებაო. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს არაერთგზის განმარტების გაკეთება დასჭირდათ, რომ რეცეპტის გამოწერა ექიმთან ვიზიტის შემადგენელი ნაწილია, ფასები მედიკამენტენზე ამით არანაირად არ გაიზრდება და არც მოსახლეობას შეექმნება პრობლემები რეცეპტების ასაღებად.



ჭორები ჭორებად, საუბედუროდ, რაც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა დააკლეს, ზო-

# პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, წამალი კი ექიმმა უნდა გამოწეროს!

გიერთმა საააფთიაქო ქსელის მესვეურმა დაამატა ცეცხლზე ნავთი და გააძლიერა მოსახლეობაში დანერგილი პანიკა კონკრეტულად საააფთიაქო ქსელის „ჯი-პი-სის“ საინფორმაციო სამსახურმა მოსახლეობას გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება: „პირველი სექტემბრიდან წამლების გაცემა შეიზღუდება,



ახლავე შეიძინეთ და წინასწარ მოიმარაგეთო“, — წერდნენ მოსახლეობას აგვისტოს შუა რიცხვებში.

მსგავს ქმედებას ხალხზე ზრუნვად ნამდვილად ვერ აღიქვამს ადამიანი. მათი მიზანი ან წამლების ადიდი რაოდენობის რეალიზაცია გახლდათ, ან კიდევ ახალი დროული ინიციატივის დისკრედიტაცია. განა მათ აფთიაქებშიც არ იყიდებოდა წამლები, რომლებიდანაც ბიონარკოტიკს ამზადებდნენ და ამით ბევრი ახალგაზრდა გაუბედურდა კიდეც. მართალია, კომერციული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ფინანსური მოგებაა, მაგრამ, როდესაც ეს ხალხის ჯანმრთელობის, სიცოცხლის ხარჯზე ხდება, ვფიქრობთ, ამორალურია.

რას ფიქრობენ რეცეპტულ სისტემასთან დაკავშირებით თავად ექიმები და პროვიზორები, ამის გასარკვევად ვეწვიეთ პირველსავე შემხვედრ სამედიცინო დაწესებულებას და აფთიაქებს.

**მერაბ მიქელაძე, „მედია კაპიტალის“ პოლიკლინიკის მენეჯერი:**

— ჩემი აზრით, რეცეპტულ სისტემაზე გადასვლა ნაადრევი კი არა დაგვიანებულიც გახლავთ. როდესაც პაციენტი დამოუკიდებლად, ექიმის რჩევის გარეშე იღებს წამალს, ჰგონია, მკურნალობს, მაგრამ ავადმყოფობას, სამედიცინო ენით რომ გითხრათ, აძინებს. ეს გარემოება კი შემდგომში ქრონიკულ დაავადებებში გადადის. ამიტომ ჯობს, ექიმმა გამოწეროს რეცეპტი, რითიც პაციენტიც და მკურნალიც დაზღვეულები იქნებიან. რაც შეეხება ასაკობრივ შეზღუდვას, ესეც დროულია, არ შეიძლება აფთიაქებში სერიოზული პრეპარატების შესაძენად ბავშვების გაგზავნა. ეს არასწორია. როგორც ხედავთ, ჩვენი სამედიცინო დაწესებულება ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს და არანაირი გართულება არ არის და არც იქნება ჩვენს მუშაობაში.

**ნინო ჩინჩალაძე, აფთიაქ „აი-სი-სი“-ს მენეჯერი:**

— ვფიქრობ, რომ რეცეპტებზე გადასვლა ცოტა ნაადრევია. ალბათ, ჯობდა, ჯერ თავად სამედიცინო პერსონალი მოემზადებინათ სათანადოდ. საერთოდ, ჩვენ ძლიერმოქმედი წამლებით არ ვვაჭრობთ, მაგრამ ყოველთვის გვერჩივნა, ექიმის დანიშნულებით გაგვესტუმრებინა პაციენტი.

**ნანა ქალდანი, ფსიქოტროპული აფთიაქის თანამშრომელი:**

— ჩვენ უკვე მიჩვეული ვართ რეცეპტულ სისტემას, რადგან ასეთ სპეციფიკურ წამლებს ვყიდით. პირიქით, ჩვენთვის და პაციენტებისთვის უკეთესია, ექიმის რჩევით შევიძინოთ წამლები.

„პე-ეს-პე“-ში ცენტრალური ოფისის გარეშე ოფიციალურ ინტერვიუზე უარი გვითხრეს, მაგრამ, როგორც გავიგეთ, არც ფასებია გაზრდილი მედიკამენტებზე და არც რაიმე პრობლემა აქვთ.

რაც შეეხება „ჯი-პი-სი“-ს, გავრცელებულ მესიჯებზე ცენტრალურ ოფისში ღიმილით გადაგვამისამართეს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# სოსო მანჯავიძე „პატრიოტთა ალიანსს“ ტოვებს?!

*რამდენიმე დღის წინათ, საკრებულოს დეპუტატი სოსო მანჯავიძე სკანდალში, უფრო სწორედ, როგორც თავად აცხადებს, გაურკვეველ სიტუაციაში გაეხვა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნინო ჯღარკავა ამტკიცებს, რომ მანჯავიძემ ის ბრმა იარაღად გამოიყენა და ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.*

*„2 დღის წინ „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა და თბილისის საკრებულოს წევრმა სოსო მანჯავიძემ, რომელიც იყო ჩემი თანამებრძოლი და გუნდის წევრი, ჩვენს საერთო მეგობრებზე ირმა ინაშვილზე, დავით თარხან-მოურავზე და გიორგი ლომიაზე, თითქმის დამაჯერებლად მომაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს ჩემი მეგობრები იდგნენ ელისო კილაძის გაზეთის უკან და მართავდნენ მას! ეს იყო ჩემთვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია, ამის ნიადაგზე, მწვავედ ვიკამათეთ მე და ელისო კილაძემ! მე შევხვდი ირმა ინაშვილს და დავით თარხან-მოურავს,ეს რა თქმა უნდა აღმოჩნდა ტყუილი და ძალიან ვწუხვარ,რომ სოსო მანჯავიძემ გამომიყენა ბრმა იარაღად!“ — აცხადებს ჯღარკავა. „ქრონიკა +“-ის მთავარი რედაქტორი ელისო კილაძე კი აცხადებს, რომ მანჯავიძე შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გიორგი ზედელაშვილისა და გენინსპექციის ყოფილი უფროსის ზვიადი ჯანყარაშვილის მითითებით ავრცელებს მსგავს ინფორმაციას. რა მოხდა რეალურად და რას პასუხობს ამ ბრალდებებს საკრებულოს დეპუტატი სოსო მანჯავიძე? „საერთო გაზეთი“* **სოსო მანჯავიძეს** *ექსკლუზიურად ესაუბრა.*

— იცით, ჩემთვის გაუგებარია საერთოდ ამ საკითხთან დაკავშირებული დრამატიზმი. ერთს ვიტყვი, არც დავით თარხან-მოურავია უცხოეთის სპეცსამსახური და არც ელისო კილაძეა ჰამასი, რომ მისი დაფინანსება ტრაგედია იყოს. ვიმეორებ, მე თვითონ საკითხის დრამატიზირება ვერ გავიგე რას ნიშნავს. აფინანსებდა თუ არა „ობიექტივი“ ელისო კილაძეს? არ ვიცი, ამ ინფორმაციას, ვერც ვუარყოფ და ვერც დავადასტურებ. მეტს ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება ჩემს მიმართ წაყენებულ ბრალდებას, პირდაპირ გეუბნებით, ჩემთვისაც გაუგებარია რა მოხდა. თავად ბრალდების არსი რაში მდგომარეობს, იმაში, რომ მე ვიცნობ ჯანყარაშვილსა და ზედელაშვილს? დიახ, ვადასტურებ, რომ ზვიად ჯანყარაშვილს 20 წელია ვიცნობ. ხაზს ვუსვამ 20 წელია ვიცნობ, მე მასთან სხვადასხვა საქმიანი ურთიერთობები მქონდა. ახლა ის, რომ მეც და ზვიადიც ვებრძვოდით სააკაშვილის რეჟიმს ბუნებრივია, მხოლოდ გვაახლოებდა და რა, უნდა დავეცილებინეთ ერთმანეთს? უნდა ამოგვეშალა ერთმანეთი მეგობრების სიიდან? მე საერთოდ არ ჩავთვალე საჭიროდ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება, რადგან ვერ გავიგე რაში მდგომარეობს ბრალდება და არც წარმომედგინა, თუ გაუგებრობას გამოიწვევდა ვინმესთვის. მე გახლდით პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი, ასევე უწყებათაშორისი კომისიის წევრი, ახლა ვარ დეპუტატი, იმ ხალხის უმეტესობა, ვინც ებრძვოდა სააკაშვილის რეჟიმს დღეს მთავრობაშია და ბუნებრივია, მე მათ ყველას ვიცნობ და ვერ ვხვდები რა არის აქ გაუგებარი. ხაზს ვუსვამ, მე ამ თემას არ ვეხები, არ მაინტერესებს და არც მგონია, რომ საინტერესო იყოს ვინმესთვის, რაზე გვაქვს საერთოდ საუბარი, გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი.

**— კეთილი, გადავიდეთ ამ გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებზე, რა სიტუაცია დაგხვდათ საკრებულოში?**

— საკრებულოში ძალიან საინტერესო სიტუაცია დამხვდა იმ მხრივ, რომ საკრებულოს ახალი შემადგენლობა საკმაოდ საქმიანად არის განწყობილი. საერთოდ საკრებულოს ფუნქციები გაზრდილია. საკრებულო აღარ არის დეკორატიული ორგანო. საკრებულო ცდილობს დაიბრუნოს თავისი ფუნქციები, რაც მას რეგლამენტით ( შეცვლილი რეგლამენტით) ევალება და ეს განპირობებულია იმითაც, რომ აქ ბევრი აქტიური და პატრიოტულად განწყობილი ადამიანაია. რაც სხვათა შორის, დადებითად განასხვავებს მას პარლამენტისგან. მე ორ კომისიაში ვარ - ეს არის ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინვესტიციების განყოფილება და ურბანული დაგეგმარების განყოფილება, თუმცა ვცდილობ სხვა კომისიის სხდომებსაც დავესწრო. მინდა ვთქვა, რომ თბილისში ძალიან ბევრი საქმე შეიძლება გაკეთდეს ისეთი, რომელსაც ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება და ჩემი და ჩემი კოლეგების ამოცანა სწორედ ის არის, რომ კი არ გადავაყოლოთ ახლა საქმე პოლიტიკურ დებატებს, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ კონკრეტული სერიოზული პროექტები განვახორციელოთ, რომლებიც დადებითი ცვლილებების ინიცირების კატალიზატორი იქნება. უამრავი ასეთი პროექტია, რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაგ: ვმუშაობთ იმაზე, რომ თბილისში აღარ იყოს ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია ნაგავთან. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ თბილისში შემოვიყვანოთ ინვესტორი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას დაიწყებს. ამაში ჩართული გვყავს სერიოზული მეცნიერთა ჯგუფი. ეს პრობლემა რამენაირად უნდა მოვაგვაროთ, რადგან ქალაქი უმძიმეს მდგომარეობაშია. ასევე უმნიშვნელოვანესია ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც მკვეთრად გაუარესდა. მოძრაობის მომატების, ამ მყარი ნარჩენების მართვის შეუძლებლობისა და უხარისხო საწვავის გამო ქალაქის თავზე სმოგია. ამ დროს კატასტროფულად მცირდება მწვანე ნარგავების რაოდენობა. სწორედ ამიტომ ბატონმა მერმა მილიონი ხის დარგვის პროექტი წამოაყენა, რაც ძალიან უსამართლოდ ბევრმა გააქილიკა. არადა, მილიონი ხის დარგვა პრობლემა ნამდვილად არ არის, თუ ჩვენ ამ საკითხს ცოტა ინოვაციურად მივუდგებით. კრწანისის ქედი რომ არის იქ უზარმაზარი რაოდენობის მიწებია და ის არის აბსოლიტურად შიშველი. აი, თუნდაც იქ შეიძლება ამის გაკეთება. შეიძლება ახალი სარეკრიაციო პროექტი ქალაქის გამწვანების, თბილისის ეკოლოგიური სტატუსის მკვეთრი გაუმჯობესების პროექტი წარმოუდგეს საზოგადოებას, რომელიც დამუშავების პროცესშია, ჩემი იდეაა და იმედია, ეს გაკეთდება. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ნაკადების მართვა და ვესაუბრე კიდეც ამ საკითხზე ბატონ ალეკო მარგიშვილს. ჩვენ რეგულარულად ვხვდებით მერიის წარმომადგენლებს, რომ პულსზე ხელი ედოს საკრებულოს, შესაბამისად, პასუხისმგებლობა მერიასაც ჰქონდეს, რაც ძალიან კარგი ამბავია.

ერთი სიტყვით, უამრავი პრობლემაა, რაც უამრავ ხარჯს მოითხოვს. მეტი რა გითხრათ, გაზეთის ფურცლებიც არ გვეყოფა.

**— თქვენ ყოველთვის ხმამაღალი განცხადებებით გამოირჩეოდით, მთავრობის კრიტიკასაც არ ერიდებოდით... როგორ აფასებს, სოსო მანჯავიძე ხელისუფლების მუშაობასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს? ცხელი ზაფხული გავიარეთ, ზოგიერთები პოლიტიკურად ცხელ შემოდგომას პროგნოზირებენ, თქვენ რას იტყვით?**

— ჩვენ ზუსტად იმდენი დრო გვაქვს, რამდენიც უკრაინაში სიტუაციის ამა თუ იმ ფორმით დამშვიდებას დასჭირდება. როგორც კი მოწინააღმდეგე მხარეები რაღაცაზე შეთანხმდებიან, დალაგდებიან, მუდმივი ომი არ არსებობს ხომ, აი, მაგ დროისთვის არსებობს დიდი საფრთხე, რომ ჩვენთან არსებული ბალანსი შეიცვალოს. ახლა რა ვითარებაა ჩვენთან... სააკაშვილის მმართველობის დროს სახელმწიფო აპარატი სრულიად იყო დაკომპლექტებული ამერიკის უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენლებით. მეორეს მხრივ, კი სუსტად, მაგრამ მაინც წარმოდგენილი იყო პრორუსული ვექტორი. პირველი ოქტომბრის შემდეგ აღმსრულებელ ხელისუფლებაში და ძალოვან ბლოკში მოვიდა ხალხი, რომელიც არ არის, არც ამერიკის უსაფრთხოების სააგენტოს, არც ფეესბეს და არც გეერუს კადრი. ხელისუფლების დიდი ნაწილი ქართველმა ხალხმა დააკომპლექტა. ეს არ არის დივერსიული დაჯგუფება, როგორიც ნაცმოძრაობა იყო. ახალი ხელისუფლების თვითდამკვიდრების პროცესი ძალიან რთული და მტკივნეული იყო, რადგან მათ არ იცოდნენ დავუშვათ, როგორ ემართათ, არ იცოდნენ ძალების იდენტიფიკაცია, ვინ ვისი კაცი იყო, რას აკეთებდა და რისთვის აკეთებდა. დიდი საფრთხე არსებობდა ამ ხელისუფლების დესტაბილიზაციის სხვადასხვა სკანდალებისა და სკანდალური საინფორმაციო ნაკადების მეშვეობით, თუმცა ამ გუნდმა მოახერხა სწორი პოზიციონირება ქვეყნის შიგნით. ის რომ ნაცმოძრაობა და მასთან აფილირებული ძალები ცდილობენ რამენაირად უკრაინის პროცესებთან დაკავშირებით ახალი ხელისუფლება რუსეთთან დაპირისპირების რეჟიმში გადააგდონ ცხადია. ესაა მათი ამოცანა. ჩვენი ამოცანა კი, ზესახელმწიფოებთან დაპირისპირება კი არა, გადარჩენაა. აქედან გამომდინარე, მკერდზე მუშტების ბრახუნი და ურაპატრიოტული რიტორიკა მხოლოდ ჩვენ გვავნებს. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ არ შევყოთ თავი ამ ისტორიულ დოლაბებში, რადგან იქიდან თავს მთელს ვერ გამოიტან და თავი თუ ვერ გამოიტანე მთელი, რად გინდა მაშინ ხომ რამე, გაბრაზებული დარჩები, მაგრამ საიქიოს. ჰოდა, მსგავსი პროვოკაციები უნდა ნაცმოძრაობას და მასთან ათასნაირი ხლართებით დაკავშირებულ ხალხს. საქართველოს კი სჭირდება მშვიდობა. ახლა მიტინგები თუ ვინმეს მოუწყვია, მათ შორის, მეც, რაც არ უნდა კეთილშობილი მიზანი გქონდეს უნდა გესმოდეს, რომ უფრო გაგიჭირდება აქ თუ დესტაბილიზაცია წავიდა. თუმცა მე მსგავს არაფერს ველი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი შემოდგომით გვაშინებს, ზოგი ზამთრით და ზოგიც გაზაფხულით გვაშინებდა. მე ვერ ვხედავ ამის წინაპირობას და ვერც პოლიტიკურ ძალას, რომ დესტაბილიზაცია შექმნას. ან რა მოტივით და ლოზუნგით უნდა შეძლონ ეს? ხალხის უკმაყოფილების კონსოლიდაციის ინსტრუმენტი რა არის? ასეთი რამ არ არსებობს. ამიტომ გაუგებარია ეს წამოძახილები, რომ შემოდგომაზე იქნება დესტაბილიზაცია და ა.შ. როგორ, ვინ მოაწყობს? რატომ ავრცელებენ ამ ხმებს? ვიღაცეებს აქვთ ინტერესი, რომ საზოგადოებაში დაძაბულობა არსებობდეს და ამ დაძაბულობის ფონზე რაიმე ტიპის ინფორმაციული აფეთქებით გამოიწვიონ უმართავი პროცესი. ქვეყანაში ახალი სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვევს ამ ქვეყნის გაქრობას პოლიტიკური რუკიდან. ვიმეორებ, არეულობის მიზეზი არ არსებობს, ვიღაც ვიღაცეები ჭორებს ავრცელებენ. აი, ეს არის.



**სოსო მანჯავიძე: „ვიღაცეებს აქვთ ინტერესი, რომ საზოგადოებაში დაძაბულობა არსებობდეს და ამ დაძაბულობის ფონზე რაიმე ტიპის ინფორმაციული აფეთქებით გამოიწვიონ უმართავი პროცესი“.**

**— რაც შეეხება მმართველ გუნდში არსებულ დაძაბულობას — ალასანია, მარგველაშვილი, კალაძე და სხვანი ღარიბაშვილის წინააღმდეგ, ესეც ჭორია, ამასაც ვიღაცეები ავრცელებენ შეგნებულად?**

— მარგველაშვილისა და ალასანიას პოლიტიკური ალიანსი სავსებით შესაძლებელია და იწერება კიდევაც ამის შესახებ, სხვათა შორის ხელისუფლებაშიც იციან, რომ შეიძლება შეიქმნას ასეთი ტიპის ალიანსი. დიახ, ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ამას დრამატიზირება არ სჭირდება. ეს მთელ მსოფლიოში ხდება, კოალიციები იშლება. ეს გადაჯგუფება რომც მოხდეს რა მერე? როგორც წესი, აპოკალიფსურ სურათებს ხატავენ ამასთან დაკავშირებით... დავუშვათ და მოხდა გადაჯგუფება, რა ამის შედეგად სამხედრო გადატრიალება მოხდება? ან ეს ღარიბაშვილის სკამიდან ჩამოგდებას გამოიწვევს? რა მექანიზმით, ვერ ვხედავ მე ამას. ამის შემდეგ ვადამდელი არჩევნების საკითხიც დადგება ალბათ, მაგრამ გამორიცხულია, რომ ამან ქვეყანაში არეულობა გამოიწვიოს. თუმცა მე მაინც არ ველი მსგავს გადაჯგუფებას, თუმცა გამორიცხული არაფერია. რა უნდა მიიღოს ალასანიამ ამით? აი, ამაშიც არის საქმე. ის გადავა ოპოზიციაში ხომ. ოპოზიციაში რატომ უნდა გადავიდეს, როცა მინისტრის პორთფელი აქვს? ესეც არის. დაპისირპირება ყოველთვის არის ყველგან, მაგრამ ის, რაც იწერება, რომ დღეს და ხვალ იწყებენ და არეულობა იქნება, სისულელეა და მეტი არაფერი. არსებობს პიროვნული ხასიათის კონფლიქტები, მაგრამ არა იმ დონის, რომ დახოცონ ერთმანეთი.

**— არც თქვენ და ვასაძე აპირებთ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას? სხვათა შორის, ესეც დაიწერა და ითქვა..**

— ვადასტურებ, რომ ლევან ვასაძე ჩემი მეგობარია და ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს საქართველოსთვის. რა გალაშქრებას, რას ამბობთ... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს სიცრუეა.

**— იმის შესახებ ხომ გაქვთ ინფორმაცია, რომ პატრიოტთა ალიანსი დატოვეთ?**

— 6 ივლისიდან აღარ ვარ გენერალური მდივანი და არც პოლიტსაბჭოს წევრი. მე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები მაქვს და ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, როგორც ჩანს, პარტიის რიგების დატოვების გადაწყვეტილებას მივიღებ.

**ქეთი ხომერიკი**

**592 53 53 03**

# მარადიული ეჭვმიტანილი

## (წერილი მეორე)



ვახტანგ ხარჩილავა

ამ ერთი წლის წინათ ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრ დუგინმა** ასეთი რამ განაცხადა:

*„საქართველო — ეს შეუმდგარი სახელმწიფოა, და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობის პროცესი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე ამით არ გათავდება.*

*როდესაც ჩვენი ჯარები ზუგდიდის რაიონს „ასუფთავებდნენ“, მათ ძალიან ბევრ სოფელში სიხარულით ხვდებოდნენ, რადგანაც მეგრელებმა იციან, რომ უკვე ისინი აღმოჩნდნენ პოტენციური გენოციდის საფრთხის ქვეშ საქართველოს მხრიდან. გენოციდის თუ არა, შევიწროების საფრთხის ქვეშ მაინც.*

*სწორედ ასეთივე მდგომარეობაა აჭარაში, ჯავახეთში, პანკისში.*

*საქართველო, თავისი არსით, არა სახელმწიფო, არამედ მულტიეთნიკური სტრუქტურაა და ამ სტრუქტურისთვის ერთი ნაციის იდეის თავსმოხვევა, როგორც ამას სააკაშვილი აპირებდა, გარდაუვალ ეთნიკურ წმენდას მოასწავებდა.*

*მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, რუსებმა დავიცავით ორი ერი, ახლა ჩვენს დახმარებას საჭიროებენ დანარჩენი ერებიც, რომელთაც თავს ახვევენ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას. სიტუაცია ანალოგიური სცენარით განმეორდება — ამ გზას დაადგება ზუგდიდი, ჯავახეთი, აჭარა. ეს იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს კონფლიქტთან, რომელიც თავისით ვერ გადაწყდება, ამიტომ ჩვენ უნდა ჩავერიოთ.*

*სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, შევკვეძლოს ამ პრობლემური ერებისთვის ხელის მოხვევა და სხვებისთვის გადაცემა. ოღონდ ამერიკას არა, მაგალითად, ირანს ან თურქეთს გადავცემდი, რომლებიც სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ“ (ინტერნეტპორტალი „Iternativeright“).*

ეს იყო ერთი წლის წინათ, სულ ახლახან კი დუგინის მოადგილემ, **ვალერი კოროვინმა** ქართული სახელმწიფოს შესახებ კიდევ ერთი „საყურადღებო“ მოსაზრება გამოთქვა:

*— „საქართველო პოლიეთნიკურია, ის შედგება მრავალი ეთნოსისგან. რა არის ქართველი? — ეს არის პოლიეთნიკური ხალხი, ისევე, როგორც რუსები, რომლებმაც მოახდინეს სხვადასხვა ეთნოსის ინტეგრირება...*

*ქართველობა არის კოლექტიური იდენტურობა, მაგრამ თუ ადამიანი ამბობს, რომ მეგრელია, ე. ი. ის მეგრელია; თუ ადამიანი ამბობს, რომ ის ქართველია, მას შეუძლია იყოს ერთდროულად ქართველიც და მეგრელიც. მას შეუძლია თქვას, რომ ის მეგრელია ქართული ფესვებით, მაგრამ თუ ადამიანი ამბობს, რომ ვარ მეგრელი, ე. ი. ის არის არაქართველი, ანუ მეგრელია. ქართველი ხდები მაშინ, როდესაც ქართველობას აღიარებ დომინირებულად და უარს ამბობ მეგრულ დომინირებაზე, ის მაშინ ნებაყოფლობით ხდება ქართველი, მაგრამ სანამ არსებობენ ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე და ამტკიცებენ, რომ არიან მეგრელები, ისინი რჩებიან ამ ტრადიციულ ეთნოსად...*

*...ისინი ცხოვრობენ ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოში, ამიტომ ისინი უნდა გაქართველდნენ...*

*სანამ ქართული სახელმწიფო არ იჟინებს მეგრელების უნიფიკაციას, ისინი არიან საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ ჯერჯერობით ქართული პოლიტიკური ელიტა თვალთმაქცობს, როცა ამბობს, რომ აშენებს ნაციონალურ სახელმწიფოს...“*

როგორც ხედავთ, დუგინიც და მისი მოადგილეც ფრიად სერიოზულად არიან „შეშფოთებულნი“ ქართული სახელმწიფოს ბედით და, ფაქტობრივად, ღიად, დაუფარავად ახმოვანებენ საქართველოს დაშლის და დაქუცმაცების გეგმას, რომელიც მათ ენაზე დაჩაგრული ერების გათავისუფლებას ნიშნავს.



ალექსანდრ დუგინი



ვალერი კოროვინი

დუგინი და კოროვინი მარტონი არ არიან. როგორც ამბობენ, ინსტიტუტები მუშაობენ ამ მიმართულებით, რომლებსაც მაგიდაზე უკვე უდევთ რამდენიმე პროექტი, სხვადასხვა ვარიაციებით და ნიუანსებით.

რუსების ცნობილი დანაქადნი — საქართველოს ჩვენ დავიბრუნებთ იმ სახით, როგორითაც ის ჩავიბარეთ — სულაც არ არის ცარიელი სიტყვები.

პირველი რეალური ნაბიჯები ამ მიზნის განსახორციელებლად აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებით უკვე გადადგმულია, მაგრამ დუგინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ამით არ მთავრდება, „ახლა ჩვენს დახმარებას საჭიროებენ დანარჩენი ერებიც, რომელთაც თავს ახვევენ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას. სიტუაცია ანალოგიური გზით განმეორდება — ამ გზას დაადგება ზუგდიდი, ჯავახეთი, აჭარა“.

გახსოვთ, ალბათ, სახაროვის ცნობილი რეპლიკა: — საქართველო პატარა იმპერიააა.

რუსული პოლიტიკური ელიტა და მათ შორის დუგინიც და მისი თანამოაზრეებიც, როგორც ჩანს, მთლიანად იზიარებენ ამ შეფასებას და მათი სამოქმედო გეგმაც ამ შეფასების არსს ეყრდნობა: — **გაათავისუფლონ დაჩაგრული ერები ქართული იმპერიალიზმის უღლისგან!**



გალი

**ეს „კეთილშობილური“ განზრახვა რუსებმა ნაწილობრივ უკვე შეასრულეს — „გაათავისუფლეს“ ორი ერი, აფხაზი და ოსი ერი, ახლა ჯერი სხვა „ერებზეც“, პირველ რიგში კი მეგრელებზე მიდგა,** კოროვინს კი მეგრელთა საკითხი, როგორც ნახეთ, მარტივად, მაგრამ ფრიად „დამაჯერებლად“ აქვს გადაწყვეტილი: „თუ ადამიანი ამბობს, რომ ვარ მეგრელი, ე. ი. ის არის არაქართველი, ანუ მეგრელია — ქართველი ხდები მაშინ, როდესაც ქართველობას აღიარებ დომინირებულად და უარს ამბობ მეგრულ დომინირებაზე“.

აი, ასე, კალმის ერთი მოსმით გადაწყვიტა კოროვინმა მეგრელთა ქართველობა-არაქართველობის პრობლემა, ამის შემდეგ კი მეგრელთა დახარისხებისა და კვალიფიცირების საკითხიც არ უნდა იყოს რთული საქმე — ვინც იტყვის, რომ მეგრელია, ის ავტომატურად ამოეწერება ქართველთა რიგებიდან და ქართული იმპერიიდან გათავისუფლებას ექვემდებარება, ხოლო ვინც ქართველობას დაიჟინებს, დარჩება ქართულ იმპერიაში და ეგ არი.

კაცმა რომ თქვას, კოროვინის ბჟუტურმა ვის რა უნდა დააკლოს, რომ არა ერთი ფრიად საგანგაშო გარემოება: საქართველოშიც საკმაოდ მრავლად გვყავნან ქართველი კოროვინები.

3-4 წლის წინათ ვიღაც ალიოშამ (სახელი თუ არ მეშლება...) დამირეკა გალიდან: — მეგრული ენა საფრთხეშია. ჩვენ საინტერესო პროექტები გვაქვს მეგრული ენის გადასარჩენად და განსავითარებლად. თქვენ, როგორც სამეგრელოს დიდი პატრიოტი და მეგრული ენის ქომაგი, იმედია, გვერდით დაგვიდგებითო.

უცნაური ის იყო, რომ მეგრული ენის გადასარჩენად ლაშქრის შემკრები ბატონი ალიოშა რუსულად მელაპარაკებოდა.

— კი, მაგრამ, მეგრული ენის გადარჩენას რომ აპირებთ, რუსულად რატომ მელაპარაკებით, მეგრული არ იცით? — შევკადრე ბატონ ალიოშას.

როგორც გაირკვა, ბატონმა ალიოშამ მეგრული არ იცოდა, თუმცა ეს ხარვეზი იმით გამოასწორა, რომ მეგრულის მცოდნე თავის თანაშემწე ქალბატონს გადასცა ყურმილი.

სატელეფონო ზარი გალიდან რამდენჯერმე განმეორდა, ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ მეგრულის არმცოდნე „მეგრელ“ ალიოშას რუსულად შევუკურთხე და ჩემთან დარეკვა

კატეგორიულად ავუკრძალე.

ამასწინათ მდიდრულად გამოცემული კალენდარი მაჩვენეს, სადაც კალენდრის გამომცემელთა აზრით, ცნობილი მეგრელების ფოტოები და ბიოგრაფიული მონაცემებია განთავსებული.

ტექსტი, რათქმა უნდა, მეგრულად არის შედგენილი, თუმცა ამ ტექსტის გაცნობისას ადვილად დარწმუნდებით, რომ ტექსტის შემდგენელმა მეგრული ხეირიანად არ იცის.

ასე, მაგალითად, ტექსტის ავტორს ჰგონია, რომ სიტყვა მენცარი მეცნიერს ნიშნავს და ამაყად გვაუწყებს: ილია ვეკუა — დიდი მენცარი (ილია ვეკუა — დიდი მეცნიერი).

აშკარაა, რომ კალენდარი ან თავად ალიოშას შედგენილია, ან კიდევ რომელიმე სხვა ალიოშასი, რომელსაც მეგრულის არცოდნა სულაც არ უშლის ხელს, თავი სამეგრელოს და მეგრული ენის გადამრჩენლად გამოაცხადოს.

სამწუხაროა, რომ ბოლო ხანებში ასეთი ალიოშები ფრიად მომრავლდნენ, რომელთა ნამოქმედარს არა მარტო პროვინციალიზმის, არამედ ავანტიურის და პროვოკაციის სუნი უდის.

ავანტიურისტებსა და პროვოკატორებზე რომ ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, მათში იმათაც ვგულისხმობ, რომლებიც ქართველთა და ქართული სახელმწიფოს ერთიანობის მოტივით, მეგრულ ენას ხან დიალექტად მოიხსენიებენ, ხან კილო-კავად, რომ ამით დაამცირონ და დააკნინონ მეგრული ენის მნიშვნელობა, ხოლო ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, სახლში, ქუჩაში თუ ტრანსპორტში მეგრულად დაილაპარაკებენ, მყისვე მათი რისხვის და მკაცრი საყვედურის ობიექტები ხდებიან — ქართულად ილაპარაკეთ, თუ შეიძლება, ქართულადო.

ასჯერ მითქვამს და ასმეერთედაც გავიმეორებ: — სწორედ რომ ქართულად ლაპარაკობენ ისინი და მათი ბრალი სულაც არ არის, თუ ეს ქართული ქართველთა ერთ ნაწილს „ჩინურად“ ესმის.

სწორედ ამგვარი „პატრიოტული“ შეფერილობის რეპლიკები, სწორედ ამგვარი როყიო და იმავე დროს დისკრიმინაციული ხასიათის საყვედურები და მოწოდებები არის უაღრესად სახიფათო, ავანტიურისტული და პროვოკაციული ქმედება, რომლითაც ყველაზე მეტად ვტკენთ გულს მეგრელ კაცს და გაუცხოებისკენ ვუბიძგებთ.



ენგურის ხიდი

ვინც ასე ფიქრობს და ვინც ამას აკეთებს, ისიც კოროვინია, ოღონდ ქართული გვარ-სახელით, ქართული სახელმწიფოსთვის კოროვინზე საშიში კოროვინი, რომელიც ციხის შიგნიდან გატეხვას ცდილობს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ვერც აცნობიერებს, რას სჩადის და რას მავნებლობს.

**უკვე კარგა ხანია ისმის მითქმა-მოთქმა, რომ გალის ტერიტორიაზე მეგრული „რესპუბლიკა“ უნდა დაარსდეს, რომელსაც სამი სახელმწიფო ენა ექნება — აფხაზური, მეგრული და რუსული.**

გალელების, მით უმეტეს, აფხაზების, სურვილით და ინიციატივით რომ არ ხდება ეს ამბავი, ცხადია, თუმცა ვინც არ უნდა იყოს ამ პროექტის ავტორი, ფაქტია, რომ ეს არის უაღრესად მზაკვრული და ვერაგული პროექტი, რომლის მიზანია შეიქმნას ისეთი პლაცდარმი, საიდანაც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიური დაბომბვა უფრო ადვილი და ეფექტური იქნება.

აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება მაშინ, თუ ეს ფარისევლური და ფლიდური პროექტი განხორციელდა.

რა მოხდება და იმწამსვე მთელი სიმძლავრით ამუშავდება რუსული იდეოლოგიური მანქანა და მთელი მსოფლიოს გასაგონად ხან დუგინი აყვირდება და ხან კოროვინი: — კიდევ ჩვენ ვართ ამის შემდეგ იმპერიალისტები? საუკუნეების განმავლობაში ქართული იმპერიისგან დევნილ მეგრელებს სახელმწიფო შევუქმენით და ქართული უღლისგან გავათავისუფლეთ, ქართველებისგან დამცირებულ და შეურაცხყოფილ მეგრულ ენას სახელმწიფო სტატუსი მივანიჭეთ. ყოველივე ამის შემდეგ მოდით და ვიმსჯელოთ — ოკუპანტები და დამპყრობლები ვართ ჩვენ თუ დაჩაგრული ერების გამათავისუფლებლები?

არ არის გამორიცხული, ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცენ იმ მეგრელებმა, რომლებიც დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობენ და, ფაქტობრივად, მოწყვეტილნი არიან ქართულ კულტურას, ქართულ სულიერ ფასეულობებს და ღირებულებებს.

ბევრმა მათგანმა იცის მხოლოდ რუსული და მეგრული (ეს უკანასკნელი, ხშირ შემთხვევაში, ცუდად) ისინი ცუდად იცნობენ საქართველოს ისტორიას, მათ არ იციან, რომ ქართული სახელმწიფოს შექმნის ინიციატორები და თანაავტორები სწორედ მეგრელები არიან და, აქედან გამომდინარე, ეს სახელმწიფო მეგრელთა სახელმწიფოცაა, მათი ინიციატივით და მათი ძალისხმევით შექმნილი ერთიანი ქართული სახელმწიფო.

**თუ გალის ტერიტორიაზე მეგრული სახელმწიფოს შექმნის იდეა რეალობად იქცა, მერწმუნეთ, დროთა განმავლობაში ეს „სახელმწიფო“ აუცილებლად ჩაითრევს და თანდათანობით შეისრუტავს მის მიმდებარე რეგიონს — სამეგრელოს და გადამწყვეტ როლს ითამაშებს კიდევ მეორე პროექტის, აფხაზთა და მეგრელთა გაერთიანებული სახელმწიფოს განხორციელებაში.**

არსებობს თუ არა ქართული სახელმწიფოს განვითარების ფუნდამენტური კონცეფცია?



აფხაზეთიდან დევნილები



თუ ცალკეულ ფრაგმენტულ მოსაზრებებს არ მივიღებთ მხედველობაში, სახელმწიფოებრივ დონეზე ჩამოყალიბებული ასეთი კონცეფცია არც არსებულა და არც არსებობს.

კონცეფცია არ არსებობს, მაგრამ არსებობს ცნობა ქუჯისა და ფარნავაზის ისტორიული შეთანხმების შესახებ, რომელიც საძირკვლად დაედო ქართული სახელმწიფოს მშენებლობას.

საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღემდე არავინ იცის დანამდვილებით, რა დეტალებს და ნიუანსებს შეიცავდა ეს შეთანხმება, როგორ უნდა განვითარებულიყო იგი და როგორ უნდა ქცეულიყო იმ დუღაბად, რომელიც ერთ მთლიანობად შეკრავდა ქართულ სახელმწიფოს.

სწორედ ამის ბრალია ის, რომ ჩვენ დღესაც, 21-ე საუკუნეში, იმაზე გვიწევს დავა და კამათი, ქართველია თუ არა მეგრელი, უფრო ზუსტად, რომელი მეგრელია ქართველი, ის, რომელიც ამბობს, რომ, მიუხედავად მეგრული წარმოშობისა, მეგრელი არ არის და მხოლოდ ქართველია, თუ ის, რომელიც ამბობს, რომ ქართველია, ოღონდ მეგრული ფესვებით და რადგან ბოლომდე ვერ დაგვიდგენია ჭეშმარიტება, საქმის გამრჩევებად კოროვინები გვევლინებიან ხოლმე.

კოროვინები, დუგინები, სახაროვები, სუსლოვები თუ ხრუშჩოვები მედიატორებად და არბიტრებად სწორედ იმიტომ ჩნდებოდნენ და ჩნდებიან ასპარეზზე, რომ ჩვენ, ქართველებმა, შიგნით, ერთმანეთში, დღემდე ვერ დავამთავრეთ ეს იდიოტური კამათი და დღემდე ვერ დავადგინეთ, რას ვითხოვთ და რა გვინდა ერთმანეთისგან.

— მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! — ფრთიან გამოთქმად ქცეული ამ ფრაზის შინაარსში ეჭვი არ გვეპარება — ქართველები ვართ, ე. ი. ევროპელებიც ვართ, მაგრამ თვითონ ქართველები ვინ ვართ, აი, აქ ხანდახან, უკაცრავად გამოთქმისთვის და, ვიჭედებით.

**— მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ თუში, მე ვარ სვანი, ხევსური, ქართლელი, კახელი, მეგრელი, რაჭველი, იმერელი, აჭარელი, ლეჩხუმელი, მთიული, ფშაველი, გუდამაყრელი — ანუ ყველა ერთად და ყველა ცალცალკე, საერთო სახელით — ქართველი!**

**და როცა ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ ვარ, ე. ი. არ ვარ ქართველიც...**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

# ნავაროს ანდერძი

## რატომ რევენ „ნავაროელები“ საქართველოს პატრიარქს პოლიტიკოსთა მოწონების რეიტინგში — პატრიარქი პოლიტიკოსია თუ დამოუკიდებელ დეპუტატად აპირებს კენჭისყრას რომელიმე არჩევნებში?

კრისტინა ვილფორმა, რომელიც NDI-ის ოფისის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებს, გაავრცელა დადასტურებული ინფორმაცია, რომ ლუის ნავაროს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელად მუშაობის ვადა ამოეწურა და შესაბამისად, NDI-ის საქართველოს ოფისს აღარ უხელმძღვანელებს, აშშ-ში დაბრუნდა. ბოროტი ხმები ამბობენ, მუშაობის ვადა კი არ ამოეწურა, ნავარომ თავს გაქცევით უშველაო, მაგრამ ეს იქით იყოს, მთავარი მისი ანდერძია.

დიახ, ნავარომ ანდერძად დაგვიბარა: პატრიარქის რეიტინგს არ შეეხოთ, განა იმიტომ, რომ მართლმადიდებლურად მოვინათლე, არა, ეს ფეშქაშად გამომიწერია, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ირაკლი ალასანიაზე აბოდებს საქართველოში გამოკითხულთა 60%-ს და სწორება მასზე მიბრძანებიაო. კაცმა რომ თქვას, ნავარო ვის დაჰკარგვია თავისი სოციოლოგიური კვლევებიანად, მან, ეჭვგარეშეა, მხოლოდ ვილაცის (ვილაცების)



ნება გამოხატა, ვილაცის ნაკარნახევი გადმოგვცა.

ჯერ ის ვთქვათ, რას ნიშნავს „მოწონების რეიტინგი“. რატომ და რა ნიშნით უნდა მოსწონდეს გამოკითხულ პირს ესა თუ ის ადამიანი და შემდეგ, რა შუაშია ამ კონკრეტულ გამოკითხვაში საქართველოს პატრიარქი, რომელიმე პარტიის წევრია თუ დამოუკიდებელ დეპუტატად კენჭისყრაში აპირებს მონაწილეობის მიღებას რომელიმე არჩევნებში? გარდა ამისა, პატრიარქის მოწონების მაჩვენებელი 91%-ით როგორ განისაზღვრა, მხოლოდ მართლმადიდებლებში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა? პასუხი მარტივად სავარაუდოა, ქართველ ხალხს მიუთაფლაკვერეს, აჰა, ჰქონდეს თქვენს სათაყვანებელ პატრიარქს 91% იქნებ ასევე წარმატებით დაიჯეროთ დანარჩენი პროცენტებიცო.

დაე, იყოს პატრიარქის მოწონების რეიტინგი 91% — რა სალაპარაკოა, მაგრამ ერთი რამ რომ იკვეთება ამით, იმას რა ვუყოთ? მაგალითად, თუ გამოკითხულთა პასუხების პროცენტული მაჩვენებელი აგრერიგად საგულისხმოა, მაშასადამე, საქართველოს მნიშვნელოვანი ის 91% მართლმადიდებელია და რატომ ახვევენ თავს იმავე „გალმიდან“, საიდანაც ნავარო და მისი მიმართულების „სოც-მუშაკები“ არიან, მართლმადიდებლობისთვის აბსოლუტურად საწინააღმდეგო ქცევებს, ვთქვათ, ანტიდისკრიმინაციული კანონით სექსუალური აღვირახსნილობის დაკანონებასა თუ გეი-აღლუმების მოწყობის მცდელობით ერთსქესიანთა სექსუალური თანაცხოვრების პროპაგანდას და ა.შ?

ერთი დიდი ამერიკული ბლეფია ეს ყველაფერი!

რაც შეეხება პოლიტიკოსებს შორის ირაკლი ალასანიას 60%-იანი მოწონების რეიტინგს — ნავაროს კვლევამ ის კი არ აჩვენა, ვინ მოსწონს საქართველოში ხალხს, არამედ ის, ვინ მოსწონთ ნავაროს კვლევის დამკვეთებს, ასე ვთქვათ, ვისში ვინ მოსწონთ. ალასანიას, შეიძლება, მოწონების რეიტინგში 60% მართლაც ჰქონდეს, ოღონდ არა საქართველოში, არამედ საკუთარ გარემოცვაში, ნატო-ს გენშტაბში, ან სულაც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო დეპარტამენტში...

ამ ფონზე სასაცილოდ საინტერესო მონაცემი აქვს ირაკლი ღარიბაშვილს — 54% და ვთქვათ, დავით ბაქრაძეს 48%-ით. ე.წ მოწონების რეიტინგში ციფრების ერთი შეხედვით უმნიშვნელო კლებით დიდად ვერ აღიქვამს ადამიანი უცნაურ სხვაობას, მაგრამ გვერდიგვერდ დაყენებული ბაქრაძისა და ღარიბაშვილის რეიტინგებს შორის მხოლოდ 6% რომ ყოფილა დაშორება, გაოცებისგან პირდაღებულს, შეიძლება, ბუზიც კი შეგიფრინდეს და ის ბუზი სასულეშიც გადაგცდეს, თუ მეისეე, ბაქრაძის 48%-იან რეიტინგს გვერდზე ბიძინა ივანიშვილის 45%-იან რეიტინგს მოუსვამ... ამ გახსენებაზე, პატრიარქისა არ იყოს, ბიძინა ივანიშვილი რაღა შუაშია, ოფიციალურად გაერიდა კაცი პოლიტიკურ ასპარეზს და რატომ არ ანებებენ თავს რეიტინგომანიაში მაინც? (კიდევ კარგი, ნავაროს ვიტალი ხაზარაძე არ გაახსენდა რატომღაც...)

არანაკლებ საინტერესოა საქართველოს პრეზიდენტად წოდებული გიორგი მარგველაშვილის 48%-ანი მოწონების რეიტინგი, რომელიც დავით ბაქრაძის რეიტინგის სწორია. ჯერ ის ვიკითხოთ, რას შეიძლება მიენიჭებინა მარგველაშვილისთვის ეს 48% (კონკრეტულად ნავაროს გარდა), ჯაჭვის პერანგი შემოაქსოვა საქართველოს თუ მხოლოდ პრეზიდენტის სტატუსიც საკმარისია, თანაც, შარშანდელთან შედარებით (ისიც იმავე ბიძინა ივანიშვილის ხათრით რომ იყო შეკოწიწებული დღეს რომ მასზე დაბალი რეიტინგი ჰქონია) რეიტინგი 2%-ითაც რომ გაზრდია?

დანარჩენებზე აღარაფერს იტყოდა კაცი, ისედაც ნათელია ყველაფერი, მაგრამ თეა წულუკიანი რომ 44%-ით გამოიყვანა ნავარომ, ინტერესს აჩენს. თეა წულუკიანი მართლაც ძალიან მოსწონდათ საქართველოს მოქალაქეებს თავდაპირველად და მაშინ რატომ 90%-იც არ ექნებოდა (რატომ, ცნობილია და არ საჭიროებს განმარტებას), მაგრამ იმდენმა წყალმა და ისე უცბად ჩაიარა, თეა წულუკიანის მისამართით დღეს მხოლოდ დიდი იმედგაცრუება და უკმაყოფილებაა დარჩენილი (ამის მიზეზიც ცნობილია და არ საჭიროებს განმარტებას) და 44% სწორედ რომ ნავაროს (მისი დამკვეთების) გამიზნულ გზავნილად მოჩანს.

ნავაროს სოც-კვლევებს რომ ნდობა კარგა ხანია აღარ აქვს, მტკიცება არ სჭირდება, თუმცა, მაინც არიან ვიღაცები, რომლებიც იჯერებენ კიდეც ნავაროს სოც-დომხალს და უკვირთ, კვლევის მიხედვით „ნაციონალური მოძრაობის“ მოწონება 51%-ზე ასულა, „ოცნებისთვის“ გადაუსწრიაო. მმართველი გუნდი, რა, ჩვეული უგერგილობით მოკლედ გამოხატავს სათქმელს — უნდობლობას უცხადებს კვლევას, „ნაცმოძრაობის“ ინტერესებზეა მორგებულიო.

რაც საქართველოს ე.წ სოციოლოგიური კვლევები „შემოეჩვია“, მას შემდეგ „ნაციონალების“ ინტერესებზეა მორგებული ყველა კვლევის შედეგები, ამდენად, რეალური სურათი მოცემულისგან დიდად განსხვავებული რომ იქნება, სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ მმართველი გუნდიდანაც რომ მთლად თავი ქუდში არ აქვთ, ისიც უნდა ესმოდეთ. ყველა შემთხვევაში კი, ხელისუფლების მოწონების რეიტინგი, შეიძლება, რეალურად არ იყოს მაღალი (ესეც ცხადია, რატომ), მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ 51% კი არა, 5%-იც საეჭვოა.

არის კიდევ ერთი უცნაური შედეგი, შალვა ნათელაშვილის 38% და ნინო ბურჯანაძის 22%-იანი მოწონება. ბატონი შალვა ამბიციური პოლიტიკოსის სახით გვევლინება ყველა სახის არჩევნებში და იყო კიდეც დიდი ხნის წინ დრო, როცა მართლა ჰქონდა რეიტინგი ამომრჩეველში (იგივე ნავაროს რესპონდენტებში), მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ. ახლა ნავარომ სად ჩაატარა ეს გამოკვლევა, ინფორმაცია, როგორც გიორგი ბაბუნაშვილმა თქვა, კონფიდენციალური ყოფილა და ისღა დაგვრჩენია, ვივარაუდოთ — ნათელაშვილის მოწონების რეიტინგის პროცენტები „ვანოს შოუს“ იუმორისმოყვარე მაყურებელმა ასწია.

რაც შეეხება რუსეთისკენ მომზირალ პოლიტიკოსად შეფასებულ ნინო ბურჯანაძეს, 22% რომ უწყალობა ნავარომ, ესეც საკვირველია და ეჭვს ბადებს, რომ ქალბატონ ნინოს გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს.

რა შეიძლება ედოს საფუძვლად ნავაროს ბოლო, ანდერძად დატოვებულ კვლევას?

ის, რომ წლების მანძილზე NDI-ს გამომცხვარ კვლევებს მხოლოდ მმართველი გუნდი კი არა, თვით შედეგების დამკვეთებიც არ ენდობიან, ძველი ამბავია, მაგრამ რაღაცას ხომ ემსახურებოდა ეს, სიმბოლურ ანდერძად დატოვებული ბოლო კვლევაც?

კვლევის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს საზოგადოებაში ძლიერდება პოლიტიკური ცენტრები პრეზიდენტ მარგველაშვილისა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მეთაურობით. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მათი სახით აღნიშნულ პერსონებს გამძლიერებელი არ ჰყავს, პირიქით, თუკი ოდნავ სიმპათიას მაინც იმსახურებდნენ მიზეზთა გამო, ისიც დაკარგეს, მაშ, რა ხდება? არაფერი განსაკუთრებული, პირველად ხომ არ გვესმის სოც-კვლევის სახით შეგონებანი გარკვეულ პირთა სასარგებლოდ, რომ ისინი უფრო რეიტინგულები არიან, ვიდრე ქვეყნის პირველი პირები.

საქართველოში რა გაქანების, მიდრეკილებისა და პირადი რესურსის მქონე ე. წ პოლიტიკოსები გვყავს, ჩვენზე არანაკლებ კარგად იციან საქართველოს ფარგლებსგარეთ, ამდენად, სავარაუდოდ, „ვილაცებმა“ (ვითომ არ ვიცით ვინ არიან ის „ვილაცები“) ნავაროს კვლევის სახით გზავნილი დაუტოვეს არა ხალხს, არამედ ქართულ პოლიტიკაში ტივტივის მოსურნეებს — ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი და აბა, ჰე, ვისაც კარგი ცხოვრება გინდათ, გაერთიანდით ამ ახალი „ცენტრების“ გარშემოო. კარგი ცხოვრების მოსურნეებს კი საქართველოში რა გამოლევს...

**გიორგი ქართველიშვილი**

# მეზღაპრეები

თავდაპირველად ვინ თქვა, უცნობია, მაგრამ ინტერნეტ-ანეკდოტად გავრცელდა: — შორეულ საქართველოში მხოლოდ ორ დანიელ მეზღაპრეს იცნობენ, ჰანს კრისტიან ანდერსენსა და ანდერს ფოგ რასმუსენსო...

ქართველები რომ უკეთ გავრკვეულიყავით ზემოთხსენებულ ანეკდოტ-თავსატეხში, კვლავ და კვლავ ამერიკელი რობერტ პერი თუ დაგვეხმარა, მსოფლიოში განთქმული ჟურნალისტი, რომელმაც ირანისა და ნიკარაგუას შესახებ ვრცელი ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა. ახლა ახალი „საწუხარი“ აქვს პერის, The New York Times-ი ტყუილების ტირაჟირებაშია გადაშვებული, პროპაგანდის ორგანოდ იქცა და მკითხველს ობიექტურ ინფორმაციას არ აწვდისო.



ანდერს ფოგ რასმუსენი



ჰანს ქრისტიან ანდერსენი

რა შუაშია ზღაპრები და ანდერს ფოგ რასმუსენი? — რობერტ პერი განმარტავს:

„ძირითადი მეთოდი, რომლითაც მოქმედებს „ნიუ-იორკ თაიმსი“ და სხვა დიდი ამერიკული გამოცემები თავიანთი პროპაგანდის წარმოებისას, ეს არის ამორჩევა იმისა, რომელი ფაქტები უნდა გამოქვეყნდეს და რომელი — არა. ეს სიტუაცია ნათლად ჩანს „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ინტერვიუს შესახებ, რომელშიც ნატო-ს გენერალური მდივანი რუსეთს აკრიტიკებს უკრაინის მიმართ დამოკიდებულების გამო. ნატო-ს გენმდივანი რუსეთს „ორმაგი თამაშის“ წარმოებაში ადანაშაულებს; დასავლეთს ვლადიმერ პუტინის ყალბ სამშვიდობო ინიციატივებზე აფრთხილებს და ამბობს, რომ „რუსეთი თანმიმდევრულად ეწევა უკრაინის აღმოსავლეთში ვითარების დესტაბილიზაციას და მომავალშიც გეგმავს ასეთი მოქმედებების გაგრძელებას.“

იმის გათვალისწინებით, რომ რასმუსენს თავისი განცხადებები მტკიცებულებებით არ გაუმაგრებია, ამ სტატიის ძირითადი საკითხი სწორედ რასმუსენისადმი ნდობა უნდა ყოფილიყო. კორესპონდენტები მარკ ლენდერი და მაიკლ გორდონი შემოიფარგლნენ მხოლოდ დოზირებული ინფორმაციით, რომ რასმუსენი ნატო-ს გენერალურ მდივნობამდე დანიის პრემიერ-მინისტრი იყო. სტატიაში არაფერია ნათქვამი იმ საკითხებზე, რომლებიც მკითხველს კითხვებს გაუჩენდა რასმუსენის პატიოსნებასთან დაკავშირებით.

კორესპონდენტებს არ უხსენებიათ, რომ ეს ის ანდერს ფოგ რასმუსენია, რომელმაც მხარი დაუჭირა ჯორჯ ბუშის დანაშაულებრივ ინტერვენციას ერაყში;

რომ ეს ის რასმუსენია, რომელმაც 2003 წელს ერაყში აშშ-ის შეჭრის წინ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: — „ერაყს აქვს მასობრივი განადგურების იარაღი. ჩვენ ვიცით ამის შესახებ. ერაყმა აღიარა, რომ მას აქვს იპრიტი — ნერვულ მაპარალიზებელი გაზი, ციმბირის წყლულის სპორები, მაგრამ ჰუსეინმა ისინი გაერო-ს ინსპექტორებს არ აჩვენა. მან ჩვენ არ გვითხრა სად არის ეს იარაღი და როგორ შეიძლება მისი განადგურება. ეს ჩვენ გაერო-ს ინსპექტორებმა გვაცნობეს და ვფიქრობ, ერაყს უეჭველად აქვს მასობრივი განადგურების იარაღი.“

რა თქმა უნდა, რასმუსენის იმჟამინდელი განცხადების დიდი ნაწილი სიცრუე იყო, მაგრამ მან შეძლო დანიის პარლამენტის დარწმუნება და ეს ქვეყანა შეუერთდა კოალიციას, რომელიც ერაყში შეიჭრა. მოგვიანებით რასმუსენი ორპირობისა და ნატო-სთან სათანამშრომლომლოდ მზადყოფნისთვის დააჯილდოვეს, დანიის დაზვერვის თანამშრომელი ფრენკ გრევილი კი, იმ დოკუმენტის გამომზეურებისთვის, რომელიც რასმუსენს სიცრუეში ამხელდა, დააპატიმრეს.

რასმუსენის ტყუილი ერაყთან დაკავშირებით და მისი როლი ერაყში დანაშაულებრივ შეჭრაში ის ფაქტებია, რომლებიც აუცილებლად უნდა წარედგინოს „ნიუ-იორკ თაიმსის მკითხველებს“ და ისინი შეაფასებენ, იმსახურებს თუ არა ნდობას რასმუსენის სიტყვები, ამ შემთხვევაში, უკრაინის შესახებ!“

„ნიუ-იორკ თაიმსში“, „ვაშინგტონ პოსტში“ და სხვა დიდ გამოცემებში გამოქვეყნებულ სტატიებს არა ერთხელ აულაპარაკებია არა მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსები, თვით რიგითი ქართველი მოქალაქეებიც, რომ სააკაშვილის (ნაცმოძრაობის) შეკვეთილი სტატიები და ინტერვიუები ქვეყნდებოდა. ამდენად, რობერტ პერის თითქოს ახალი არც არაფერი „აღმოუჩენია“, მაგრამ როცა საქმე ადამიანთა მასობრივ გაწირვასთან გვაქვს, ბუნებრივია, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ამა თუ იმ გამოცემის სანდობაა.

მაგალითად, იმავე მაიკლ გორდონმა დაწერა (ჯუდიტ მილერთან ერთად) 2008 წელს ცნობილი სტატია ალუმინის მილების შესახებ,



რობერტ პერი

რითიც ამერიკელები დააშინა, რომ თუ მხარს არ დაუჭერდნენ ჯორჯ ბუშის წამოწყებულ კამპანიას ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით, ატომური აფეთქებები გარდაუვალი იყო. ბუშს საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდებოდა და მიიღო კიდეც, თუმცა ალუმინის მილები სინამდვილეში არტილერიისთვის იყო განკუთვნილი. სიცრუემ სტიმული მისცა ერაყში ომის დაწყებას რასაც შედეგად 4 500 ამერიკელი ჯარისკაცი და ასობით ათასი ერაყელის სიცოცხლე შეეწირა. როგორი შედეგი მოჰყვა „ზღაპარს“? თუმცა, საკითხავია, ვინ ითვლებიან ამ შემთხვევაში მეზღაპრეებად, გორდონი და მისი „მეწყვილე“ მილერი თუ სხვანი და სხვანი?

**რობერტ პერი (Consortiumnews.com (აშშ):** — „გორდონი, აგრეთვე, მონაწილეობდა „ვექტორულ ანალიზში“, რომელმაც აშშ კინაღამ ჩაითრია ახლო აღმოსავლეთის კიდევ ერთ ომში, ამჯერად სირიაში. სტატიაში აღწერილი იყო ორი ზარინიანი რაკეტის გზა, რომლებიც დამასკოს გარეუბანში ჩამოვარდა. სტატიაში საუბარი იყო, რომ თითქოს რაკეტები შემთხვევის ადგილიდან 9,5 კმ-ით დაშორებული სირიის სამხედრო ბაზიდან იყო გაშვებული, არადა, ბაზიდან გაშვებული რაკეტები მხოლოდ 2 კილომეტრით დაშორებულ ობიექტს თუ დააზიანებდნენ...

აპრილში მან (და კიდევ ორმა კორესპონდენტმა) აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში წარმოადგინა ვითომ რუსეთში გადაღებული უხარისხო ფოტო რითიც ამტკიცებდა, რომ უკრაინაში რუსი სამხედროები იბრძვიან, თუმცა, ორ დღეში „ნიუ-იორკ თაიმსი“ იძულებული გახდა უერჰყო წერილიც და ფოტოც, რადგან დამტკიცდა, რომ იგი უკრაინაში იყო გადაღებული...

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტია ლენდერიც, რომელმაც NBC-ის ეთერით გამოაცხადა, რომ ირანი ატომური იარაღით ემუქრებოდა ისრაელს. ირანის მუქარა, წარმოსახვითი ატომური იარაღით გაანადგუროს ისრაელი, უცნაური მუქარაა მსოფლიო ისტორიაში. ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ატომური იარაღი და მისი ლიდერი უარჰყოფს ატომური იარაღის შექმნის სურვილსაც კი, მისი გამოყენებით ემუქრება ქვეყანას, რომელსაც აქვს ატომური იარაღის არსენალი.

ასე რომ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, როცა „ნიუ-იორკ თაიმსი“ თავის მკითხველს არ „ანებივრებს“ ნატო-ს მეთაურის ბიოგრაფიის დეტალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მთავარმა გაზეთმა“ უნდა ახსნას, რატომ ანდობს მნიშვნელოვანი სტატიების დაწერას იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ინფორმაციის გასავრცელებელად იყენებენ მეთოდებს, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.“

კლასიკური მიმართულების მსოფლიოს მეზღაპრეების გვერდზე თუ როდესმე პოლიტ-მეზღაპრეებისა და მეზღაპრე-ჟურნალისტების ხსენება იქნა, ერთ-ერთ გამოკვეთილ ადგილს საქართველოც დაეუფლება, თუმცა, მანამდე მხოლოდ საქართველოს ერთ-ერთი მეგობრის, აშშ-ის ერთი კონკრეტული გამოცემის კონკრეტულ მეზღაპრეებს დავჯერდეთ.

**გიორგი ქართველიშვილი**

***P.S.* *2010 წელს მოლდოველმა ჟურნალისტმა დიმიტრი ჩუბაშენკომ ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიხაი გიმპუს მიერ მისთვის გადაცემულ „რესპუბლიკის ორდენზე“ უარი თქვა, რადგან, მისი თქმით, არ სურდა იმავე ორდენის მფლობელი ყოფილიყო, რომელსაც ფლობდა ომის გამჩაღებელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი; ამასთანავე, „როდესაც გიმპუ და სააკაშვილი დნესტრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ურთიერთობას ამწვავებენ, არ მსურს რაიმე საერთო მქონდეს აღნიშნულ პროვოკატორებთან“ — განაცხადა ჟურნალისტმა. და ეს ეს მაშინ, როდესაც თვით საქართველოში (ან მის ფარგლებს გარეთ) სააკაშვილის მიერ მრავალმხრივ „ორდენნაგემ“ ქართველ ჟურნალისტებს მსგავსი რამ არასდროს გაუკეთებიათ...***

# თეიმურაზ ქარჩავა: ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, საქართველოსთვის და ანაკლია-პორტის მშენებლობისთვის არის განკუთვნილი



მე არ მივაკუთვნებ ჩემს თავს ფეისბუკის აქტიურ მომხმარებლებს, მაგრამ ხანდისხან მაინც ჩავიხედავ და დიდხანს შემოვრჩები ხოლმე!

ასე მოხდა ამჯერადაც, როცა, ბატონ თემურ ქარჩავაზე გამოქვეყნებულ საინფორმაციო სტატიის კომენტარებს გადავავლე თვალი, სადაც უცნობი ქალბატონი, პირდაპირ ფურთხებით იწყებდა საუბარს ადამიანზე, რომელსაც უამრავი გაჭირვებულისთვის გაუმართავს ხელი, უამრავი ადამიანი დაუსაქმებია და არასოდეს უფიქრია, იქედან რაიმე სარგებელი მიეღო!..

ეს გამაღიზიანებელი კომენტარი **„აფხაზეთის ხმაში“** გამოქვეყნებულ სტატიას მოჰყვა, სადაც იუწყებიან, რომ, — **“მილიონერი თემურ ქარჩავა სომხეთში თბოელექტროსადგურს ააშენებს, საიდანაც ელექტროენერგიას საქართველო შეიძენს”**.

სომხურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, — **„22 აგვისტოს ქართული და სომხური მხარეები შეთანხმდნენ, რომ კომპანია „Anaklia IEP (Industrial Eco Park) Holding“ 540 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ასაშენებლად სომხეთში 600 მილიონი დოლარის ოდენობით ინვესტიციას ჩადებს. შესაბამის შეთანხმებას სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კომპანიამ ხელი უკვე მოაწერა.“**

უსაშველო ხმაური მოჰყვა ამ ამბავს ქართულ პრესაში და ტელეარხებზე — **ნახეთ, რა ხდება, რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენ თემურ ქარჩავას სომხეთში წაუღია ქართული ფული, 600 მილიონი დოლარი და სომხებს ელექტროსადგურს უშენებსო!.. თან, ნუ იტყვით და — ბიძინა ივანიშვილიც ყოფილა ამ საქმეში მისი მილიონებით გარეული?!.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტი“ გვაფრთხილებს: **„გამოიწვევს თუ არა აღნიშნული პროექტი ურთიერთობების დაძაბვას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის?“**

—ეს იმ აზერბაიჯანზეა საუბარი, რომელსაც, საქართველოს ყოფილმა მთავრობამ, ქვეყნის ენერგეტიკული ბაზარი გადასცა, მათ შორის ყულევის ნავთობტერმინალი და ასეულობით მილიონებს ატრიალებს ჩვენს ქვეყანაში.

**„გაუგებარია ისიც, რატომ უნდა ჩაიდოს სომხეთში ამ მასშტაბის მშენებლობაში ქართული ფული, თუკი ჩვენ მოგვიწევს გამომუშავებული ელექტროენერგიის შეძენა? მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა საქართველოში უმუშევრობა კვლავ ნომერ პირველ პრობლემად რჩება. მსგავსი პროექტის საქართველოში განხორციელება, როგორც მინიმუმ, ბიუჯეტს გადასახადებით 200 მილიონს მოუტანდა“.** — განაგრძობს სააგენტო „ნიუპოსტი“!

არ ვიცი, ამას რა დავარქვა — ინტრიგნობა, უცოდინარობა, თუ ვიღაცის საგანგებო დავალების შესრულება?.. შესაძლოა, სამივე ერთად?..

ესეც არ არის გამორიცხული, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი — აშკარაა, ტელევიზია და პრესა ერთსულოვნად ცდილობენ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი გარიონ ამ საქმეში!

ბუნებრივია მკითხველი იკითხავს — რა საქმეში?

რა საქმეში და კერძო ინვესტორის საქმეში, რომელმაც მეზობელ ქვეყანაში განახორციელა ბიზნესპროექტი, რომელიც მისი ქვეყნის მთავრობას გაცილებით ადრე შესთავაზა.

ნაცხროვის წარმომადგენელთა და **„რუსთავი 2“**-ის კომენტარები ჩვენთვის უცხო არ არის, ისინი ყველაფერ პროგრესულს, რაც საქართველოში ხდება, რუსეთთან და რუსულ ფინანსებთან აკავშირებენ, იმ იმედით — იქნებ ჩრდილი მიადგეს ქვეყნის მმართველი მთავრობის იმიჯს, პირველ რიგში კი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც საქართველოს წინა ორი მთავრობების მაღალჩინოსნებისგან განსხვავებით, ერთი თეთრიც არ შეუმატია თავისი მილიარდებისთვის, საქართველოს მოსახლეობის და ქვეყნის ბიუჯეტის ძარცვით!

ყველაზე გაუგებარი კი, ტელეკომპანია **„მაესტროს“** მიერ, რუსული ფულის საქართველოში შემოსვლის დაწუნებაა, როცა, როგორც ამბობენ, ეს ტელეკომპანია რუსეთიდან, რუსული ფულით ფინანსდება!!!

**ახლა კი ბატონ თეიმურ ქარჩავას მოვუსმინოთ:**

—არავისი საკითხავი არ მაქვს, სად და რომელ ქვეყანაში განვახორციელებ ინვესტიციებს ჩემს უცხოელ პარტნიორებთან ერთად!.. სომხეთის მთავრობასთან ხელშეკრულების გაფორმება შემთხვევით დაემთხვა საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვიზიტს ერევანში, თორემ ამ ამბავს ვერავინ გაიგებდა საქართველოში.

მე ადრეც მოგიყევით, — საქართველოდან მაშინ წავედი, როცა სახელმწიფო მოხელეებმა, ბანკირებმა, სამართალდამცავებმა, საკუთარი მოსახლეობის და ქვეყნის ბიუჯეტის ძარცვა გაიხადეს **„ბიზნესად“**!

26 წლის ასაკში, ამიერკავკასიის ქაღალდის მრეწველობის გაერთიანების გენერალური დირექტორის, ბატონ ოთარ ფაცაციას მოადგილედ ვმუშაობდი და ათი ათასიან კოლექტივს, საკუთარ მეურნეობებში წარმოებული პროდუქტებით ვამარაგებდი. ჩემი კერძო ბიზნესიც ამ დროიდან დაიწყო რუსეთში, საიდანაც საქართველოში შემომქონდა მუდმივად და სხვების მსგავსად, საკუთარი ქვეყნის ნაძარცვი უცხოეთში არ გამიტანია!

ანაკლიაში პორტის აშენების იდეაც ამ პერიოდს ეკუთვნის. 1971 წელს ჩამოყალიბდა შავი ზღვის აკვატორიის შემსწავლელი ჯგუფი. სამუშაოების შესრულება ქალაქ ოდესის საპროექტო ინსტიტუტს დაევალა, სადაც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობდნენ და მათ მიერ შექმნილი პროექტის საფუძველზე და პერსპექტივის გათვალისწინებით, 1981 წელს, იქ **„პირსი“**-ს მშენებლობა დაიწყო, სადაც მომავალში უნდა აშენებულიყო პორტი. ეს იყო ოდესელი სპეციალისტების რეკომენდაცია, რომლებიც საბჭოთა კავშირის პერიოდში შავი ზღვის სანაპიროზე პორტებს აპროექტებდნენ.




ანაკლიაში პორტის აშენების იდეის ხორცშესხმა 2001 წლიდან დაიწყო. ჩემი დაფინანსებით, შევუკვეთე პროექტი, რომელიც ქართულმა საპროექტომ შეასრულა და შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების დონის წინასაპროექტო ნაშრომი, რომელიც სრულიად საკმარისია ნებისმიერი უცხოელი ინვესტორისთვის საქმის დასაწყებად. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ბატონი სპარტაკ ერაგია!

წინასაპროექტო სამუშაოები შესრულებულია. მსოფლიოში უმსხვილესმა სააუდიტო კომპანიამ **„ERNST & YOUNG“**-მა გააკეთა მისი ექსპერტიზა და დღესაც ანაკლიის პორტის პროექტს კურირებს **„ERNST & YOUNG“**-ი. პორტს უკვე ჰყავს ოპერატორი — **„დუბაის პორტი“**, რომელიც მსოფლიოში საპორტო ბიზნესის ლიდერი კომპანიაა, 53 პორტს უწევს ოპერირებას და ამ პორტების აქციების თანამფლობელია.

ჩვენ მათთან მივაღწიეთ ხელშეკრულების დადებას ანაკლიის პორტის ოპერირებაზე. პორტის მშენებლობა სხვანაირად არ ხდება. როცა მშენებლობა იწყება, ისინი მშენებლობას პირველი დღიდანვე უწევენ ზედამხედველობას. **„ERNST & YOUNG“**-მა ჯერ კიდევ 2011 წელს შეაფასა შესრულებული სამუშაოები, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომა და 2011 წლის მდგომარეობით იგი შეფასებული იქნა 2 მილიარდ 100 მილიონი დოლარად.

— დადგენილია, რომ შავი ზღვის აუზში უკეთესი ადგილი ...ღრმაწყლიანი პორტის ასაშენებლად არ არსებობს. ამიტომაც 2 წელი სწავლობდა და იხილავდა მსოფლიოში ლიდერი კომპანია „**დუბაი პორტი**“ ოპერირების საკითხს და ამის შემდეგ მოაწერა ხელი კონტ-

რაქტზე, რომ დუბაი პორტი ბიზნეს-ოპერირებას გაუწევს **„ანაკლია-პორტ“**-ს.

**„ანაკლია-პორტი“**-ს პროექტს რომ რაიმე ხარვეზები ჰქონოდა, **„დუბაი პორტი“** არავითარ შემთხვევაში არ მოკიდებდა მას ხელს და ხელშეკრულებას არ გააფორმებდა. პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა **„ანაკლია პორტი“**-ს მუშაობაზე.

...ამის შემდეგ, მივმართეთ მთავრობას თხოვნით, გაეცათ ჩვენთვის პორტის მშენებლობის ნებართვა. ყველაფერი გაფორმდა გამჭვირვალედ და ლეგალურად, ბიუჯეტში შეტანილ იქნა მიწის ღირებულება ხელშეკრულების პირობების დაცვით და ეკონომიკის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადმოგვეცა 2100 ჰექტარი მიწის ფართობი პორტის ასაშენებლად. 2010 წელს დაიდო ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან. 2011 წელს უნდა დაგვეწყო მშენებლობა. რაც ასევე შესრულდა, მაგრამ იგი მალევე შეგვაწყვეტინეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის საბაბით.

ამის შემდეგ გაჩნდა „ლაზიკა პორტის“ მშენებლობის ზღაპრები, — მადლობა ღმერთს, რომ იგი დროულად იქნა შეჩერებული!

...დღეს კი, თავიდან ვიწყებთ ყველაფერს „ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტის“ აშენების კონკურსში მონაწილეობით!

თუმცა, ჩვენ დიდი წინსწრება გვაქვს ნებისმიერ მონაწილესთან შედარებით, რადგან ასეთ პროექტში მონაწილეობას უზარმაზარი მოსამზადებელი სამუშაოები უძღვის წინ, რომლებიც დიდი ხანია შესრულებული გვაქვს!

***—დღეს თქვენ ვინ ხართ, ვინ იგულისხმება* „Anaklia IEP Holding“-*ში?***

კომპანია „ანაკლია პორტი“-ს ბაზაზე შეიქმნა **„Anaklia IEP Holding“**-ი, რომელშიც შემოვიდა დიდი ბრიტანეთის უდიდესი კომპანია **“BRITISH EKO POWER”, “CHINA POWER”, ”CHINA SITIK”,** უდიდესი ჩინური საფინანსო კომპანია **“CIC”**, ამერიკის **“EX_IM”** ბანკი.

—როცა ვამბობ ჩვენ, მხედველობაში მაქვს კონსორციუმის წევრი კომპანიები.

გაზტურბინები, რომელთა დამონტაჟების ხელშეკრულება სომხეთის მთავრობასთან გაფორმდა, თავდაპირველად, საქართველოს მთავრობას შევთავაზეთ (გაცილებით უკეთესი პირობებით!), მაგრამ წელიწადნახევრის განმავლობაში პასუხი ვერ მივიღეთ. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტეთ მეზობელ ქვეყანასთან კავშირი, სადაც ეს საკითხი მარტივად და სწრაფად გადაწყდა, რადგან სომხეთს იგი სჭირდებოდა.

მომავალ კვირას ყაზახეთის მთავრობას ვხვდები ასტანაში, სადაც ოთხი (თითოეული 270 მეგავატი სიმძლავრის) გაზტურბინის შეძენას აპირებენ. შემდეგი ქვეყანა თურქეთი იქნება ალბათ. საქართველო თუ გამოთქვამს სურვილს, ჩვენ, ჯერ კიდევ მზად ვართ გაცილებით უკეთესი პირობები შევთავაზოთ, მაგრამ, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, საქართველოს გაზის მიწოდების გარანტია არ გააჩნია!..

***—რა კავშირი აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილს სომხეთში განსახორციელებელ პროექტთან? ითქვა, რომ ამ პროექტში ბიძინა ივანიშვილის კაპიტალი იდება!***



—მე თქვენი ვერ გამიგია, ვის შეეკითხნენ ამ ინფორმაციის გამავრცელებელი ჭორიკნები (მე მათ ჟურნალისტებს ვერ ვუწოდებ!) და ვისგან მიიღეს პასუხი, რაც პრესაში დაიწერა თუ ტელეეკრანიდან ითქვა?

...ალბათ, ათ წელიწადზე მეტია ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა არ მქონია. მე მას დიდ პატივს ვცემ და სიამოვნებით ვიქნებოდი მისი პარტნიორი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, საქართველოს, ჩვენი სამშობლოს სიყვარულის და მასზე ზრუნვის გარდა, საერთო საქმე არ გაგვაჩნია!

ასე, რომ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს არაფერი აქვს საერთო სომხურ პროექტთან.

***— ალბათ, ქართული ტოპონიმის, ანაკლიის გამო იხსენიებენ „Anaklia IEP Holding“-ს ქართულ კომპანიად. სადაური კომპანიაა იგი და ვინ არიან მისი დამფუძნებლები?***

–**„Anaklia IEP Holding“**-ი რამდენიმე წლის წინ სპეციალურად დაფუძნდა ანაკლიაში, ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის იდეაზე სამუშაოდ. მასში ხუთი, მსოფლიოში ცნობილი კომპანია გაერთიანდა და დიდი სამუშაო შეასრულა ამ მიმართულებით. პორტის მშენებლობა და წარმატებული საქმიანობა, მარტო ფინანსების მოძიებასა და მის ტექნიკურად შესრულებაზე არაა დამოკიდებული. ეს ბოლო, დამამთავრებელი ფაზაა მხოლოდ, რომელსაც უზარმაზარი სამუშაო უძღვის წინ, რომელიც **„Anaklia IEP Holding“**-მა, კარგა ხანია, წარმატებით დაამთავრა.

სომხური პროექტიც, ანაკლიაში პორტის მშენებლობის ელექტროენერგიით მომარაგების შემადგენელი ნაწილია.

...ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება მთავარია მშენებლობის პერიოდში, თორემ აშენებულ და მოქმედ პორტს ელექტროენერგიის მომწოდებელთა რიგი დაუდგება.

***—ხომ ვერ აუხსნით მკითხველს, რა სამუშაო შესრულდა და რას ელოდება თქვენი ჰოლდინგი?***

პორტი ტვირთების გარეშე, იგივეა, რაც მატარებელი უმგზავრებოდ!.. ისეთი მასშტაბის მეგაპორტი, როგორიც ანაკლიაში უნდა აშენდეს, ტვირთების მყარი გარანტიის გარეშე, ინვესტორებს ვერ მოიზიდავს. ეს ერთერთი უმთავრესი და ურთულესი პირობა ჩვენ შევასრულეთ.

***—მაშინ რა საკითხი დაგრჩათ გადაუწყვეტელი?***

—პორტის მშენებლობის პირობა სახელმწიფოსგან. რასაც დიდი ხანია ველოდებით.

***—კონკურსი ხომ გამოაცხადა მთავრობამ? იქ ხომ უნდა იყოს გაცხადებული რა მოთხოვნები უნდა შეასრულოს ინვესტორმა და ასევე მთავრობამ თავისი მხრიდან?***

კონკურსი კი გამოცხადდა, მაგრამ ინვესტორისთვის უამრავი საკითხია გასარკვევი, რომელთა გარეშე, აქ ინვესტიციებს არავინ შემოიტანს. რაც მთავარია, ზემოთხსენებული სამუშაოების ჩატარების და ტვირთების გარანტიის გარეშე, ამ კონკურსში, არავინ მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, შემთხვევითი და ავანტიურისტი ამ კონკურსს ვერ გაეკარება.

კონკურსის ორგანიზატორებმა (საქართველოს მთავრობამ), დაფინანსებასთან ერთად, ტვირთების მოზიდვის გარანტიაც უნდა მოსთხოვონ კონკურსში გამარჯვების მსურველთ.

***—როგორ ფიქრობთ, ბევრი იქნება კონკურსში მონაწილეობის მსურველი?***

მე უკვე ვთქვი — მეგაპორტი, როგორიც ანაკლიაში უნდა აშენდეს, ტვირთების მყარი გარანტიის გარეშე, ინვესტორებს ვერ მოიზიდავს!

არა მგონია, ბევრი მონაწილე აღმოჩნდეს, ვისაც ამ პირობის შესრულება შეეძლება!

***—ისე ხომ არ მოხდება, მარტო აღმოჩნდეთ სათამაშო მოედანზე?***

არა, ასე არ ვფიქრობ, მაგრამ თავპირის მტვრევა ნამდვილად არ იქნება და, არც **„ჩაწყობის“** სურვილი გაუჩნდება ვინმეს!

საქართველოში, დღემდე, სერიოზული ინვესტორი და ინვესტიცია არ შემოსულა. პროექტი, რომელიც ანაკლიაში იგეგმება, არ გახლავთ ერთი ქვეყნის მასშტაბის და ერთი ქვეყნის მომცველი. ანაკლიიდან დავიწყოთ ათვლა აღმოსავლეთისკენ — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი (ამ მეზობელს საგანგებოდ მივუბრუნდები!), ირანი, კასპიის ზღვის ორივე ნაპირის პორტები, თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, იაპონია... შავი ზღვის ევროპულ ნაწილზე არაფერს ვამბობ, ყველა ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებთან წინასწარი მოლაპარაკება და შეთანხმება, თუნდაც სურვილების დონეზე ჩატარდეს და განიხილებოდნენ, როგორც პროექტის თანამონაწილენი. ამას მარტო ინვესტორი კი არა, პროექტის ინიციატორი, მასპინძელი ქვეყნის მთავრობა უნდა აწარმოებდეს!

„...ზემოთ, აზერბაიჯანი ვახსენე. იგი, შეიძლება, ჭირვეული რგოლი გახდეს **„ევრაზიულ აბრეშუმის ჯაჭვში“**, რადგან მათ ყულევის ნავთობტერმინალი აქვთ ნაყიდი და ახალ ინვესტიციებს, შეიძლება, თავი აარიდონ, მაგრამ ამ ათასწლეულის პროექტს ეს ვერ შეაჩერებს. იგი იმდენად დიდი და თანამედროვე იქნება საბოლოოდ იქ მოიყრის თავს ყველა.“

ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, საქართველოსთვის და ანაკლია-პორტის მშენებლობისთვის არის განკუთვნილი.

ბატონ თემურს შემდეგ შეხვედრაზე ეჩქარებოდა და აქ დავამთავრეთ საუბარი. შევთანხმდით, რომ მას ამ დღეებში გავაგრძელებთ.

**დავით ქობალია**
**5 93 51 01 71**



# „რა არის იგი სინათლე?..“

## გაკოტრების ზღვარზე მისული გამომცემლობები გიორგი მარგველაშვილს სასამართლოში უჩივიან

„სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს ყველა მოსწავლეს დაურიგდება უფასოდ. ვულოცავ ყველას! ბავშვების ხარჯზე გამდიდრება საქართველოში დასრულდა. ის, რაც საქართველოში ხდებოდა, მოსახლეობის მეთოდური გაღარიბებაა“ — ასე „დაუფასა“ მრავალწლიანი შრომა გამომცემლობებს მაშინდელმა განათლების მინისტრმა და ამჟამად პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. ეს განცხადება მან ერთი წლის წინ 145-ე საჯარო სკოლის ერთ-ერთ საკლასო ოთახში გააკეთა. გადაწყვეტილება ერთპიროვნულად, ავტორებთან და გამომცემლებთან შეთანხმების გარეშე მიიღო, მეტიც, მარგველაშვილმა გამომცემლებთან საუბარზე კატეგორიული უარი განაცხადა. ერთი წლის თავზე გადაწყვეტილების შედეგად მიღწეულია შედეგი: 18 გამომცემლობა გაკოტრების პირასაა (გამომცემლობა „დიოგენე“ ოქტომბრიდან შეიძლება ოფისის გარეშეც დარჩეს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ბანკის სესხის გადახდას ვეღარ ახერხებს ავტ.), თანამშრომელთა 60% უმუშევარი დარჩა, ხოლო დანარჩენს ხელფასი მკვეთრად შეუმცირდა. თუმცა ეს ყველაფერი როდია. შედეგთა საკმაოდ გრძელი ნუსხა აქვს გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორს კახა კუდავას, რომელსაც 420 ათასი დაბეჭდილი სახელმძღვანელო დღემდე საწყობში უდევს. მისი თქმით, არსებული გადაწყვეტილებით მარგველაშვილმა საარჩევნო მარათონში ქულები ჩაიწერა და ქვეყნის პრეზიდენტობაც მოიპოვა. გარდა ამისა: საჯარო სკოლის მოსწავლეებს დროებით სარგებლობაში გადაეცათ დაბალი პოლიგრაფიული ხარისხის სახელმძღვანელოები, რომელთა დიდი ნაწილი უკვე უვარგისია; ფაქტობრივად, სასკოლო სახელმძღვანელოების ასეულობით ავტორი კუთვნილი ანაზღაურების გარეშე დარჩა, რითაც მათი ინტელექტუალური საკუთრების უფლება უხეშად დაირღვა; საგრძნობლად შემცირდა მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა; სამაგიეროდ, მნიშვნელოვანწილად გაიზარდა პრეზიდენტის მიერ თვითნებურად შერჩეული მონოპოლისტი სტამბების შემოსავალი; სტამბების დიდი ნაწილი გაკოტრების პირასაა, ზოგი კი დაიხურა; განათლების სამინისტროს ცენტრალიზებულმა დისტრიბუციამ თამაშგარეთ დატოვა წიგნის გამავრცელებელთა აბსოლუტური უმრავლესობა. წიგნის ათეულობით მაღაზია დაიხურა და ბევრსაც დახურვა ემუქრება. რაც მთავარია, გაურკვეველია ნაშთების საკითხი — გამომცემლობების საწყობებში წელიწადზე მეტია მილიონზე მეტი ეგზემპლარი მოქმედი სახელმძღვანელო დევს; ახალი მინისტრი შაშკინისა და მარგველაშვილის კვალს მიჰყვება; ავტორებისა და გამომცემლების გვერდის ავლით, სამინისტრომ სახელმძღვანელოების ბეჭდვის ახალი პროექტი მოამზადა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ და არაეფექტურ ხარჯვას გამოიწვევს.

ჯერ კიდევ 2011 წელს შაშკინის მიერ გამოცემული



კანონი, რომელიც მაშინ არ ამოქმედებულა, მარგველაშვილმა სისრულეში მოიყვანა. კერძოდ, საუბარია 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფოს სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილების თანახმად, განათლების სამინისტროს უფლება ეძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე“ გამომცემლობების ინტელექტუალური საკუთრება — მათ მიერ შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელოები — ლიცენზიით სხვა პირებს გადასცეს, მაგალითად, სამინისტროს მიერ შერჩეულ ქართულ სტამბებს; სამინისტრომ კი ამ სტამბებს უნდა დააბეჭდინოს სკოლებისთვის უფასოდ გადასაცემი სახელმძღვანელოების ტირაჟები ისე, რომ გამომცემლებსა და ავტორებს აქედან ჰონორარად მიზერული თანხა — სასტამბო ფასის 10% ერგოთ. გამომცემლებს ისღა დარჩენოდათ სახელმწიფოს შემოთავაზებას დათანხმებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მათ „განუმარტეს“, სახელმძღვანელოების გრიფირების დროს „სერიოზული წინააღმდეგობები“ შეხვდებოდათ. 2011 წელსვე გამომცემლობები მინისტრის (შაშკინის) არაფორმალურად წაყენებულ პირობებს — სახელმძღვანელოებზე ფასის ზედა ზღვარი დაწესებულიყო და ყველა სახელმძღვანელო „24 საათის“ სტამბაში დაბეჭდილიყო, დათანხმდნენ. აღნიშნული სტამბა, ფავორიტად, მარგველაშვილმაც აირჩია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლების მაშინდელმა მინისტრმა მარგველაშვილმა „შაშკინის კანონი“ ძალაში დატოვა, მეტიც, მისი სრული რეალიზაცია მოახდინა. მარგველაშვილი ამ კანონით არც კი დაინტერესდა, არც გამომცემლებთან ისურვა შეხვედრა და ისე განაცხადა, რომ იგი იმ კონტრაქტებით ხელმძღვანელობს, რომელიც სამინისტროში დახვდა. მანვე განაცხადა, რომ გამომცემლები ავტორებს კაპიკებს უხდიდნენ და ამ „აბსურდული სქემით“ გაოცებულია. თუმცა, როგორც ჩვენთან საუბრისას გამომცემლებმა განაცხადეს, ამ გადაწყვეტილებამდე და მას შემდეგ, ავტორებისთვის გაცემულ ჰონორარებს შორის კოლოსალური სხვაობაა:



სოლომონ ნოზაძე

**სოლომონ ნოზაძე, გამომცემლობა „დიოგენე“, რედაქტორი:** დემაგოგიური მოსაზრებები გაავრცელეს, თითქოს გამომცემლობები ავტორებს ატყუებენ და ცოტა ფულს უხდიან. მინდა გითხრათ, რომ ყველაზე უწესო გამომცემელიც კი არ აძლევდა ავტორს ისე ცოტას, როგორც დღეს სამინისტროს ასეთი პოლიტიკის გამო იძულებულნი ვართ მივცეთ. მაგალითად, შარშან ავტორს 10 ათასი ლარი რომ მივეცით, დღეს 800 ლარს ვაძლევთ. ამის შემდეგ კიდევ ამბობენ, რომ თურმე ჩვენ გაგვიძარცვია ავტორები(!)

**ლალი ბაქრაძე, გამომცემლობა „დიოგენე“, რედაქტორი:** მეტსაც გეტყვით: ჩვენ გამოვცემთ ინფორმატიკის მე-5, მე-6 კლასის სახელმძღვანელოებს. ავტორს, ჰონორარის სახით, ამ ამბების შემდეგ, პირველ წელთან შედარებით, დაახლოებით, 40-ჯერ ნაკლები ერგო.

რატომ დააყაჩაღა სახელმწიფომ გამომცემლობები მაშინ, როცა დღეს რეალურად მას წიგნების ბეჭდვა უფრო ძვირი უჯდება? რატომ გააკოტრა მარგველაშვილმა გამომცემლობები? რაში მდგომარეობს ოთხი სტამბის გაერთიანების კორუფციული სქემა? რომელი განსაკუთრებული შემთხვევის გამო გადაწყვიტა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა „შაშკინის კანონის“ ამოქმედება? რატომ შეიცვალა მოსამართლე, რომელიც ამ საქმეს იხილავდა სწავლის დაწყებამდე ათი დღით ადრე?

**სოლომონ ნოზაძე:** სასამართლოში დავა შაშკინის იმ უცნაურ გადაწყვეტილებაზე მიდის, რომელიც თავის დროზე მიიღო. როგორც იცით, კანონში ჩაიდო მუხლი: სახელმწიფო უფლებას იტოვებს განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელმძღვანელოები განკარგოს. ჩვენს შეკითხვაზე რა განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა ისეთი, რომ ეს მუხლი აამოქმედეს, განათლების სამინისტროს აბსურდული პასუხი აქვს. რეალურად ხომ არაფერი შეცვლილა — ომი არ დაწყებულა, გლობალური კატასტროფა არ მომხდარა. მაგრამ მათი პასუხი ასეთია: განსაკუთრებული შემთხვევა არის ის, რომ საქართველოში სწავლება სავალდებულოა და არა ნებაყოფლობითიო. სანამ კაცობრიობა იარსებებს სწავლა სულ სავალდებულო იქნება. ასე არ იყო შარშან, შარშანწინ, 20-30 წლის წინ და ხვალაც ასე არ იქნება? დაგვცინიან?

**კახმედ კუდავა, გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი:** აქ თუ ვერ მივაღწევთ სამართალს, საქმეს სტრასბურგში გავასაჩივრებთ. საუბარია ოთხი გამომცემლობის ზარალზე, რომელიც 15 მილიონ ლარს შეადგენს. ამ თანხას სასამართლოში განათლების სამინისტროს ვედავებით.

სასამართლო 4 სექტემბერს გადაიტანეს, ველოდებოდით გამამართლებელ განაჩენს. მაგრამ ჩვენმა იურისტმა გვითხრა, რომ მოსამართლე გამოცვალეს, ანუ ეს პროცესის გაწელვისკენაა მიმართული. ეს შემთხვევით როდი ხდება.

**გიორგი ბათლიძე, ადვოკატი:** განათლების სამინისტრომ გამომცემლების საავტორო უფლება დაარღვია, მათი ნების გარეშე საავტორო უფლებების განკარგვა მოახდინა. გამომცემლობები ვეღარ ახორციელებენ საქმიანობას, უფრო სწორად, რეალურად, მათთვის, ამ წიგნების გასაღების ადგილი აღარ არის, წიგნები წაართვეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. ადრე არ გვაძლევდნენ, მაგრამ ახლახან, პირველად მოგვცეს ის ფასები, რა ფასებადაც თავად ბეჭდავენ. გამოვიდა რომ უფრო ძვირია, დღეს სახელმწიფო უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე დახარჯავდა იმ შემთხვევაში, გამომცემლობებისგან ნაშთები რომ შეეძინა.

ძველი მინისტრის დროს დაწყებული საქმე ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გააგრძელა. როგორც ჩანს, ვიღაცების ლობი ძალიან ძლიერია, ვიღაცები ამაში დიდ პოლიტიკურ ქუ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატომ აირჩია მარგველაშვილმა ის სტამბები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ დროსაც პრივილეგიებით სარგებლობნდენ?

ლებს იწერენ, ეს კლასიკური ჩაგვრაა.

204 ათასამდე ლარი მხოლოდ ერთი გამომცემლის – „ინტელექტის“ მიერ დაბეჭდილი ნაშთების შესყიდვის შემთხვევაშია შესაძლებელი დაიზოგოს, ამის ნაცვლად კი იგივე რაოდენობას ხელახლა ბეჭდავენ, ანუ ზიანი ორმაგია: ერთია, რომ ზიანი ადგებათ გამომცემლობებს – პროდუქცია უწვებათ, მეორე, ხარჯი გაიწევა იმაზე, რაც უკვე არსებობს.

**სოლომონ ნოზაძე**: განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს წარმოდგენა არ აქვთ რა შრომას, რისკებს, წვალებას, ხარჯებს ითხოვს ეს ყოველივე. თითო წიგნში მხოლოდ კონკურსზე მოსახვედრად 1500 ლარს იხდი, 6 ეგზემპლარად აგზავნი. თუ ექვსი წიგნისაგან შემდგარი სერია გაქვს 9 ათას ლარს იხდი, რათა წიგნი საერთოდ განიხილონ. 2012 წელს 38 დასახელების წიგნი შევიტანეთ, 60 ათასამდე ლარი გადავიხადეთ, რათა კონკურსში მონაწილეობა მიგვეღო. აქედან, დაახლოებით, ნახევარმა მიიღო გრიფი, დანარჩენი წიგნები ჩავარდა და ბუნებრივია, ხარჯებიც, რაც მათზე გავწიეთ ფუჭი აღმოჩნდა. ამ დროს, ვილაც ბედავს გამომცემლობები ცუდად მოიხსენიოს. მადლობა გვითხრან, რომ ტიტანური შრომით, მათი ცუდად დაწერილი პროგრამით და მოკლე დროში, საერთოდ ვახერხებთ სახელმძღვანელოების მომზადებას. შემდეგ „ეს ვილაცები“ მოვიდნენ და ჩვენი დაწერილი წიგნები წაგვართვეს. თვითონ რომ დაეწერათ წიგნები და ჩვენ გვერდით გავეწიეთ, ესეც კი უსამართლობა იქნებოდა, მაგრამ მათ უარესი გააკეთეს, ჩვენივე დაწერილი სახელმძღვანელოები წაგვართვეს, უფასოდ დაარიგეს და თან ეს ჩვენი ისტერიული ლანძღვის ფონზე ხდებოდა.

**ლალი ბაქრაძე**: ახლა ამ ოთახში ორნი ვსხედვართ, ადრე ოთხნი ვიჯექით. სულ 30 ვიყავით, ახლა 8 კაცი ვართ დარჩენილი. მარგველაშვილის გადაწყვეტილების გამო, ხალხი უმუშევარი დარჩა.

**სოლომონ ნოზაძე**: ამბობენ, თითქოს სამინისტრომ რაღაც თანხები შემოგვთავაზა და ჩვენ უარი ვთქვით. ვთქვათ, წიგნი 8 ლარი ღირს და ვითომ გვითხრეს 6 ლარად შევისყიდითო. სინამდვილეში, ერთი ლარიც არ შემოუთავაზებიათ. ცდილობენ ამ დემაგოგიით გამომცემლობებს სახელი გაუტეხონ. არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა.

### კორუფციული გარიგება ტენდერის სანაცვლოდ?!

**ლალი ბაქრაძე**: ტენდერი არ ჩატარებულა, საქმის კურსში არავის ჩავუყენებივართ, წიგნები წაიღეს და მორჩა. გავიგეთ, რომ ერთ ღამეში საჩქაროდ შექმნეს გაერთიანებული ქართული სტამბა, რომელშიც ოთხი სტამბა გაერთიანდა. არ ვიცით რა კრიტერიუმებით მოხდა მათი არჩევა. ბუნებრივია, ეს რაღაც შეთანხმებით მოხდა. ფაილები მოგვთხოვეს, ჩვენი წიგნები წაიღეს და ეგ იყო და ეგ. ვალდებულ-



ეხვეწებიან რა ფასიც გიჯდება ამ წიგნების დაბეჭდვა უხარისხო ფურცელზე, უხარისხო აკინძვით და ყდით, რომელიც ორ თვეში იშლება, იმ ფასად მოგცემთ საუკეთესო ხარისხის სახელმძღვანელოებსო, მაგრამ თანხმობას ვერ აღწევენ. მოდით ლოგიკას მივდიოთ. როგორ დავიჯერო სამინისტროში ბა და სტამბა აქვს. ასევე, „საქართველოს მაცნეს“. ამდენი დასაწყობებული წიგნების მესამედი ერთ თვეში მაკულატურა გახდება, დანარჩენების პერსპექტივა არ ვიცით. ასე გვეპყრობიან. გვეუბნებიან, ნაწილი დაბეჭდილი გვაქვს და თქვენი არ გვჭირდებაო. გავაგრძელებ თემას, როგორ შეარჩიეს სტამბები: ამბობდნენ, ამაზე პრემიერ-მინისტრის პირდაპირი განკარგულება არსებობსო. ადრე ამ განკარგულებას არ გვაძლევდნენ, ახლა წავიკითხე თუ რას წერს პრემიერ-მინისტრი: კი ბატონო, განსაკუთრებულ შემთხვევებში აქვთ უფლება ტენდერის გარეშე პირდაპირი შესყიდვა განახორციელონ. მაგრამ იქ ის კი არ წერია გაერთიანებულ სტამბას მიეცითო, არამედ პირდაპირ შესყიდვაზეა საუბარი.

**სოლომონ ნოზაძე**: მარგველაშვილმა, სამწუხაროდ, ის სტამბები აირჩია, რომელიც წიგნს უფრო ცუდი ხარისხით ბეჭდავენ. შარშან განათლების სამინისტროს სააგენტოს მივმართეთ წერილით, ვკითხეთ რა ფასებში და რა ტირაჟებით ბეჭდავდნენ. იურისტებს უპასუხეს, რომ ეს კომერციული საიდუმლოებაა. კომერციული საიდუმლოება შეიძლება გვქონდეს კერძო პირებს, ორგანიზაციებს, რათა კონკურენტებმა არ გაიგონ. მაგრამ როდესაც სახელმწიფო ხარ და გაერთიანებული სტამბა კერძო სტრუქტურაა, რა საიდუმლო შეიძლება გქონდეს, წიგნების ბეჭდვაზეა საუბარი. გაბრაზებული არიან რატომ ჩივის ეს ოთხი გამომცემლობაო. 15 მილიონი კი არა, 15 ლარი რომ ამოგიღოთ ავტობუსში ვინმემ ჯიბიდან, შეარჩენთ? ამხელა თანხაზეა საუბარი და მშვიდად ვიჯდეთ? ვეუბნები, სტამბასთან ნუ გვიშვებთ, როგორც სხვებს უდებთ ხელშეკრულებებს, ასე დაგვიდეთ ჩვენც და ჩემგან ნი ვიყავით წიგნები გადაგვეცა. კარგია, რომ ბავშვებს წიგნები აჩუქეს, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა მომხდარიყო, რომ ჩვენ გავეკოტრებინეთ და შრომა წყალში გადაყრილიყო, როგორღა ვიარსებოთ?

სამინისტროს აპარატში შევხვდით ხალხს და მივხვდით, რომ ისინი ახალბედები, საქმეში ჩაუხედავნი იყვნენ – სტამბას გამომცემლობისგან ვერ არჩევდნენ.

**სოლომონ ნოზაძე**: ნორმალურ ქვეყანაში წესით ტენდერი უნდა ჩატარებულიყო – აქ ყველაფერი ჩაწყობით ხდება. ეს შეიძლება კორუფციული გარიგება იყოს – მოდით ვიმსჯელოთ, როგორი სიტუაციაა: გამომცემლობა ბეჭდვაში იაფად რომ გამოვიდეს, ურჩევნია დიდი ტირაჟით დაბეჭდოს. რაც უფრო ბევრს ბეჭდავ, ერთი ცალის ფასი კლებულობს. ამიტომ, რადგან 5 წლიანი გრიფი მოგვცეს, არა ერთი წლის, არამედ რამდენიმე წლის საკმარისი წიგნები დავბეჭდეთ. ბევრმა გამომცემლობამ წინსწრებად რამდენიმე წლის მარაგი შეიქმნა, რომ იაფად გამოსულიყო და უცებ თავს ეს უბედურება დაატყდათ, საწყობები გამოტენილია გამზადებული, დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით. კიდევ კარგი „დიოგენემ“ არ გარისკა და ძალიან ბევრი არ დაბეჭდა. ჩვენც გვაქვს, მაგრამ არა რამდენიმე წლის მარაგი. „მერიდიანს“, „ინტელექტს“ მილიონების ღირებულების წიგნები უდევთ საწყობებში, ამ დროს ამ წიგნებს აღნიშნული სტამბები ხელახლა ბეჭდავენ. გამომცემლობები სახელმწიფოს მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე გამომცემლობები დააზარალონ. მათ სულ არ აინტერესებთ ჩვენი ბედი. მაშ, რატომ არ იღებენ ჩვენს წიგნებს? – ე.ი. ამ ბეჭდვაში ისინი რაღაცას ხეირობენ, თორემ რა ძალაა ბეჭდო ცუდი, როცა კარგი დევს და ლპება და რაც გიჯდება იმ ფასად გაძლევენ. ასეთი ეჭვი ბუნებრივად ჩნდება ეჭვი. თორემ ეს, რა ახირებაა. კონკრეტულად ჩვენი ზარალი არის ის, რომ შემოსავლები ვერ მივიღეთ და გამომცემლობა გაკოტრდა.

**კახმედ კუდავა**: ისმის კითხვა: რა კრიტერიუმებით შეარჩიეს ეს სტამბები, რასაც



კახმედ კუდავა

ასევე საინტერესო პასუხი აქვს: ასე თქვეს, ამ სტამბებს რეკომენდაცია პოლიგრაფისტთა ასოციაციამ გაუწიაო. არ იკითხავთ ვინ არიან ამ ასოციაციაში? – თვითონ ის ოთხი სტამბა. ამ ოთხ სტამბაში არ ურევია არც ერთი სტამბა, რომელსაც გამომცემლობა აქვს. ჩვენ გვაქვს საკუთარი სტამბა, ასევე „ტრიასს“, რომელიც გაკოტრების პირასაა. „მერიდიანს“ შესანიშნავი გამომცემლობის წინამორბედის საკაშვილის ფავორიტები იყვნენ – ეს ფაქტი ჩვენთვის სრულიად გამაოგნებელი იყო. რატომ აირჩია მარგველაშვილმა „24 საათის“ სტამბა? – მას შაშკინის დროს სრული მონოპოლია ჰქონდა. შაშკინმა ყველა გამომცემელი ცალ-ცალკე დაიბარა და უთხრა – თქვენ დაბეჭდავთ „24 საათში“. როდესაც ჩვენი გამომცემლობის დირექტორმა ჰკითხა: „24 საათს“ ამის რესურსები თუ გააჩნიაო, იცით რა პასუხი გასცეს – „24 საათს“ არ გააჩნია ამის რესურსი, მაგრამ ჩვენ დავბეჭდავთ თურქეთში, სლოვენიაშიო. ვითომ მაგათ გარეშე თურქეთში ვერ დავბეჭდავდით?.

### სახელმძღვანელოებს მაკულატურად ქცევა ემუქრებათ

**კახმედ კუდავა**: განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სექტემბერ-ოქტომბერში 1-4 კლასის წიგნებზე კონკურსი გამოცხადდება, ძველი წიგნები კი შეჩერდება. ეს ნიშნავს, რომ გამოცემლობა „ინტელექტს“ 1-4 კლასის სახელმძღვანელოები რაც გვაქვს, სექტემბრიდან მაკულატურა გახდება. მაკულატურის ხალხი კი ერთ ტონაში 150 ლარს იხდის. უნდა ვეხვეწოთ ტონაში 200 ლარი მაინც მოგვცენ.

საერთოდ ქართულ გამომცემლობებს ერთი მილიონი დაბეჭდილი მოქმედი სახელმძღვანელო უდევთ. აქედან 420 ათასი ეგზემპლარი მე მიდევს. სამინისტრომ, ჩუმათ თავიანთ მონოპოლისტ სტამბებს ხელშეკრულება დაუდო და ბიუჯეტის ფულები ამაში იხარჯება. წიგნები აგერ მიდევს და ჩემს 200 ათასს მოიგებთ-მეთქი და არ უნდათ. თავიდან წერილში დავწერეთ: გვაქვს 1 მილიონი ეგზემპლარი, ერთი ლარი რომ დავაკლოთ იმიტომ, რომ ვკოტრდებით, ხომ გადავრჩებით? სამაგიეროდ, 1 მილიონი ლარი დაიზოგება ბიუჯეტის თანხა. თუნდაც ნახევარი მილიონი ან 300 ათასი დაიზოგოს, ცუდია? ეს ერთი სკოლის რეაბილიტაციის თანხაა.

მოსალოდნელია დეფიციტი შეიქმნას, ადამიანს წიგნი უნდოდეს და ვერ იყიდოს. ან ვთქვათ იყიდის, ჩემთან ფულს გადაიხდის და წაიღებს და ტირაჟი აღარ მექნება. ვთქვათ 3 ათასი მაქვს ტირაჟი და მყიდველი 5 ათასია. რა გახდება ეს შენი 8 ლარად გაყიდული წიგნი? – 20 ლარი. ხომ არის ეს რეალურად მოსალოდნელი. მონოპოლია ფასის ზრდას გამოიწვევს.

კერძო სკოლები დაგვიტოვეს, რომლის კონტინგენტი საერთოს 7%-ია. დაგვცინიან. ეს 7% მარტო ჩემი რომ იყოს, კი ბატონო, მაგრამ ალტერნატიული წიგნები ხომ არსებობს, მათემატიკაში, სხვადასხვა გამომცემლობის, კიდევ 4 წიგნია. ამ 7%-ს 18 გამომცემლობა იყოფს. ისმის შეკითხვა? – რატომ დატოვეს ეს 7%, ვერ წაგვართმევდნენ, შერცხვებოდათ თუ რა? მიზეზი, სასამართლოზე, 8 თვის მერე იურისტებმა შემთხვევით განგვიმარტეს – თურმე ეს 7%-იც რომ წაეღოთ ამას ბიზნესის წართმევა ჰქვია. ასე კი ბიზნესის შეზღუდვაა. ეს ცინიზმი არაა? 93% წაიღეს. ორივე სხვადასხვა კატეგორიით ისჯება, მარტო ტერმინებში არაა საქმე.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დავით გაგნიძე: ამოიღონ ყველა „კანონიერი ქურდის“ საქმე, რამხელა თანხები აქვთ გაწერილი, თითქოსდა აგენტებს რომ გადაუხადეს, რაც სინამდვილეში ერთი თეთრი არ დასჯდომიათ


დავით გაგნიძე

*„საერთო გაზეთი“ აგრძელებს ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომელიც ვანო მერაბიშვილის შს მინისტრობის დროს საეჭვო „დანაშაულის“ ჩადენის გამო დაითხოვეს სამართალდამცავი სტრუქტურიდან. ამ „დანაშაულთან“ დაკავშირებით სს-ის საქმეც ყოფილა აღძრული, თუმცა გაგრძელება არ მოყოლია, რადგან შსს-ს მაშინდელმა ხელმძღვანელობა თავადაც დარწმუნებული ყოფილა ჩვენი რესპოდენტის უდანაშაულობაში.*

*დავით გაგნიძის განცხადებით, მის სამსახურიდან დათხოვნას რეალურად სულ სხვა მიზეზი ჰქონდა, ის ადამიანის გატაცებებსა და სხვა ორგანიზებულ დანაშაულობებს უკავშირდება. გამოცდილ პოლიციელს რეალურ დამნაშავეებზე „გასვლის“ მცდელობა არ აპატიეს, გახმაურებულ საქმეებზე მუშაობა რომ დამცლოდა, გარწმუნებთ, ისინი დიდი ალბათობით გაიხსნებოდაო.*

**დავით გაგნიძე:** „ვარდოსნებმა“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კახი კალაძის ძმის გატაცების საქმეზე დაიწყეს მუშაობა. გია ბარამიძის შს მინისტრობისას ეს საქმე გამოსაძიებლად გამოცდილ პროფესიონალს ბათუ სალინაძეს გადასცეს, რომელიც მართალია პენსიაზე იყო გასული, მაგრამ დააბრუნეს, სპეციალური ჯგუფიც ჩამოაყალიბეს, რომელსაც სალინაძე ხელმძღვანელობდა და მათ სამუშაოდ ყველა პირობა შეუქმნეს, თუმცა ირაკლი ოქრუაშვილის გამინისტრების შემდეგ ბატონი ბათუ ამ საქმეს ჩამოაცილეს. ირაკლი ოქრუაშვილის დამოკიდებულება პროფესიონალი, ავტორიტეტული კადრების მიმართ, ყველას კარგად მოეხსენება. ვფიქრობ, ესეც გახდა სალინაძის საქმიდან ჩამოცილების მიზეზი. იმ პერიოდში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში ვიყავი, ოღონდ სხვა საქმეებზე ვმუშაობდი, თუმცა ლევან კალაძის გატაცების საქმეზე მანამდეც მიმუშავია. ამას გარდა, მარიამ გოგინაშვილისა და სხვა რეზონანსულ გატაცებებს ოფიციალურად მე ვკურირებდი, მათ შორის მთა-თუშეთიდან ბერის გატაცების საქმესაც. ოქრუაშვილი ახალი დანიშნული იყო მინისტრის პოსტზე, სამინისტროს შენობაში ირაკლი ქადაგიძე (კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელი უფროსის მოადგილე) და ბერდია ხვისტანი რომ შემხვდნენ, მათ ბათუ სალინაძესთან წაყოლა მთხოვეს. ირაკლი ადრე ჩემი მოსწავლე იყო და ბუნებრივია, კარგად მიცნობდა. მათ მანამდე რაზე ისაუბრეს არ ვიცი, მაგრამ სალინაძეს უთხრეს, ლევან კალაძის საქმის მასალები ჩვენ უნდა გადმოგვცეთო. ირაკლის ეჩქარებოდა, ამიტომ მთხოვა დოკუმენტაცია მის გარეშე გადმომებარებინა. ბერდიაც გაყვა. ამ საგამოძიებო ჯგუფში სალინაძის მოადგილე ზურაბ ბარბაქაძე იყო, ჩვენ ადრე ერთად ვმუშაობდით, მან რამდენჯერმე მთხოვა გადმოდი ხსენებულ ჯგუფშიო, მაგრამ უარი ვუთხარი, ასე რომ ამ საქმეზე არავითარი დაინტრესება არ მქონია, როგორც მერე დამაბრალეს. ერთი სიტყვით, გადავიბარე საქმის მასალები, შესაბამისი ოქმიც შევადგინეთ, სალინაძეს პრეტენზია არ გამოუთქვამს, თუმცა შემდეგ ერთი ამბავი ატეხა, თითქოს მე ვიყავი ამ ყველაფერში დამნაშავე, რა აღარ დამაბრალა, მათ შორის ნარკომანობაც. დღემდე ამ საკითხზე ხმა არ ამომიღია, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა გაირკვეს. მესმის, რომ სალინაძე გამწარებული იყო ეს საქმე რომ ჩამოართვეს, მაგრამ მე რა შუაში ვიყავი? ეს საქმე იმიტომაც გადმომცეს, რომ პროფესიონალი კადრი სამინისტროში თითქმის აღარავინ იყო, რადგან გამოუცდელი ახალგაზრდები მოიყვანეს. საქმე კი გადმომცეს, მაგრამ გარკვეული ახალი მასალები (სალინაძის მოკვლეული), ასევე ის აუდიო ჩანაწერები, თუ ვინ ურეკავდა კალაძეების ოჯახს ხელმძღვანელობამ წაიღო და ერთი თვის შემდეგლა დამიბრუნეს, მაგრამ მხოლოდ ორიოდე ფარატინა ფურცელი, დანარჩენი ყველაფერი გააქრეს, აუდიო ჩანაწერებიც აღარ იყო, რომ ხმები მომესმინა. ბათუ სალინაძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, დარწმუნებული ვარ სწორ დასკვნამდეც მივიდა, მაგრამ ერთი შეეშალა, ყველაფერზე ღიად საუბრობდა, ვერ გაითვალისწინა, რომ იმ პერიოდში ყველაფრის თქმა არ შეიძლებოდა, არ აპატიებდნენ. ერთი სიტყვით, მხოლოდ ძველი მასალები მომცეს, ამაზე იმუშავეო. დაახლოებით ერთი კვირა მარტო ვიმუშავე და შევამჩნიე, რომ რაღაც საეჭვო ხდებოდა.

- **რას გულისხმობთ?**

- ამ პერიოდში ხელმძღვანელობა სულ სხვა საქმეებზე მაძლევდა დავალებებს და ფაქტობრივად ხსენებულ საქმეზე მუშაობის დრო აღარ მრჩებოდა, ერთი სიტყვით, ძალიან ტექნიკურად ჩამომაშორეს საქმეს. როგორც გითხარით, კალაძის გატაცებაზე მე შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც ვმუშაობდი და მაშინაც ბევრი საეჭვო რამ ხდებოდა, რამაც მაფიქრებინა, რომ ამ საქმის რეალური გახსნა არ აწყობდათ. სენაკში თბილისიდან პოლიციელთა მთელი ჯგუფი ჩავიდა და ადამიანი, რომელიც უშუალოდ ვმუშაობდი ამ საქმეზე, თან არ წამიყვანეს. 2001 წელს სწორედ სენაკში მოხდა ლევან კალაძის გამოსასყიდი თანხის გადაცემა, თუმცა გატაცებული არ დაუბრუნებიათ. ეს არასწორი ქმედებები რომ შევნიშნე, სატელეფონო ზარების ნუსხა დავუდე ხელმძღვანელობას, თუ ვინ და რამდენჯერ დაურეკა. ჯერჯერობით არ მინდა იმ პიროვნების დასახელება, ვისაც ეს ნუსხა გადავეცი. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ საქმეს ოდესმე ობიექტურად გამოიძიებენ და არ მინდა დეტალების გახმაურებით ძიებას პრობლემები შეექმნას. ძალიან მაინტერესებს, მობილური ტელეფონებით რატომ რეკავდნენ სენაკში მყოფი პოლიციელები, როცა ყველას რაცია ჰქონდა, შემთხვევით ისეთ რაღაცეებზე ხომ არ საუბრობდნენ, რისი გახმაურებაც არ აწყობდათ? გამოდის ისეთ რაღაცაზე საუბრობდნენ, რაც „უბრალო მოკვდავთ“ არ უნდა გაეგოთ. მიუხედავად ამისა, მაინც გავაგრძელე მუშაობა, თუმცა ვხვდებოდი, რომ ძალიან რთულად იყო საქმე, მოგვიანებით ჩემი სეიფის გასაღების ასლი გამაკეთებინეს, რამაც კიდევ უფრო დამაეჭვა. ასეთი ცდაც ჩავატარე, ვიმახსოვრებდი საბუთებს როგორ ვდებდი, თუ სეიფს უჩემოდ გახსნიდნენ, მივხვდებოდი. რამდენჯერმე მართლაც შევამჩნიე, რომ დოკუმენტები გადაადგილებული იყო, დავრწმუნდი, რომ რაღაც ხდებოდა და მე მარტო ვიყავი, ამიტომაც, რომ იტყვიან დავამუხრუჭე. „ვარდოსნებმა“ ხსენებული საქმის გამოსაძიებლად დრო ხომ არ დამიტოვეს და მერე უცებ ასეთი რამ ხდება, ვინც უცოდინარი, უმაქნისი თანამშრომელი იყო თავის ადგილზე დატოვეს, მე კი კადრების განკარგულებაში ამიყვანეს, რისი ოფიციალური მიზეზიც არ არსებობდა. ვიკითხე ეს რატომ მოხდა, თუმცა პასუხი ვერ მივიღე. შევხვდი ირაკლი ქადაგიძეს, მადლობა გადავუხადე ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის, კარგად „დამაფასეთ“-თქო და წამოვედი, გაშრა, ხმა არ ამოუღია. მივხვდი, რომ ის არაფერ შუაში იყო. ჩემმა უმუშევრობამ ოჯახს დიდი პრობლემები შეუქმნა, ამიტომ იძულებული გავხდი ორი თვის შემდეგ მიმეკითხა სამინისტროსთვის. ისევ ოქრუაშვილი იყო მინისტრი. ირაკლი ქადაგიძე ლიფტთან შემხვდა, კარგია რომ დაგიძახეს, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს უამრავი საქმე დაუგროვდა, სულ


ვანო მერაბიშვილი


ირაკლი ოქრუაშვილი

უცოდინარი კადრები გვყავს, დროს ნუ დაკარგავ, ჩქარა დაიწყე მუშაობა, ხსენებულ სამმართველოში ვაკანტური ადგილი გვაქვსო. კრიმინალური პოლიციის უფროსს გია კაჭარავასაც შევხვდი, კარგად მიმიღო, დაბრუნება შემომთავაზა, თუმცა ჩემს ძველ სამსახურში არა, ადგილი არ გვაქვს, სხვა სამსახურში, სადაც დიდი თანამდებობაა იქ გაგიშვებო. მატერიალურად ძალიან მიჭირდა, ამიტომ სხვა გზა არ მქონდა და დავთანხმდი. კრიმინალური პოლიციის სხვა სამსახურში მიმიღეს, კარგი პირობებიც შემიქმნეს, სამაგიეროდ სხვაგან ცხვირი არ უნდა გამეყო. ასე გაგრძელდა ორი თვე, მერე შემომიჩნდა ჩემი ყოფილი თანამშრომელი რობერტ ლიპარტელიანი, სპეცოპერატიული დეპარტამენტი (სოდ-ი) შეიქმნა და იქ გადმოდი, ლევან კალაძის გატაცების საქმეზე უნდა ვიმუშაოთ, შენ კარგად იცნობ ამ საქმეს და ბოლომდე მივიყვანოთო. სამი თვე მიჩიჩინა, პენსიაზე გასვლის დრო მიახლოვდებოდა, მაშინ მაქსიმუმ პენსიებს (ხელფასის ოდენობას) ნიშნავდნენ, პენსიაზე გასვლას ვფიქრობდი, მაგრამ ლიპარტელიანმა გადამაფიქრებინა. ეს ხდება 2005 წლის გაზაფხულზე, ამ პერიოდში უკვე ვანო მერაბიშვილი იყო შს მინისტრი. მიუხედავად იმისა, რომ სოდში გაცილებით ნაკლები ხელფასი მექნებოდა, მაინც დავთანხმდი, რადგან რომ იტყვიან იდეალისტი ვარ, თუმცა ამ ყველაფერს ახლა ძალიან ვნანობ.

დავიწყე მუშაობა, გარკვეული შედეგებსაც მივაღწიე, ვიღაც-ვიღაცეები უნდა დაგვეკითხა, გარკვეულ პირთა დაჭერაზე იყო უკვე საქმე და უცებ რაღაც შეიცვალა, სხვაგან გადამიყვანეს. კი ვიცი რაც შეიცვალა, მაგრამ... კალაძის გატაცების საქმეზე ამერიკიდან რაღაც პასუხს ველოდებოდით, დღემდე არ ვიცი რა პასუხი მიიღეს. ხელმძღვანელობამ მითხრა, პასუხს ერთი თვე მაინც დაჭირდება, მანამდე ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულობების გახსნაზე იმუშავე და მერე „დავარტყათო“. მომცეს რამდენიმე კაციანი ჯგუფი, ამოვირჩიე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი „საძმო“ და ხელმძღვანელობას მათზე დავუდე მასალები. მე ჩემი ინფორმაციები მქონდა, რაზეც ადრევე (90-იან წლებში) ვმუშაობდით მე და დათო კეკუა. ამ ჯგუფის წევრების (საუბარია ვერის საძმოზე – მ.ს.) დაჭერის საკითხი დავსვი, მაგრამ უარი მითხრეს. უშუალოდ ხელმძღვანელობას არ უთქვამს უარი. იმ პერიოდში უშიშროების სამინისტრო უკვე შსს-სთან გაერთიანებული იყო და ამ სამსახურის მეშვეობით, თანაც ირიბულად მაგრძნობინეს ამ ჯგუფს თავი დაანებე, მათ ინვესტიციები უნდა შემოიტანონო. ავღშფოთდი, ამდენი მკვლელობები როგორ უნდა ვაპატიოთ-თქო. მათ ჩვენი თანამშრომელი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ლუდვიგ აბრამიანიც ჰყავდათ მოკლული.

- **მოდით, ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ.**

- აბრამიანი ოზურგეთში მოკლეს. იქ 90-იან წლებში დიდი „გარჩევები“ მოხდა. იმ პერიოდში ოზურგეთის გამგებლის მოადგილე ვერის საძმოს წევრი მეტსახელად „ჩიპო“ იყო. ჩვენ ოპერატიული ინფორმაციები გვქონდა, რომ „შავი სამყაროს“ ადგილობრივმა წარმომადგენლებმა მას სოლიდური თანხა (დაახლოებით 50.000 აშშ დოლარი) მისცეს, ძებნა მოგვიხსენიო. „ჩიპომ“ ეს ფული აიღო, მაგრამ „საქმე“ არ გაუკეთა, დასასვენებლად წავიდა. მერე ორი „გადაგდებული“, თავზე დაადგა „ჩიპოს“, თავისი მეგობარი ქალის

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სახლში (ოზურგეთში), ამდენი ფული რაში გადაგიხადეთ, „საქმეს“ რატომ არ აკეთებო. „ჩიპომ“ თურმე უთხრა, ჯერ ვერ ვაკეთებ, მაგრამ აუცილებლად გავაკეთებო. მათ გამობრუნება დააპირეს, მაგრამ გახსენდათ, რომ „ჩიპო“ გავლენიანი საძმოს წევრი იყო, მის ცოცხლად დატოვებას მეტი პრობლემები შეიძლებოდა შეექმნა და ავტომატით მოკლეს. ამის მერე ვერის საძმოს წევრებმა, „ზარალამ“, „ჟორიკამ“ და სხვებმა ადგილობრივი ბიზნესმენები აიყვანეს, „გარჩევა“ მოუწყვეს და ისე სცემეს, რომ ისინი საავადმყოფოში მოხვდნენ. ზოგიერთ მათგანს შსს-ს ჰოსპიტალში მკურნალობდნენ, თუმცა ეს ამბავი არ გაუხმაურებიათ. ამ საქმეებში მონაწილე პირების ვინაობის საჯარო დაფიქსირებისგან თავი შევიკავოთ, რადგან ამ შემთხვევაშიც იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი ძიების საგანი გახდება და საქმეს გახსნის პერსპექტივა არ დავუკარგოთ. ეს ისეთი კომპრომატებია, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც ამოვარდება და მოვლენებს ნუ გავასწრებთ. დავუბრუნდეთ ოზურგეთის ამბავს, ეტყობა ვიღაცამ გააგებინა ხსენებული საძმოს წევრებს, ერთ-ერთი „გადაგდებული“, მეტსახელად „პაკო“ ოზურგეთში თავის სახლშიაო და უცებ გამოცხადდა განგაში. შსს-ს ერთ-ერთი მაშინდელი მაღალჩინოსანი წავიდა ოზურგეთში. სხვათა შორის, ამ პიროვნების შვილიც ხსენებული საძმოს წევრი იყო, მძღოლად ყავდათ. ეს მაღალჩინოსანი თბილისის პოლიციაში მუშაობდა და ფაქტობრივად ოზურგეთში არაფერი ესაქმებოდა, ხომ ხვდებით რატომაც გამოიდო თავი. სამინისტროდანაც ვიღაც უნდა წაეყვანათ და წაიყვანეს ლუდვიგ აბრამიანი, რომელიც შსს-ში მორიგე იყო. მის ცხედარს ტყვიები წინიდანაც ჰქონდა მოხვედრილი და უკნიდანაც, ეს როგორ მოხდა? უბრალოდ მოკლეს ეს ახალგაზრდა კაცი, რომ „პაკოსა“ და სხვების დახოცვა გაემართლებინათ. ეს ყველაფერი რომ ვიცოდი, იმიტომაც დავიწყე სერიოზული მუშაობა, მითუმეტეს, რომ საქმე ჰალსტუხიანი ყაჩაღების ორგანიზებულ დანაშაულს ეხებოდა, რომლებიც ყაჩაღობით გამდიდრდნენ.


ლევან კალაძე

ხელმძღვანელობამ არასრულწლოვნების საქმეებზე მუშაობა შემომთავაზა, უარი ვუთხარი, რა დროს არასრულწლოვნების დევნაა, როცა ამდენი ჰალსტუხიანი ყაჩაღი თავისუფლად დადის-თქო. ეს საკითხი რომ დავსვი, უცებ ჩამომაშორეს ამ საქმეებს და რომელიღაც სამსახურში გადამისროლეს. ცოტა ხანში კი მითხრეს, რა თქმა უნდა არაოფიციალურად, პენსიაზე გადიო. კატეგორიული უარი ვუთხარი, ვიცე-პოლკოვნიკის წოდება მაგათ არ მოუციათ, თავის დროზე პენსიაზე არ გამიშვეს, დაბალ ხელფასიან თანამდებობაზე დამნიშნეს და მამუშავეს, როცა პენსიები შემცირდა მაშინ რატომ უნდა გავსულიყავი? ეს რომ ვუთხარი სოდის ხელმძღვანელობას, მაშინ გაათამაშეს ჩემი ვითომდა დამნაშავეობის სპექტაკლი.

ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს კადრების განკარგულებაში რომ ამიყვანეს და მერე დამაბრუნეს კრიმინალურ პოლიციაში, ცოტა ხანში ჩემი განყოფილების უფროსმა მთხოვა, გუშინ ადამიანის გატაცების საქმე გავხსენით, აგენტს ფული უნდა გადავუხადოთ, აქ წერა არავინ იცის და თანხა შენ გამოწერეო. ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესია, ასეთი შემთხვევები ადრეც გვქონია და უარს ხომ არ ვეტყოდი. გავაფორმე დოკუმენტი, როგორც კი გადმომცეს თანხა (1000 ლარი) მაშინვე დაავლო ამ ჩემმა შეფმა (გია სამარღანიშვილი) ხელი და წაიღო. სხვანაირად რომ ვერ მიშორებდნენ სამსახურიდან, ეს „საქმე“ წამოსწიეს, თითქოს მე ეს ფული გამოვწერე და მივითვისე. ეს რომ სიმართლე იყოს, ვინ შემარჩენდა მე ამ ფულს, მითუმეტეს იმ პერიოდში. ეს ყველაფერი ჩემი მოშორებისთვის გაკეთდა, ჯერ კალაძის საქმე, მერე არც ის ესიამოვნათ ვერის საძმოს რომ მივადექი.

**- ბატონო დავით, ლევან კალაძის გატაცების საქმეზე რომ პირები დაიჭირეს, რომლებიც დღესაც პატიმრობაში არიან, ისინი თუ ფიგურირებდნენ თქვენს მიერ მოკვლეულ მასალებში? შემთხვევით ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებიც ხომ არ იყვნენ გარეული ამ საქმეში?**

- იქ ნამდვილად არ არიან და სხვა რა თქვეს მერე მათ, ნამდვილად არ ვიცი, რადგან მე ყველაფერს მიმალავდნენ. ვახო კომახიძე საუბრობს თავის ფილმში 2006 წელს სოდმა ეს საქმე გახსნაო, მე მყავდა ეგ ჯგუფი და მართლა რეალური შედეგები გვქონდა. რომ გითხრათ ვინ ფიგურირებდა მაგ საქმეში, იმ ხალხს დახოცავენ დამკვეთები, თქვენც პრობლემები შეგექმნებათ, მოინდომებენ მათი ვინაობის გამხელას, ამიტომ სჯობს არც თქვენ იცოდეთ. ისეთ პერიოდში მოხდა კალაძის გატაცება, როდესაც შევარდნაძის იმიჯი უნდა დაცემულიყო. არ იფიქროთ, რომ ვინმეს კახი კალაძის „ზუბი“ ჰქონდა, უბრალოდ შევარდნაძის იმიჯის შელახვა უნდოდათ, იგივეს ემსახურებოდა მარიამ გოგინაშვილისა და სხვათა გატაცებებიც. რაც შეეხება „ახალგაზრდა რეფორმატორებს“, მათი როლის გამორიცხვა კალაძის გატაცების საქმიდან არ შეიძლება, უფრო მეტიც, ჩემი ინფორმაციით უშუალოდ ეგენი იყვნენ დამკვეთები. ჩემი ყურით მოვისმინე როგორ დაასახელა შსს-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირი, ამავე უწყების მაღალჩინოსანი, რომელიც გარეული იყო ამ საქმეში. ერთადერთი ხელმოსაკიდი ამ საქმეში ეგლაა. გადახედეთ გაზეთ „ალიას“ არქივს, იქ იბეჭდებოდა სტატიები იმასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი პიროვნებისთვის ესპანეთიდან ექსტრადიცია რომ უნდა გაეკეთებინათ და საბუთებმა დააგვიანა. რა მოხდა მაშინ იქ? სასწაული ის არის, რომ არც ლევან კალაძის და არც მარიამ გოგინაშვილის გატაცების საქმეზე ერთი აუდიო ჩანაწერიც კი არ მომასმენინეს. აქედან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება, ე.ი. ის ხალხი ურეკავდა მათი ოჯახის წევრებს ვის ხმასაც ვიცნობდი. საქმეზე მამუშავებ და ჩანაწერებს არ მასმენინებ? ეს ჩანაწერები რომ მოვითხოვე, მოიცა რაო და სულ სხვა საქმე „შემომტენეს“. ახლა ბათუ სალინაძე და ვიღაცეები იტყვიან, აი, ახალი პერსონაჟი გამოჩნდაო, მაგრამ რასაც ვამბობ, ფაქტია, რომელსაც ვერსად გავექცევით. აქამდე იმიტომ ვდუმდი, რომ ჩემი პოლიციიდან გაშვების საკითხი როცა წყდებოდა, სწორედ იმ დროს მიიღეს სამუშაოდ ჩემი შვილი შსს-ში ისე, რომ არავისთვის მითხოვია. სახტად დავრჩი, ხმა როგორ უნდა ამომეღო, როცა ჩემი შვილი ფაქტობრივად მძევლად აიყვანეს. ის პირები ვინც ფიგურირებდნენ ჩემთან ერთად ფულის გამოტანის საქმეში ყველა დააწინაურეს, მე კი სამსახურიდან დამითხოვეს. სანამ სამსახურიდან გამიშვებდნენ ერეკლე კოდუა თავის მოადგილეების გოგიბერიძისა და ლევან გურგენიძის თანდასწრებით შემხვდა. უბრალო ოპერმუშაკთან რა საჭირო იყო ასეთი გარჩევები? ეს იმიტომ მოხდა, რომ მე ხმა ამოვიღე, ამ შეხვედრიდან ისე გამოვიდა, რომ გაჩუმდი და ჩვენც გავჩუმდებით, აღარ დაგიჭერთ, მაგრამ სამსახურიდან უნდა წახვიდეო, შვილზეც მიმანიშნეს და იძულებული გავხდი გავჩუმებულიყავი. არადა გოგიბერიძეს თავის დროზე ყველაფერი რომ მოვუყევი რა და როგორ მოხდა, დამპირდა მხარში დაგიდგებით, ცუდი არაფერი გელისო, თუმცა პოზიცია შეიცვალა. ასე არაფრის გამო გამომისტუმრეს, არადა თუნდაც სოდის ხელმძღვანელობა უარესს საქმეებს აკეთებდა. ამოიღონ ყველა „კანონიერი“ ქურდის დაკავების საქმე, რამხელა თანხები აქვთ გაწერილი თითქოსდა აგენტებს რომ გადაუხადეს, რაც სინამდვილეში ერთი თეთრი არ დასჯდომიათ. ამ თანხებს „აგენტებზე“ აფორმებდნენ და თვითონ ითვისებდნენ. თუ მართლაც მივითვისე ის ფული, რატომ არ დამაბრუნებინეს და დამიჭირეს? დაჭერასაც მიპირებდნენ, მაგრამ გავაფრთხილე, რომ ჩემი ევროპელი მეგობრებისთვის მქონდა გადაგზავნილი ყველა მასალა და როგორც კი ხელს მახლებდნენ, მაშინვე გამოქვეყნდებოდა. ეს ამბავი 2007 წელს მოხდა, როგორც მერე გავარკვიე, ნაცხელისუფლება მაშინ უკვე მუშაობდა ბადრი პატარკაციშვილის მოცილებაზე, ამიტომ არ აწყობდათ ამხელა სკანდალი, რომელიც ქართული ძალოვანი სტრუქტურების კომპრომეტაციას მოახდენდა.

ორი წელი გავიდა, რაც ხელისუფლება შეიცვალა და დღემდე ველოდები როდის მომეცემა საშუალება, რომ ყველაფერი ვთქვა, გავაგრძელოთ გამოძიება, მე ხომ ყველა მასალა გამაჩნია. რატომ მიკრძალავენ მუშაობას? ალეკო ტაბატაძე შს მინისტრის მოადგილედ რომ დაინიშნა, დამიბარა და მითხრა, გავეცანი თქვენს საქმეს, არავითარი კომპრომატი თქვენს წინააღმდეგ არ არსებობსო, თითქოს მაღალ თანამდებობაზეც მნიშნავდნენ, მაგრამ მერე მითხრა, რაღაც პრობლემებია, თუმცა ვერ დამიკონკრეტა რა პრობლემა იყო.


დონალდ ტრამპი და „ზარალა“

**- რატომ ელოდებით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იქნებ თვითონ გეცადათ სიმართლის გარკვევა? რამდენადაც ვხვდები თქვენი პრობლემა თანხის მითვისებას უკავშირდება.**

- ამ საქმეში ხუთი თუ ექვსი კაცია დასაკითხი და დაკითხონ, ჩემი უშუალო უფროსი გიორგი სამარღანიშვილი (მისი ძმა ნიკოლოზ სამარღანიშვილი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა), რომელმაც გამომაწერინა თანხა და თავად წაიღო, სამმართველოს უფროსი ბადაგაძე, რომლის მძღოლმაც მომიყვანა ის ე.წ აგენტი, ვიცი რომ ისინი არაფერ შუაში არიან, ირაკლი ქადაგიძემ დაავალა, თავის მხრივ ირაკლისაც დაავალეს, მაგრამ ხომ უნდა თქვან ვინ დაავალა. დასაკითხია კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ლევან გვაზავაც და ა.შ. გამომძიებელს ჩემთან საუბრისას წამოსცდა, ამოღებულ მასალებში მითითებული იყო ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, „ცხელ კვალზე“ გატარებული ღონისძიების შედეგად დააკავეს გამტაცებელიო. ესეც ჩემს სიმართლეს ადასტურებს. საქმე იმაშია, რომ ეს ღონისძიება მართლაც გატარდა, რომელიც გლდანის რაიონის პოლიციამ ჩაატარა, აქ უშუალოდ სამინისტრო არაფერ შუაში იყო, ხელმძღვანელობამ კი მომატყუა, ჩვენი სამსახურის ჩატარებულ ოპერაციად გაასაღა. უარს მაინც ვერ ვიტყოდი, სამსახურში ახალი დაბრუნებული ვიყავი, ამით მიზეზს მივცემდი სამსახურიდან ისევ გავეშვი. მაშინვე წერილობით მივმართე სამინისტროს ხელმძღვანელობას, მაგრამ პასუხი არ მაღირსეს, საერთოდ არ გამაკარეს ამ საქმეს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ წერილი მივიღე, თქვენი საქმე წარმოებაშია, ინტენსიურად მიდის გამოძიებაო, არავითარი გამოძიება, ყველაფერი გაჩერებულია. აღარც მიმიკითხებია, რა აზრი აქვს, ტყუილად ნერვები უნდა მოვიშალო. მგონია, რომ ეს ყველაფერი სოსო ალავიძისგან მოდის, სანამ რაიმე ბერკეტი აქვს, დარწმუნებული ვარ ბარიერს შემიქმნის. ალავიძეს ბერკეტები რომ აქვს იმითაც დასტურდება, რომ ახლახანს დააჯილდოვეს. მერაბ ბაღათურიას მართლაც ეკუთვნოდა ჯილდო, სოსო ალავიძისა კი რა მოგახსენოთ, არადა ერთ დროს მართლაც კარგი პოლიციელი იყო, ყველაზე პირველად ადამიანის გამტაცებლები მე და მაგან ავიყვანეთ. ალავიძე ქვემო ქართლში რომ გადავიდა სამუშაოდ შემომთავაზა მასთან გადასვლა, მაგრამ უარი ვუთხარი, ალბათ ესეც ეწყინა, მერე რაღაც ტყუილი ამბები მოიგონეს და დაიჯერა, საერთოდ ენების ამყოლი კაცია, ბოლოს საქმეებითაც დავუპირისპირდით ერთმანეთს, ვგულისხმობ ე.წ. საძმოების საქმეებს. შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ ანალიზს, რომ ვაკეთებ აქამდე მივდივარ. პირველად ხდება, როდესაც ასე გულახდილად ვსაუბრობ ჩემს პრობლემებზე, მართალია, არ არის ლამაზი ჭუჭყიანი საცვლების გამოფენა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დამიტოვეს. რომ იცოდეთ, ჩემსავით უსამართლოდ მოძულებული ძალზე ბევრი გამოცდილი კადრია.


ნიკოლოზ რურუა

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

# ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

## (ფრაგმენტები ლადო ბედუკაძის წიგნიდან)

ჩემს მიმართ ღია თუ ფარულმა ბრძოლებმა, დროთა განმავლობაში, გაგელიმებათ და მართლაც რომ მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლებში პოლიტიკოსებთან ერთად გზადაგზა ე.წ. ჟურნალისტებიც აქტიურად ებმებოდნენ, ცხადია, ასევე ხან ფარული და ხანაც აშკარა მიზნებით და მიზეზებით. მაგალითად, ერთ მშვენიერ თუ არამშვენიერ დღეს ბელგიაში ფეისბუკის საშუალებით, ვინმე ელისო კილაძე დამიკავშირდა. იმ ხანებში მე თვითონ მსურდა, რაც შეიძლება მეტი ჟურნალისტისთვის მიმეცა სწორი და უტყუარი ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რაც იმხანად აქტუალური იყო და უშუალოდ ჩემთან იყო დაკავშირებული. ელისო კილაძემ, ჩემი აზრით, მიზანმიმართული და სპეციალურად ჩაფიქრებული გეგმის შესაბამისად, მოახერხა ჩემი ნდობის მოპოვება და გარკვეული დროის განმავლობაში ცდილობდა „ემეგობრა" ჩემთან. „ცდილობდა"თანადგომა გაეწია ჩემთვის. მეუბნებოდა თუ როგორ „სთხოვა" მას ვინმე იქს ადამიანმა ჩემი პატრონობა, თუმცა ამ ადამიანის დასახელებისგან კატეგორიულად იკავებდა თავს. საქმე ისა, რომ კი არ სთხოვეს, დაავალეს, ჩემი ვარაუდით, „ნაციონალური მოძრაობის" დღემდე დარჩენილმა იდეოლოგებმა. მართლაც არ მინდოდა, მოვლენების განვითარებას ასეთი ხასიათი მიეღო, მაგრამ დღეს უკვე იმდენ სიბინძურეს ვისმენ ქალბატონი ე.წ. ჟურნალისტისაგან, რომ მინდა საზოგადოება თავად დარწმუნდეს მტყუან-მართალში. ადამიანი, რომელიც დღემდე იფარებს და აპიარებს მერაბიშვილის კუდის ვირთხას, ვინმე კენკებაშვილს, რომელიც თავს "ღრმა დაშიფრვის ოფიცერს" უწოდებს, ადამიანს რომელსაც თითოეული თქვენგანის ბედის გადაწყვეტაში აქვს უარყოფითი როლი და წვლილი შეტანილი დღეს მართლაც და ლამის რომ წმინდანად რაცხავს.

ამ ადამიანის მიზანი ჩემი პროვოკაციებში ჩათრევა და ხელის მოთბობა არის და იყო ყოველთვის. ადამიანი, რომელიც ხან შიდსის ვირუსის მატარებლად მაცხადებს, ხან გენერალ კეკუას მკვლელობას მაბრალებს, ხან ვინმე მესხელის თანამზრახველეობას, როგორ შეიძლებოდა ჩემი მეგობარი ყოფილიყო.

ახლა ქალბატონი კილაძე ბევრს საუბრობს იმაზე, თუ როგორ ვევედრებოდი, მფარველობა და თანადგომა გაეწია ჩემთვის. ქვემოთ წარმოგიდგენთ საუბრების ჩანაწერს, რომელიც ბელგიაში ჩემი ყოფნის პერიოდში ფეისბუქის საშუალებით ხორციელდებოდა. ამ მიმოწერაში ცხადად ჩანს მისი დამოკიდებულება არა მხოლოდ ჩემს მიმართ, არამედ ქალბატონი ინაშვილის, ჯღარკავას და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ საზოგადო ფიგურების მიმართაც. დაკვირვებული მკითხველი დღეს იოლად გაარკვევს ამ დიალოგების კონტექსტში რა ფარული ზრახვები იმალებოდა.



ლადო ბედუკაძე

ეს მიმოწერა, ნაწილობრივ სიცხადეს შეიტანს და შესაძლოა, ნათელიც მოჰფინოს ცალკეულ პასუხგაუცემელ კითხვებს. ვფიქრობ, ამის შესახებ უნდა იცოდნენ იმ ადამიანებმა, ვისზეც აქაა საუბარი.

**Eliso Kiladze 2012 წლის 14 ოქტომბერი, კვირა, 22:29-ზე UTC+04**

– ინაშვილი არის დამნაშავე? აქვე გეტყვი, მე მას არ ველაპარაკები და პროვოკატორად მიმაჩნდა და მიმაჩნია, ისეთი მიქარვა აქვს ჩემთან ორი წლის წინ. მარტო გმირობა მოუნდა. ამ საქმეში საიდან აღმოჩნდა? შენს გვერდით? ეგ ამბობს მე გავაკეთე ყველაფერიო. შენ რამე თუ შემიძლია დახმარება მე მითხარი რა გავაკეთო .პრობლემა არა მაქვს რასაც მეტყვი დავბეჭდავ. თუ რამე შემეძლება დაგეხმარები. ინტერვიუსაც მივცემ გინდა ვინმესთან მივალ. ვწუხვარ, რომ ამოდენა საქმის მერე ასე მოხდა რომ მარტო დარჩი. მაგრამ სიმართლე არ დაიკარგება. მომწერე აქ თუ რამე გინდოდეს და სკაიპშიც დაგიმატებ

elisso50 var me. gamogigzavne skaipshi da roca chartav damimate.

რა გააბრაზე ამისთანა ირმა ინაშვილი მთელს შენს ბოღმას ჩემზე ანთხევს. დღეს მეორე გმირობა მოინდომა ჭუბერში გადაღებული კადრების ავტორობა დაიჩემა. არადა ეს ჩემი გარდაცვლილი მეგობრის კადრებია და ვერ ვაპატიე. ჩემთან შედი და ნახავ. ხვალ აპირებს ბრიფინგზე სიმართლე უნდა ვთქვაო და გამოდის აქამდე გვატყუებდა. ეგ და ვახო ბეგიაშვილი სამი წელია ასე მებრძვიან. ორი უზნეო.

ხვალ რამეს ახალს იტყვის? გიორგი ლომიას გარდა. ეგ ხომ შენ დაასწარი?. შენ არ ინერვიულო საზოგადოებრივი აზრი მთლიანად შენს მხარესაა...

იმდენი სისულელე ილაპარაკა ინაშვილმა დღეს. ურთიერთგამომრიცხავ ამბებს ავრცელებს და ხალხს შეკითხვები უფრო მეტი გაუჩნდა, ვიდრე აქამდე ჰქონდა. ხალხი ყველაფერს მიხვდა. ნინო ჯღარკავამ თავად აღიარა ვანო ჩხარტიშვილის ფული იყოო. მთავარია საზოგადოების დიდი ნაწილს მაგათი არ ჯერა. სისულელეებს ლაპარაკობენ. ჩემთან დევს ჭუბერის კადრების თემაზე რომ დავდე სტატუსი. იქ დაწერა კომენტარებში. მთავარია გული არ გაიტეხო. ყველაფერი კარგად იქნება

**Eliso Kiladze 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:48-ზე UTC+04**

– მაქვს კადრები. ვნახე ის ნინოს ბიჭიც . რა კარგ ხასიათზეა ტიპი . მესამე პირით მოვიდა ჩემთან. ამან მისცა ერთ ტიპს ვინც ჩამოსულია და არ იცის რომ ჩემთან მოხვდა არ გამამხილო.... ამას როგორ უძლებდი ....

**ლადო ბედუკაძე 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:51-ზე UTC+04**

– ფოფხას ნახავდი ალბათ

**Eliso Kiladze 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:51-ზე UTC+04.**

– დღეს კი და მერე უკვე იქ წაველი კადრები ვისაც მისცა. იმ ტიპთანაც უქიხარ ძაან კარგი ბიჭიაო. განათლებულიო

**ლადო ბედუკაძე 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:53-ზე UTC+04**

– ვის? ფოფხას? ვისთან?

**Eliso Kiladze 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:53-ზე UTC+04.**

– ჩემს ერთ ნაცნობთან ვისაც კადრები მისცა იმასთან შვილებს გეფიცები, მხოლოდ კარგი რამეები მოუყოლია. ეტყობა ეშინია, თან ფიქრობდა, რომ მე მეტყოდა ის ტიპი

**ლადო ბედუკაძე 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:54-ზე UTC+04**

– ელისო ვერაფერს ვერ ვხვდები გავჭედე

**Eliso Kiladze 2012 წლის 26 ოქტომბერი, პარასკევი, 23:54-ზე UTC+04**

– ფოფხაძე მივიდა ერთ კაცთან და მისცა კადრები . იმან კიდე მე ის ნაწილი რაც ნინოს ეხებოდა. თან იქ ილაპარაკა შენზე მხოლოდ კარგი რამეები. მე მინდოდა ნინოს ნაწილი ისე რომ ფოფხაძეს არ ცოდნოდა რომ მისგან ავიღე . ამიტომ რაში მჭირდებოდა ინაშვილის მეგობარი მოწმედ. შენგან ხომ ვიცი რომ ეგეც გასვრილია. ოთხი ნაწილიაო ამ ტიპმა მითხრა. ახლა ნინო მაესტროზე იყო. მივა სახლში და ვეტყვი ამ კადრებზე . გადაირია გოგო, არავის არაფერი მოუტანიაო

**Eliso Kiladze 2012 წლის 27 ოქტომბერი, შაბათი, 0:38-ზე UTC+04**

– ბაკურის იცნობ? ბაკურას გამო დაიწყო ჩემი ომი ინაშვილთან. თავიდან მაგას დააყარა. რაებს უწერდაა. მაგას რა გონია ვინმეს ეშინია მისი? ნერვები უნდა მოუშალო მეტი არაფერი. პრესკონფერენცია მაქვს ორშაბათს პირველ საათზე და ამის მერე ლომია აღარ იარსებებს როგორც პერსონა და მეორე თედო ჯაფარიძე ვნახე და ხვალ საღამომდე შენი ოჯახის საკითხს და ვიზებს გამირკვევს. ელჩს დაელაპარაკება რომელიმეს, ოღონდ თედოს სახელი სეკრეტია და ჯერ არ ახსენო არსად და მესამეც მქონია, ნინო უნდა ვნახო დღეს 9 სთ–ზე . ნინოს მივუტან ამ კადრებს. მერე იტყვის, რომ ლომია მისი პიარშიკი არასოდეს ყოფილა და მასთან არაფერი მიუტანია. ჰოო კიდე ერთი ორშაბათს ღამე სკაიპით ინფო 9–ზე ჩართვას გაგიკეთებ ჩართვას სკაიპით. კი, ამ თემაზე. კი, ლადო, შენ რაც გინდა, ყველაფერს იტყვი. ამ ინტერვიუზე ხვალ შევთანხმდეთ დეტალებზე

**Eliso Kiladze 2012 წლის 27 ოქტომბერი, შაბათი, 19:08-ზე UTC+04**

– ლადო ერთი რამე მითხარი მერვეში ქურდი ყავდათ? აბა ის გოჩა ვინ არის? პატიმარს ხელი დაარტყაო

**ლადო ბედუკაძე2012 წლის 27 ოქტომბერი, შაბათი, 19:12-ზე UTC+04**

– ფსიქიურად დაავადებულია

**Eliso Kiladze 2012 წლის 27 ოქტომბერი, შაბათი, 19:13-ზე UTC+04**



ელისო კილაძე

– ეტყობა, ეგეც სპექტაკლია. ეს სად იპოვნე გეხვეწები ინაშვილის ამბავი? მერე ნინომ გვიან გადამიწია 10-ზე და რომ წავიდე. აქ არ ვიქნები. ეს დაუბანელი იფიქრებს ჩემი შეეშინდაო ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა შაშკინის მამას დაადასტურებინა, რომ ის ნომერი რომელითაც მე მესიჯი მომივიდა დიმასია. მობილიზაცია არაა, სამი კაცია სულ. ჩაჩიბაია პედარასტია. ლადო გოროზიას იმიტომ გადაეკიდა რომ... ნინო ჯღარკავა უარესი... ნუ ახლა მაინდამაინც თუ გინდა ამაღამ გავათენო მაგის ლანძღვაში, ჯანდაბას... ხვალ კვირაა დილას გამოვიძინებ. შენ რა გგონია მარტო შენ გლანძღავდა? კაცი არ დარჩა, რომელიც ინაშვილს ნალანძღი არ ყავს. ლომიაზე რას იტყვის ორშაბათს?

**Eliso Kiladze 2012 წლის 28 ოქტომბერი, კვირა, 0:23-ზე UTC+04**

– ვიყავი ნინოსთან, ბადრისაც დაურეკა და აჩვენა ამ ბიჭის კადრები. არავითარი კადრები ლომიას იქ მიტანილი არა აქვს. შენთან რომ გოგო იყო ინტერვიუზე ის მივიდა კომენტარზე. ლომიაზე თქვა ყველაფერი იმიტომ რომ მიშას ამოცანა იყო და არის ანზორიკოს დაჭერა, ანზორიკოს უთქვამს 2003 წელს – დედა რას აკეთებ ვერ ხედავ გიჟიაო. ანზორიკო მაგარი ბიჭია ძაან, თან დედამისზე გიჟდება. ის ნასედკა იცნო. სულ მე დამდევდა უკანო. ნინოს მიბმა უნდოდათ თამაზაშვილთან ერთად. მერე რუსეთი პუტინი და გამოგიყვანდნენ რუსების აგენტს და სამშობლოს მოღალატეს . მაგარ შარში ხარ რაა.... ამათ ხელში კიდე კარგად გაძვერი. ეს შენს ჭკუაზე მეტყველებს ხო და თან ფოფხა ამბობს ეგ კაცი ჩემი ახლობელიცააო . ამისთანა არაფერი მინახავს

შემოვარდა შენი პადრუგა ინაშვილი. ეტყობა უთხრეს პოსტი უდევსო. დაიწყებს ახლა წერას. აუუუ როგორ არ მაღელვებს ინაშვილის აზრი. მაგან იკითხოს... ბაკურა ინაშვილს ვერ იტანს...

ეგ რომ შემეცოდა მე, იმიტომ მოხდა ინაშვილთან ჩემი დატაკება. ბაკურის უწერდა ცისფერი ხარო და ამნაირებს... მე ამომასხა მაშინ, ერთად ვმუშაობდით მე და ბაკური... შენ სტრახოვკა არ გქონდა... ყველაფერი უშეცდომოდ გააკეთე, ოღონდ... ცოტა იაღლიშიც მოგივიდა. ყველაფერი წავიდა კარგად. ახლა წავიდნენ ლომიას მოსაძებნად ჟურნალისტები, ან მას იპოვიან ან თარხან-მოურავს ჩაწერენ. საღამომდე იფიქრე და მერე გვიან მომწერე პასუხი, ხვალ ინფო 9 ეთერით რომ მოხდეს შენი ჩართვა და თუ მოხერხდება და ადვოკატს კითხე, რამდენად არის ეს შესაძლებელი შენი მეუღლის ჩაწერა, სტამბოლში. ოღონდ ამის გაკეთება ადვოკატის კითხვის გარეშე არ შეიძლება.

**Eliso Kiladze 2012 წლის 30 ოქტომბერი, სამშაბათი, 13:10-ზე UTC+04**

– ზვიადიმ დამირეკა. დიდი მადლობებით, ბერაძემ, ასევე მისმა დედამ. ზვიადიმ გამოვალ და მე მოვყვები ეგ ბიჭი რა დიდ საქმეს აკეთებდა იქო, პატიმრებს როგორ უვლიდაო. მაგარი კაცია. დედამისმა ტვინი გამიბურღა როდის ჩამოხვალ ლადო რომ დამალაპარაკო სკაიპში მადლობა უნდა ვუთხრაო. დედამისს მინდა დაველაპარაკოო, მერე ვუთხარი, დედა გარდაცვლილი ყავს თქო. ამაზე სულ გაგიჟდა.

ალიაში არის შენი ანშლაგი დღესაც საღამოს მოგცემ ლინკს რომ წაიკითხო . ინაშვილი გამწარებულია სასტიკად ჩემზე ლომიას გამო. გიჟებს გვანან. ბურჯანაძესთან მოეკეტათ თან. al-83-2739.pdf დღევანდელი ალიაა. გიჟებიიი... ვასიკო გიორგაძეს ვაწვები, შემხვდი. მომეცი ფაქტები რეხვიაშვილზე–თქო არც მირეკავს.. ეს ეტყობა ილია ჩაჩიბაიაა. რა ჯანდაბა უნდათ ამ გვერდებს რატომ აკეთებენ? შენზე? ახლა ვნახე.

**Eliso Kiladze 2012 წლის 31 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 23:09-ზე UTC+04**

– ირმას იმდენი გრეხები აქვს რო ყველა ერიდება ბიძური ქალია. ასე რომ კარგი ადამიანებიც არსებობენ და ყველა ინაშვილს არ გავს, მერე როცა შენც გეცლება და მეც თავიდან მომიყევი რა ეს ამბავი, მე ხომ შუიდან ვიცი ინაშვილთან ჩხუბის მერე. ოჰ ობიექტივმა მობილიზაცია გამოაცხადა. ირმას პრემიას აძლევენ ჭუბერის კადრებისთვის . ეს პროგრესია. მეგონა ციხის კადრებისთვის დააჯილდოვებდნენ. დააჯილდოვონ.... მერე გავაბანძებ . კადრები ჩემი გარდაცვლილი მეგობრის გადაღებულია, გაეკაიფე მეგონა ციხის კადრებისთვის დააჯილდოებდნენ თქო . დამიჯერე... ეს უნდა გააბანძო . ნერვები არ აიშალო.

ჯღარკავა იდიოტი. მართლა ისტერიჩკა. ჯღარკავასთან დადე უფრო საკაიფო იქნება. ეკაიფე რა . ნერვების მოშლა ზედმეტია. ხო ხედავ როგორ ვეკაიფები ჯღარკავას. კადრები გავახსენე თქო ვერ დადებენ კადრები არა აქვთ. იმ კვირაში მე წავალ ქუთაისში და ჩამოვიტან ჩემი მეგობრის კადრებსმე მარტო ვებრძოდი ამ ბინძურ ქალს. შენ მარტო არ ხარ. ამდენი ხალხი გიდგას გვერდით დარეჯანს მაგრად გაუსწორდა მისი ხსენება თან ვუთხარი ეს ლადოს თხოვნაა თქო. დაანებე მადლობებს თავი . მადლობა იქით უნდა გაიხადოს ყველმ

**Eliso Kiladze 2012 წლის 1 ნოემბერი, ხუთშაბათი, 0:39-ზე UTC+04**

– ოჰ ჩაჩიბაია გაიჩითა . გაიჩითა ირმას სურათით. შენ გიშლიან ნერვებს და არ აყვეე. ხომ არ ნერვიულობ? ახლა მომწერეს შენთვის გგადმოსაცემად. უთხარი არ ინერვიულოს. ოჯახის ვიზებს გავაკეთებთო

**Eliso Kiladze 2012 wlis 2 noemberi, paraskevi, 0:57-ze UTC+04**

– ეგება შენც ჩამოხვიდე მერე. რა იცი რა ხდება. ინაშვილი ცუდათ ყოფილა დღეს. უნდოდა მისი ნახვა ერთს... ქალს თავი ვერ დაუბანია. ცოდვებმა უწია. მეზარევა axla torem jgarkavas nervebs avushli. ხომ გითხარი ამირეჯიბი ვერაა თქო. ახლა ვნახე მისი ინტერვიუ. ლადო ბედუკაძის დამკვეთი ვანო მერაბიშვილიაო. დაიკიდე. გრძელი ენა აქვს მე იცი რა მჭირს? ჩემი შვილი მეკაიფება. ბონდო როგორც კი გამოჩნდება მძინარაშვილი ჩამირთავს ობიექტივს. მე ბოლო ხმაზე გავკივი გადართეთ.... რა იდიოტი სიფათი აქვს. კრეტინი და შენ კიდე პატიმრების დახმარება გაბოლებს . ისე თავიდან მეც გავბრაზდი ხო გახსოვს? ინაშვილთან ერთად რომ გამოჩნდი ვიფიქრე ესეც იქაურია თქო ინაშვილს ახლა სხვა არაფერი არ აინტერესებს გარდა იმისა რომ შეირგოს ის ფული რაც გააკეთეს და ეს საქმე დაავიწყოს ყველას გამოძიება მას არ აწყობს. ლალის ნუ ეტყვი რომ მე კბილაშვილთან ვიყავი ეგენი ადრე ერთად იყვნენ მერე დაცხეს ერთმანეთს მაგან და ინაშვილმა. თორემ ლალი არაა ცუდი გოგო, მაგრამ ფული უყვარს და რა იცი...

**Eliso Kiladze 2012 წლის 3 ნოემბერი, შაბათი, 17:36-ზე UTC+04**

– დაიზაფრება ინაშვილი. ახლა დადო საагენტომ შენზე დაბრუნდება და გამოძიებასთან ითანამშრომლებსო. მოგცემ ლინკს. ეს ნამდვილად არ აწყობს ინაშვილს. ფოფხაძემ მოგწერა რაღაცა აგერ ჩემთან დაუტოვებია და დაგიკოპირებ, პოპკჰადზე გეორგეს მადამ უთხარი ბედუკაძეს ჩემ მაგივრად, მთლად ნუ იჩქარებს საქართველოში დაბრუნებას... ერთი ორი თვე მაინც. უცებ მაქვს გასაკეთებელი ინფორმაცია პრემიერისთვის . ამას დავწერ და მერე დაგელაპარაკები



ნინო ჯღარკავა

**Eliso Kiladze 2012 წლის 4 ნოემბერი, კვირა, 16:40-ზე UTC+04**

– რატომ არიან გატრუნულები? ინაშვილი და მისი სასტავი ხმას არ იღებენ ასეთ მდუმარებას არ ველოდიიი. ბერულავამ ინტერვიუ გთხოვა. გინდა პირისპირ სკაიპით გინდა კითხვებს მომცემს და პასუხები პირობა დადო საჯაროს სიტყვა არ შეიცვლებაო. ოჰ ირმა გამოჩნდაა. კომენტარით ნერვებმოშლილი ჩხენკელს აყვება. ვაიმეეე რა ამბავიააა . უი უი რაებს წერენ...ნახე? რა დააყარა ჩხენკელმააა . ჯღარკავა ნახე, რა დადო?? ძებნილების მითითება არ ჭირდებაო მინისტრებსო მის გვერდზე დევს. აბა ახლა მაგისთვის ვიშლი ნერვებს. ვეკაიფები. ვაიმეე გემუქრება კიდეც? მე როგორც ვხედავ სიების თემა ძაან ამბავია. ეს ქალი პარიზიდან ჩამოსულს გავს ახლა?? ეკააიფე. დასცინე . პარიზი უხსენეეე. მე ჯღარკავას ვებრძვი. სურათები უნდა გადავუღოთ კომენტარებს, ხვალ ლალიმ უნდა მიმართოს გენპროკურატურას წერილობით დაურთოს შენი ვიდეო და ფბ მიმართვა და მოითხოვოს გამოძების დაწყება მე მას ეს გუშინ ვუთხარი და ცოტა თავი შეიკავა ამით ის იქნება მიბმული. შენზე რა იცი რა ხდება... მე ლალის ვერ ვეუბნები პირდაპირ კბილაშვილთან გაიასნებული მაქვს თქო რომ დაჭირდეს სადმე არ გამოიყენოს. განახო ჯღარკავა რას მწერს? ელისო ნამდვილად არ მინდოდა იქ რამე დამეწერა, მართლა გავეშებული კაცების არენას გავს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ იმ კომენტარებს რაიმე მოყვეს, ვინმეს ერთი ბეწვი დაუვარდეს, მართლა უპატრონო ხომ არ გონია ვინმეს ირმა? რას გავდა ეგ საქციელი მიპასუხეე, სატანავ თავი დაიბანეე და შამპუნი გინდაა?ბედუკაძემ თავის ისტერიჩკას დიაზეპამზე შემჯდარ ცოლს მიხედოს და ირმას ან ვინმეს რაიმე რომ დაემართოს პასუხისგება მერე ნახეე, არ მომწონს ეს რაც ხდება, შენ მოგწონს? ქალი ხარ და ეგ რა საქციელი იყოო მითხარიი. მე გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ჯღარკავას შენ შეუყვარდი ისე აბრაზებს ირმას არსებობა... კი სხვაგვარად არ აიხსნება მისი აგრესია:))))ბედი გაგეხსნა. ერთი ამ გიჟებთან არ გვქონდეს საქმე კიდე რააა. ალიაში მითხრეს ინაშვილის ის გვერდები იმან მოიტანაო რეკლამა რომ გავიდა და პროცენტიც აიღოო . აჰა კაცებით გვემუქრებიან? თარხანაა კაცი?ახლა? ქალი თუ უყვარს ამისთვის როგორ უნდა გაიმეტოს??? წაუშლია ინაშვილს ყველა მისი კომენტარი. ვიღაცამ დაარიგა ეტყობა წაშალეო. სრული ანშლაგი გაქვს. მაგრად გავარდა თემა. ჩემს ახლობელთან მივიდა ისევ ინაშვილი. რა ჯანდაბა უნდა ვერ გავიგე

**Eliso Kiladze 2012 წლის 5 ნოემბერი, ორშაბათი, 1:16-ზე უ UTC+04**

– აი შენი დაქალი რას მწერს ჯღარკავა -მინდა გითხრა ცოლი ბოლომდე იმას განიცდიდა,რა უნდოდა ვერ იყო თავის სამსახურშიოო?:))) რატომ გააკეთა იციი?იმიტომ რომ ახალმა ციხის უფროსმა მელაძის მერე დააქვეითა და შური იძია:)))))))))))))))))) ახალი ვერსია შენს გმირობაზე . მეჯვარეობას ვერ დაგპირდები. ქრონიკა ხვალ თამაზის ინტერვიუთი იხსნება. თუთბერიძე იძახის ექსპერტი ნუ გახადეთო

**Eliso Kiladze 2012 წლის 7 ნოემბერი, ოთხშაბათი, 4:25-ზე უ UTC+04**

– ახლა ვიღაცა იდიოტ ზაზა სვანაძეს ვებრძვი. დაწყნარდა...მოიხადა ბოდიში. არ მითხრა ახლა რომ ამ ნასედკას იცნობ. შენ დალაგებული ხარ, ეს ნამდვილად გიჟია. მიიღო პასუხი და მომავალში ეცოდინება რომ არ უნდა მახსენოს. პროვოკატორობდა ახალგაზრდულში. რამე სკანდალური მოიფიქრე ახლა კიდეე

**Eliso Kiladze 2012 წლის 8 ნოემბერი, ხუთშაბათი, 18:22-ზე უ UTC+04**

– მე ვამბობ რომ მაგარი ხარ. ყველას ვეუბნები ამას.... შენ ჩამოდი და მაგ დროს ჩემი ორგანიზაცია უკვე პარტია იქნება. აქ 6 თვეში არჩევნები იქნება.. მე მაქვს შენთვის იდეა მორიგი ინტერვიუსთვის გაინტერესებს? სამხედროები ვინც იყვნენ ციხეში მე მგონი იმათზე უნდა მისცე ცალკე ინტერვიუ... იფიქრე და ნინოს დავარეკინებ გვიან სკაიპში

**Eliso Kiladze 2012 წლის 9 ნოემბერი, პარასკევი, 1:19-ზე უ UTC+04**

– მოკლედ ექსპერტი ხარ რააა. ციხის ექსპერტი და ჩემი კონსულტანტი. ახლა მოვედი პროკურატურიდან. მოკლედ გამზადებული საქმე მივუტანე შენგან თეთრაძის. გაგიჟდნენ განსაკუთრებით პატიმრებზე... მოკლედ სამშობლო დაგიფასებს.... ტყუილად კი არ დაგარქვი ექსპერტი

**Eliso Kiladze 2012 წლის 9 ნოემბერი, პარასკევი, 19:36-ზე უ UTC+04**

– ისე ეს ხმებიც რომ დაგიყარეს იცი? შიდსი აქვსო. აუუუ გაკლია შენ მტრები ხო იცი... იდიოტები... მაგრამ შენ ისეთი რამე გაუკეთე მაგათ. ხელისუფლება დააკარგინე და რატომ გიკვირს? ეს სახუმაროდ გითხარი... თავად არიან გეებიიი და გარეწრებიიი

**Eliso Kiladze 2012 წლის 10 ნოემბერი, შაბათი, 19:15-ზე უ UTC+04**

– ინაშვილებს და მისნაირებს რას უყურებ შენ მართლა მაგარი ხარ და ბევრი ადამიანი ფიქრობს შენზე თედო სულ მეკითხება. არომ იცოდე კიდე ერთი დიდი კაცი როგორ გგულშემატკივრობს... ნახავ ყველაფერი კარგად იქნება... იცოდე რომ მარტო არ ხარ...

**Eliso Kiladze 2012 წლის 14 ნოემბერი, ოთხშაბათი, 15:12-ზე უ UTC+04**

– ბურატინო დეიდა დადე?

**ლადო ბედუკაძე 2012 წლის 14 ნოემბერი, ოთხშაბათი, 15:14-ზე უ UTC+04**

– არა გადავიფიქრე

**Eliso Kiladze 2012 წლის 14 ნოემბერი, ოთხშაბათი, 15:15-ზე უ UTC+04**

– საკაიფო კი იყო... 20000 ლრი დახარჯა უკვე გაზეთებში ხარჯოს რა გენაღვლება. jgarkava mcers bedukaze ar miikara bizinamo. me mivcere cesit rustavi 2 ar unda endobode tqo. gijia es jgakava. dabloke da morcha. პალიკოს დაუვალებია ციხეების ბუნტით უნდა დავამხოთო ესენიო და ვისთან შეიძლება იყოს კავშირზე? და რა სანსი აქვს? ჯღარკავას დავანცვე ახლა თავზე. ბლადაძემ გადასცა ბიძინას და რუსთავმა გაასაღა შენს მეგობრად. ამაზე მწერდა ბრავო ბიძინაო. დებილია ეს ქალი. მირიანა ვეღარ ქაჩავს ეტყობა რაა... ბლადაძე ვინაა გასაგებია მაგრამ ამ ჯღარკავას რა უხაროდა ვერ გავიგე



თამაზ ელიზბარაშვილი

**Eliso Kiladze 2012 წლის 16 ნოემბერი, პარასკევი, 16:18-ზე U UTC+04**

- prokuraturas unda mivmarto. me xommabralebda rom vano fuls mixdida da misi tanamshromeli viyavi gamoziebis dacyeba unda movitxovo\ xval iuriati unda vnaxo gavivli konsultaciebs da mere orshabatidan shevudgebi. axla zustad amis droa tan garibashvilis moadgile lasha nacvlishvilia romelic aseve mabralebda msgavs rameebs ekas ras erchoda es daubaneli ჩადუმებული აქვს ენა ბურატინო დეიდას...

**Eliso Kiladze 2012 წლის 18 ნოემბერი, კვირა, 0:26-ზე U UTC+04**

-http://www.epn.ge/?p=126741#.UKUgh8t0fD0.facebook

ეს ნახე რა... არადა ეს მანაგაძე ირმას კუდია ცისფერი ნაბიჭვარი და წყაროოო წერს Exclusive-გუშინ საღამოს მედია-კავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი საქართველოს კათალიკოს -პატრიარქს შეხვდა. ამის შესახებ "ექსპრესნიუსს" ინფორმირებულმა წყარომ აცნობა. წყაროს ცნობით, ინაშვილი საპატრიარქოში დაახლოებით რვის ნახევარზე მივიდა და შენობა ერთი საათის შემდეგ დატოვა. როგორც საპატრიარქოში იმ მომენტისთვის მყოფმა ჩვენმა წყარომ გვაცნობა,- ირმა ინაშვილისა და საქართველოს კათალიკოს- პატრიარქის შეხვედრას სხვა არც ერთი სამღვდელო, ან საერო პირი არ დასწრებია. ინაშვილს შენობის დატოვებისას ხელში სქელტანიანი წიგნი და სანთლები ეჭირა. „ექსპრესნიუსი" ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად ირმა ინაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიდასტურა პატრიარქთან შეხვედრის ფაქტი. თუმცა სხვა არც ერთ დეტალზე კომენტარი არ გააკეთა. სავარაუდოდ, ირმა ინაშვილმა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა პატიმართა წამების გახმაურებული კადრების მოპოვებისა და გავრცელების ისტორიაზე ისაუბრეს. თუმცა ირმა ინაშვილი არ აკონკრეტებს, რა თემას შეეხო საუბარი. „ ჩვენს სულიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვისაუბრეთ. ბედნიერი ვარ, რომ პატრიარქმა დრო დამითმო",- აღნიშნა ირმა ინაშვილმა. შეგახსენებთ, რომ გუშინ 100 000 ქართველი მოწამის ხსენების დღე აღინიშნა. საქართველოს კათალიკოს- პატრიარქმა საღამოს წირვა აღავლინა, ხოლო დღეს დილით ჩეხეთში გაემგზავრა

ისე ირმა ეჭვიანობს ყველაზე და ქალს არ აჭაჭანებს ობიექტივში. დიდი ხანია რომანი აქვთ...მაგრამ ირმას ცხოვრებაში სიახლეა. ქმარი გამოაჩინა . არადა ნარკუშააა ქმარიც და მამამთილი გეი თავისნაირთან ცხოვრობს.... მამამთილი არის ილია კევლიშვილი. ადრე მუშაობდა რადიოში/. ახლა ცხოვრობს ზურა მჟავიასთან დაქორწინებულია. ქმარი არის ირაკლი კევლიშვილი ნარკომანი საშინელი. ძმა საპროცესოთი გამოვიდა და საპროცესოს ისე არ უფორმებდნენ იცი კარგად თუ არ ითანამშრომლებდა. გიჟდებოდა ბურატინო. სულ ამას ვუწერდი. არც მამამთილი მყავს პედარასტი არც ქმარი და ძმა ნარკუშა თქო ქუთაისში სამჯერ გააგზავნა ხალხი... კომპრებს ეძებდა ჩემზე... მე ზოგადად ძალიან ფრთხილი ადამიანი ვარ და ფაქტებზე მიყვარს დაკვირვება შენ კიდე ოპერი ხარ და სიფრთხილე წესით არ უნდა გაკლდეს. თან ჭკვიანი ხარ. ამიტომ არ მგონია რამე გამოგეპაროს . ზედელაშვილს მივწერე ხო იცი გუშინ. ინაშვილის რეკლამებიდან მართლა შენ იღებ პროცენტს ანუ შენ მიგაქვს რეკლამები გაზეთში თქო, ხო იცი რა მომწერა -მე მითხრეს ფული ხელზე აიღე და მე კიდე ბუღალტერიაში მივიყვანეო ანუ ფაქტიურად დამიდასტურა ის რაც ისედაც ვიცოდი ალიადან ანუ ირმა მაგასთან იყო მართლა ალიაში მისული... ნანახი მაქვს მე ეს კინო . იცი რა გულზე ხელებს რომ იბრახუნებ ამას დავწერ და იმას ვიზამო მერე იმ ქალს რომლის ძმამაც დაგიწერა ალიამ და ზედელაშვილმა მინეტი

20 gv.

13 gv.

# ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

გამოკეთოსო არ უნდა შეხვდე და ფულზე ლაპარაკი არ უნდა გაუბა ეს მიკვირს მეტი არაფერი კაცობაზე პრეტენზია აღარ უნდა გქონდეს მერე...

**Eliso Kiladze 2012 წლის 19 ნოემბერი, ორშაბათი, 18:33-ზე U UTC+04**

– მოკლედ ყველა გაზეთში შენ ხარ ქრონიკა, ასავალ დასავალი .

**– ლადო ბედუკაძე 2012 წლის 25 ნოემბერი, კვირა, 23:41-ზე უ UTC+04**

– ვინ გწერს მაგას?

**Eliso Kiladze 2012 წლის 25 ნოემბერი, კვირა, 23:41-ზე უ UTC+04**

– მაგრამ ხალხი ნახე რააა რა დღეშია, ვინ დაწერა არაა მარტივიო

**Eliso Kiladze 2012 წლის 25 ნოემბერი, კვირა, 23:42-ზე უ UTC+04**

– არი ერთი ინაშვილის გულშემატკივარი...

**Eliso Kiladze 2012 წლის 28 ნოემბერი, ოთხშაბათი, 13:07-ზე უ UTC+04**

– როგორ ხარ? ხვალ უნდა ინტერვიუ პრაიმ ტაიმს შენთან და მე იქ ვიქნები 5 სთ ზე ჩვენი დროით 4-ზე ბრიფინგი გვაქვს და ბრიფინგის მერე. ეგება ამ დროს მოხვდე და იყო ინტერნეტთან. ახლა ველაპარაკე იმ კაცს ვისთანაც ინაშვილი დადის ლომიას ამბავი ვუთხარი. გადაირია. ნინოს ამბავიც მოვუყევი. დაურეკა ერთ კაცს და აგინა ინაშვილისთვის გადასაცემად. იმიტომ რომ ნინო მისი შვილობილია; და მის ხსენებას არავის აპატიებს უშნოდ

**Eliso Kiladze 2012 წლის 28 ნოემბერი, ოთხშაბათი, 23:03-ზე უ UTC+04**

– ელიზბარაშვილი დამეკარგა. მაგარი იდეა მქონდა" პარტიას გავაკეთებდით ჩემი არასამთავრობოს ბაზაზე გავხდიდი პოლიტიკურ ფიგურას. აქ გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნებია. მე გეუბნები. მიშა პარლამენტს დაითხოვს ხოდა ამ დროისთვის პარტია რომ გექნება და რესურსი. იქნება საკაიფო, მაგას ფული აქვს მე რესურსი ხალხის. ჩაგსვამ შენ სიაში. გახდები დეპუტატი. სანამ გასამართლებული არ ხარ გაქვს უფლება კენჭი იყარო. დაელაპარაკე ელიზბარაშვილს. რამდენი ხანი უნდა იყო მანდ? ჩამოდი

**Eliso Kiladze 2012 წლის 29 ნოემბერი, ხუთშაბათი, 0:12-ზე უ UTC+04**

– იცი ახლა რისი გარკვევა მიდის? ჩაწერე თუ არა ლომია და გაქვს თუ არა ჩანაწერი. ვიცი რომ არ გაქვს მაგრამ იმათ გონიათ რომ გაქვს. ეგონოს... ჭელიძე რომ გკითხავს არ უარყო . საცოდავი ინაშვილი რა ფულს ხარჯავს გაზეთებში. შენ გაქვს ანშლაგები უფასოდ... არავის არ აინტერესებს ინაშვილი. ნახე ინაშვილის განცხადება? რაღაცის ეშინია გოგოს . თავისი ხელით ითხრის სამარეს მე მგონი... შემოსავლების დადასტურება რომ მოუწევს? მათ შორის იმ ფულის რომელიც გაზეთებში ლეგალურად გადაიხადა. თან მე მგონია უკვე რუსებთან კავშირს არც მალავენ. დღეს იგორა გიორგაძე ყავდათ ეთერში . ტყუილა ხარჯა ამდენი ფული. ფაქტიურად აშინებს გაზეთებს... ჰააა, გაქრა თუ არა ბურატინო დეიდა? რგორც კი რუსული თემა ვახსენე და როგორც კი რუსულ კაპიტალზე დავდე და ამერიკის საელჩოს უნდა მივმართოთ ქო ეგრევე...გავიდა ჩივილს ხომ აპირებს მედიასაშუალებებში ორგანიზება უწევსო ვილაცაო . ვაიმეეე ახლა მამუკა ღლონტს მიდგ-



გიორგი ლომია

ნენ ოთხივე ღორებს ეძახიან. ოთახში შეიყუჟნენო ობიექტიველი მწერს და ბჭობენო. ლომია, ინაშვილი, მხეიძე. ჩემთან დაარეკიეს უკვე კაცს. რუსულ კვალზე რა უნდა მისცე გამოძიებასო. ის კაცი მაგათია მეგობარი. ვაი ინაშვილის პატრონს.... მარა სად ყავს პატრონი. ძმა თავზე ადგას და თარხანა ადგილზე ჟიმავს. უკაცრავად, მაგრამ ასეა. სად წადი გითხრა ამბავი. ინაშვილმა მომწერა. მადლობა გადამიხადა გია ხუხაშვილზე ინტერვიუს გამო. რა და ეწვის ერთი ადგილიიი. გაიხსენე გუშინ რა სტატუსი დავდე რუსულ დაფინანსებაზე. ვინ დარჩა მოუსყიდავი? შენ რომელიც მაქედან უტევ და მე აქ დანარჩენი იყიდა. შენ არ ინერვიულო. არის ხალხი რომელიც ფულზე არ იყიდება. ყველაფერი ხდება ამ ქვეყანაზე

**Eliso Kiladze 2012 წლის 25 ნოემბერი, კვირა, 23:41-ზე U UTC+04**

- gatkuebs... sistematurad wers mag intonaciiT... eliso, frtxilad! ar aris eg bichi martivi tipi... nel-nela ukansvla...

მოკლედ მარტივი ტიპი რომ არ ხარ ეს ისედაც ვიცოდი

me shevaskdi dges magas. stumrad viyavi da iq movida .ori kaci escreboda chvens laparaks. inashvilma daicko moyola. me vutxari ratom gadackvite rom sheni azri mainteresebs tqo . მერე დაიცკო ცჰელიზეზე. კი მარა ეს კაცი ტქვენ გააცანიტ ლადოს და ახლა რას იტხოვტ რომ რატომ ვერ მიხვდა აგენტი რომ იყო ტქო .მოკლედ, დედა არ შემიგინებია მარა..არც დამიკლია რომ იძახის ის ნაბიჭვარი ლომია რომ ბურჯანაძის პიარშიკია. რატომ იტყუება თქო. მე ვფიქრობ რომ იწერდა ის მეორე რომელიც ახლა მაგრამ შენი არ იყოს კარგი რამეები წაიღო. კომპრომეტირებული ქალი სრულად. გაზეთებიც კი კომენტარებს არ დებენ გარდა იმისა რომ. ფულს ახევენ და გვერდებს ყიდულობს. ლომიას გამართლება დაიწყო. მერე იმან უთხრა ვისთანაც ვიყავით თავს რატომ დებ ლომიაზეო. სიებს აწვება არ მიუცია ბედუკაძესო. იმ კაცმა რომ უთხრა აგენტი თუა შენ რას გეტყვის აგენტი ვარო?. შეფიქრიანდა. კოტესთან ერთად იჯდაო კამერაშიო და კოტესთვის არ უთქვიაო ნინოზეო მე გველუკაშვილი დავუსახელე. მოკლედ რაც მინდოდა ვუთხარი და კარგია რომ ორი კაცი ესწრებოდა ისე ლაფანაშვილზე აღრენილია ინაშვილი ხმა არ ამოიღო ჩემი დაცვისთვისო მიუხედავად იმისა რომ დუშეთში ტრიპოლსკიმ ჩემი ხათრით დანიშნაო

**Eliso Kiladze 2012 წლის 10 დეკემბერი, ორშაბათი, 1:01-ზე UTC+04**

– არ მწერს ზედელაშვილი პასუხს. ეტყობა არ ბეჭდავს. დედა რა ნაბიჭვარია ესეც. ახლა მომწერა ხვალ უნდა ვნახო ირმაო. ხანდახან მგონია მე ვარ კაცად დაბადებული. ლომია ხმებს გივრცელებს სახლში რემონტი გავუკეთე და მაცივარი ვუყიდეო

**Eliso Kiladze 2012 წლის 11 დეკემბერი, სამშაბათი, 13:50-ზე უ UTC+04**

– ლომიამ მისცა ძაან ბინძური ინტერვიუ. ხალხს აშანტაჟებს რომ არ გაამხილოს გაუპატიურებული ვინ არიანო და ისინი ფულს უხდიანო. დაქალის სახელზე ჩაერიცხა ფულიო. ეტყობა ეს უთხრა ჭელიძემ . ახალს რასაც მოიფიქრებ მზად ვარ. ოღონდ გამოშიგნული არ გვინდა ასავალს რომ ქონდა წინასწარ გამოქვეყნებული

**Eliso Kiladze 2012 წლის 12 დეკემბერი, ოთხშაბათი, 20:40-ზე უ UTC+04**

– ამან დააბრეხვა მალაზონიას გვარი ლომიამ. გაუპატიურებულია ბედუკაძემ დაწერაო ეტყობა არ უნახავს თორე გახეთქავდა ცემაში მაგ ლომიას.

**Eliso Kiladze 2012 წლის 15 დეკემბერი, შაბათი, 19:48-ზე უ UTC+04**

– ლადო მე მყავს ძალიან ახლობელი მეგობარი უფროსი. ის ვინც თედოს ძმაკაცია. დღეს ვიყავი დამირეკა. მილიონერია. მითხრა იპოვოს ადვოკატი რომელიც თავშესაფარის საქმეებზე ივლის და ბოლომდე მიიყვანს. ფულს მე გადავუხდიო. სულ წერს აქაც ბედუკაძე გმირიაო. მითხარი კიდე რა დახმარება გჭირდებაა . დაგაკავშრებ ამ ადამიანს. მოკლედ ამ კაცმა მითხრა რომ მე დავეხმარებიო ფინანსურადო. ადვოკატის ფული და სხვა ხაარჯებიო

**ლადო ბედუკაძე 2012 წლის 15 დეკემბერი, შაბათი, 20:14-ზე UTC+04**

- ra vici eliso meridaba ese yvelas shecuxeba raa

**Eliso Kiladze 2012 წლის 15 დეკემბერი, შაბათი, 20:14-ზე UTC+04**

– მოიცა რააააააააააა. შენა არ იცი ამას სააკაშვილი როგორ ეზარება და სულ იძახის ლადომ მოიგო ეს არჩევნებიო მოხუცია უკვე. კონტრაქტი გაქვს ადვოკატის? ადვოკატის ხარჯებს მე გადავიხდიო და კიდე დავეხმარებიო სხვა ფულითო. კომუნისტია ეს კონტრაქტი თუ გაქვს მომეცი სკაიაპში იმას მივუტან და აგინაზღაურებს რაც გადახდილი გაქვს და სხვა ფულსაც მოგცემს . კონტრაქტის ასლი მომეცი

**ლადო ბედუკაძე 2012 წლის 15 დეკემბერი, შაბათი, 20:18-ზე U UTC+04**

- ar minda ese yvela shevacuxo ra

**Eliso Kiladze 2012 წლის 15 დეკემბერი, შაბათი, 20:18-ზე უ UTC+04**

– დამიჯერე თავად მითხრა. ძაან კარგი კაცია. მე არ მითხოვია. შვილებს გეფიცები. ვაიმეე გადავირიე შენ ეტყობა კიდე ვერ ხვდები რა გააკეთე ამ ქვეყნისთვის. ვიცით ბატონო რომ არ თვლი ვალდებულად ჩვენ ვთვლით თავს ვალდებულად. ხვალ მივალ და ყველაფერს მოვაგვარებ

**Eliso Kiladze 2013 წლის 16 იანვარი, ოთხშაბათი, 0:30-ზე უ UTC+04**

–ოფისს ვეძებ დავრბივარ გამალებული. ჩამოხვალ და ნახავ რა მამობილი მყავს საუკეთესო ახლა ცოტა მოხუცდა ერთ დროს ეგ ატრიალებდა საქართველოს. პარტიას ვაკეთებ . ჩვენ ბადრის სასტავი 350 000 კაცი ვიყავით. მთელს საქართველოში . სარჩელს ვამზადებ .ფულია დაყადაღებული ჩვენი 8 მილიონი .ხალხი უკვე მოკრებილი მყავს რეგიონებში. მემკვირდე მისი ცოლია და ნახევარს მთავაზობდა არჩევნებამდე. არ დავეთანხმე . ხალხს ნახევარი დავურიგო? ხოდა ამიტომაც ამ თვის ბოლოს დიდი ამბები მექნება. რას ქვია არ გვეკუთვნის .რას შვები?როდის მოდიხარ> . გირე-



ვიქტორ ჭელიძე

კავ ყურმილს არ იღებ... 23 ში გადავდივარ ახალ ოფისში . ზვიადი და რამდენიმე სხვა პოლიტპატიმარი მოდის ჩემთან იმათ ცალკე ოთახი ექნებათ თუ შენც სურვილი გექნება ჩვენი კარი ღიაა რაც გვაქვს იმას მეგობრულად გაგიყობთ. დაისვენე ჯერ და შენ როცა გინდოდეს ჩვენი კარი ღაა. პრაიმ ტაიმი მეხვეწება პრეს კლუბში მოვიდესო ჩვენთანო და პრეს კონფერენცია ჩაატაროსო. ჩემი ტელეფონის ნომერია 599 17 12 12 თუ რამე გინდოდეს დამირეკე

**Eliso Kiladze 2013 წლის 31 იანვარი, ხუთშაბათი, 11:01-ზე უ UTC+04**

- ras shvebi? tbilisshi var me ofisshi . gamogviare . dagelaparako minda

**Eliso Kiladze 2013 წლის 9 თებერვალი, შაბათი, 12:18-ზე უ UTC+04**

–მოკლედ იმ კვირიდან გამოდი კაცო გარეთ ელზა შეუთანხმდეს გამოძიებას. გაგიჟდები სახლში.

**Eliso Kiladze 2013 წლის 13 თებერვალი, ოთხშაბათი, 10:49-ზე უ UTC+04**

– ჩემი ოფისი შენს განკარგულებაშია ორშაბათის რეიტინგი ნახე? ინაშვილი შენგან ბოდიშის მოხდას ითხოვს . მე მემუქრება. მოკლედ დაიწყეს საინფორმაციო შეტევა

**Eliso Kiladze 2013 წლის 22 თებერვალი, პარასკევი, 0:20-ზე უ UTC+04**

– ე.ი არ უცემიხარ არავის თვალი ამოგდებული არ გაქვს და კაცთან არ შეუსწრიხარ ვინმეს:)))

**Eliso Kiladze 2013 წლის 22 თებერვალი, პარასკევი, 0:21-ზე უ UTC+04**

–გარეკა ხო იცი რუსთავი-2-მა

**Eliso Kiladze 2013 წლის 3 აპრილი, ოთხშაბათი, 0:38-ზე უ UTC+04**

–ახლა იცი რაა მთავარი? რესპები დაეტაკონ ობიექტივს . ჩვენ მშვიდად უნდა ვუყუროთ ამ პროცესს და დავეხმაროთ გარედან. სხვა შანსი არაა . ეს რომ მოხდება მერე ტაში კუკური . რა შეიძლება კიდე თინა რომ გაიშლის თმებს მერე ნახე შენ?

**Eliso Kiladze 2013 წლის 20 აპრილი, შაბათი, 21:20-ზე უ UTC+04**

–მე მინდა მე გავუკეთო ბროწეულის ოყნა კუკავას

**Eliso Kiladze 2013 წლის 18 მაისი, შაბათი, 19:18-ზე უ UTC+04**

– მე მიგდებდნენ თემას. მისი ჭკუით . სანდრო ბრეგვაძე და ლაშა ამირეჯიბი' პროვოკაციას მიწყოდბენ

**ლადო ბედუკაძე 2013 წლის 18 მაისი, შაბათი, 19:19-ზე უ UTC+04**

– დიტო, ლაშა და სანდრო?

**Eliso Kiladze 2013 წლის 18 მაისი, შაბათი, 19:19-ზე უ UTC+04**

–სანდრომ დანარჩენები გამოიყენა ჭორის გასავრცელებლად . მოკლედ ვინ სანდოა და ვინ არა ....გაგიჟდები რაა... ყველანაირად ცდილობენ შენს დისკრედიატაციას, ახტებოდა მერე ეგ ძუკნა ინაშვილი მხარს დაუჭერდა ეგ სანდროც ალბათ

**Eliso Kiladze 2013 წლის 3 ივლისი, ოთხშაბათი, 17:28-ზე უ UTC+04**

–ახლა მითხრეს მაგას ლაშა ნაცვლიშვილი მართავსო, ხან კუკავა გიქმნის არასამთავრობოს. მოკლედ რაა ჭორების გარემოცვაში ხარ

**Eliso Kiladze 2013 წლის 11 სექტემბერი, ოთხშაბათი, 19:07-ზე უ UTC+04**

–ჯღარკავა ვირთხის დღეშია. ჩანაწერს არ აძლევენ ისინი. მე სერიოზული რაზბორკა მექნება ირმასთან და თარხანთან . წამაშანტაჟეს მათი ჭკუით. ჯღარკავა ვერ მინელებს. რა უნდა არ ვიცი. მაგ კრეტინს არ ვაპატიებ ჩემი გვარის ხსენებას. აუუ ახლა მწერს ირმა ცალკე. მირიანი ცალკე. არა აქვს ნინოს ჩანაწერიო. დაწყნარდიო. გაუგებრობა მოხდაო. კი მაგრამ ჩემი გვარი რომ ატრიალა თქო დავუწერე ან რატომ არ მიმიწვია ან იმ ნაცების გვრები რატომ არ დაასახელა თქო.

(გაგრძელება იქნება)

# ირმა ჭუგლარიშვილი



## პატარა ქოხი!

პატარა ქოხი მინდა მქონდეს
სადღაცა ტყეში,
გადახურული ანწლითა და
ხმელი ფოთლებით,
აშრიალებდეს დახვავებულ
ფოთლებს ნიავი,
ციცინათელა მენთოს როგორც
თაფლის სანთლები!
პატარა ქოხი... იატაკად
მიწა რომ მქონდეს,
დაძინებულიც... მიწასა და ბალახს
რომ ვგრძნობდე...
ქოხიც სუნთქავდეს, ვით
ცოცხალი ადამიანი...
და ყოველ ღამით... ლამაზ ციდან
სიზმრებს ვკრეფავდე!
შიშველ ფეხებზე ნამი
სუროდ შემომეხვიოს,
ცა აირეკლოს ჩემს თვალებში,
ვით ჭაში მთვარე,
ყოველ საღამოს დამაძინოს
ჭრიჭინების ხმამ,
დილით ჩიტების ჭიკჭიკი რომ
გამიხსნის კარებს!
ხელისგულებზე ყვავილები
აყვავდებოდა,
დავივიწყებდი, ბოროტება
რომ არსებობდა,
შევიკერავდი ზამთარ-ზაფხულ
ფოთლების კაბას,
და ტყეც დაღლილი... თავს ჩემს
მხრებზე ჩამომადებდა!
P.შ.
პატარა ქოხი მინდა მქონდეს
სადღაცა ტყეში,
გადახურული ანწლითა და
ხმელი ფოთლებით.

*2013 წელი. 11 აგვისტო.*

## სუყველას გიცვლით!

თუ ფიროსმანი ნახატს ცვლიდა
ჭიქა ღვინოზე,
არაფრის მქონეს... სხვა სიმდიდრე
დაჰქონდა მხრებით,
ფიროსმანივით... გიცვლით
ლექსებს ერთგულებაში,
სანამდე ჩრდილით
საბოლოოდ დავიფარები!
ვცვლი ყველას ერთად...
ერთი კაცის ერთგულებაში,
შემობრუნებულს, რომ არ
მქონდეს შიში ზურგიდან,
სუყველას ერთად მივიტან და
ფეხთქვეშ დავუყრი,
რაც კი ლექსებად დაწურულა
ჩემი სულიდან!

მხოლოდ იმიტომ... დამიმტკიცოს
რომ დაბადება;-
ჩემი არ იყო... ბედისწერის
დიდი ხუმრობა,
რომ არ იქცევა შიში უკან
სიკვდილის ბორცვად,
და რამდენჯერაც წამაქცევენ,
შევძლო ადგომა!
არავის გინდათ?!.. გიცვლით ჩემს
სულს ერთგულებაში,
რომ წამით მაინც გავამართლო,
ჩემი აქ მოსვლა,
სუყველა სუნთქავს... ვით
ცოცხალი ადამიანი,
იქნებ თქვენ უკეთ... შესძლოთ მერე,
ამათი მოვლა!
P.შ.
ფიროსმანივით გიცვლით ლექსებს
ერთგულებაში!

*2013 წელი. 5 ოქტომბერი*

## წყაროს და პოეტს...

როგორც მთის წყარო... არ დაშრება
დრო-ჟამისაგან,
ის არ იქცევა დამდგარ გუბედ,
დრომ რომ გააქროს,
ჭეშმარიტ პოეტს, სათქმელი
რომ გამოელევა,
უკვე მზადაა, ის მესამე
კარი შეაღოს!
წყაროს და პოეტს.... აერთო აქვს,
ძალიან დიდი,
წყურვილი მოჰკლას... ედინება
უწყვეტ ნაკადად...
ვისაც სათქმელი დაელია,
დამდგარ გუბეს ჰგავს,
და ეფერება იმ დროს,
როცა სიტყვა დახატა!
არ დაელევა პოეტს სიტყვა!..
წყაროს სიწმინდე...
ორივე ალბათ.. .ღმერთის ნებას
მოჰყავს მიწაზე,
პოეტი უნდა ჰგავდეს წყაროს,
რომ არ დაშრება;-
კარი გაუღოს, ვინც დადგება,
ყველას პირმაღზე!
გუბე დაშრება, რაც არ უნდა
წყალი ამატო,
თუ გასასვლელი არ მიეცი,
წყალიც კი კვდება,
დიახ!-ნამდვილი პოეტები
წყაროსა ჰგვანან,
ჰკლავენ და მაინც... ყოველ
ლექსში რომ იბადება!
P.შ.
როგორც მთის წყარო... არ დაშრება
დრო-ჟამისაგან,
ჭეშმარიტ პოეტს, სათქმელი
არ გამოელევა!

*2013 წელი. 5 სექტემბერი*

## მე ჯოჯოხეთი დავტოვე და...

კვლავ უდაბნოში მივლასლასებ
მთლად ფეხშიშველი,
პატარა რგოლი... ჯაჭვიდან
რომ ამომაგლიჯეს,
ვგავარ კაპიტანს, თავის ძველ
გემს უკან რომ შეჰყვა...
და არეული ადგამს უკვე
მტვერში ნაბიჯებს!
როგორც ზღაპარში... ოქროსფერი
ქვიშა მომყვება,
თმებში, სახეზე... ვით მძივები
ისე მებნევა,
საით მივდივარ? - გეფიცები,
მართლა არ ვიცი...
მხოლოდ ის ვიცი, თბილი ქარი
ტანზე მეხვევა!

ეს „არც სიცოცხლე“... „არც სიკვდილი“
არ არის უკვე,
ის მესამეა, ჩემს წინ ბევრი
რომ დაეძებდა,
ის უსახელო... ის მესამე...
რომელიც იმ ორს,
ყოველ ნაბიჯზე, რისხვასა და
შიშს რომ უგებდა!
ძალაგაცლილი... ვეცემი და...
კვლავ ფეხზე ვდგები,
მე ჯოჯოხეთი დავტოვე და...
ვეძებ სამოთხეს,
ველარ გაუძლო სულმა უკვე
ამდენ სიყალბეს,
თუ დავრჩებოდი... მეტი მქონდა...
იქ უფრო საფრთხე!
და მივლასლასებ... ამ მტვრის ბუღში...
სულ წინ მივდივარ,
ასე მგონია... დამაწევენ
მდევარს უკნიდან,
სიკვდილმისჯილი პატიმარი
ვიყავი თითქოს,
ციცინათელას შუქს გამოვყევ
პირქუშ ციხიდან!
P.შ.
ძალაგაცლილი... ვეცემი და...
კვლავ ფეხზე ვდგები,
მე ჯოჯოხეთი დავტოვე და...
ვეძებ სამოთხეს.

*2013 წელი. 30 აგვისტო.*

## ღმერთი დიდებს არ ამეორებს!
### (ვაჟას „მიმდევრებს!“)

ლომის ნაფეხურს... წვიმა წყლით
რომ დაფარავს ტყეში,
ამ წყლით რომ მერე... ცხოველები
წყურვილს იკლავენ,
ეგრეა ვაჟაც... გაიარა და
ნატერფალში;-
გუბედან წყალი რომ დალიონ,
ერთმანეთს ჰკლავენ!
ზოგი იბრალებს... ზოგი კიდევ
სხვისგან გიჟდება,
დამდგარ გუბეში დაეძებენ
ბუმბერაზის კვალს,
ტყის ზაზუნები... გუბის წყალს
სვამთ და გავიწყდებათ,
ისე ერთი იყო... და ბადალიც
არავინა ჰყავს!
ერთ ნატერფალში... დამდგარი წყლით
წყურვილს რომ იკლავთ,
ოღონდ გამოჩნდეს ვინმე ვაჟას
რომ შეგადაროთ,
ის ერთი იყო... ღმერთი დიდებს
არ ამეორებს,
დარჩენა გინდათ?! - მაშინ თქვენი
გზით უნდ იაროთ!
როცა ვიღაცას ასე ჰბაძავთ,
სასაცილოა,
ვხედავ, დრო ასეთს სადაც იწყებს...
იქვე ამთავრებს,
დარჩენა გინდათ? - მაშინ ვაჟას
კი არ მიბაძოთ,
თქვენი უნდა სთქვათ... არა სდიოთ
სხვების ნათქვამებს!
ბუმბერააზები არასოდეს
მეორდებიან,
დამდგარ გუბიდან წყლის დალევას,
წყარო ეძებეთ...
როცა წყაროსთან მიხვალთ უკვე...
ჩამოძონძილნი,
დრო უკვდავებას... თქვენი სულის
ასე იწამებს!
P.შ.
ის ერთი იყო... ღმერთი დიდებს
არ ამეორებს,
დარჩენა გინდათ? - მაშინ თქვენი
გზით უნდ იაროთ!

*2013 წელი. 25 ივნისი*

# „მე მიმაჩნია, კაზანტიპად რომ გადავაქციეთ აფხაზეთი, იმიტომ დავკარგეთ"

## გაბრაზებული პასუხი გაბრაზებულ „ახალგაზრდა პატრიოტს გაგრიდან"

ამა წლის 25 ივლისს პალიტრა ტვ-ზე გადაცემა „რეზიუმეში" სტუმრად მოწვეულმა ლევან ვასაძემ განაცხადა: - "მე მიმაჩნია, რომ კაზანტიპად რომ გადავაქციეთ აფხაზეთი 80-იან წლებში იმიტომ დავკარგეთ". ვასაძის ეს განცხადება ახალგაზრდა გაგრელი კაცის, ვინმე მანაგაძის, რომელიც თურმე ინტერნეტგამოცემა „არგუმენტის" რედაქტორი ყოფილა, გაბრაზების მიზეზი გახდა.

„ლევან ვასაძის ეს ფრაზა მოვისმინე, თავიდან ყურებს არ დავუჯერე, მერე ხელახლა მოვუსმინე და დავრწმუნდი, რომ სწორად მესმის. გავბრაზდი,"- წერს მანაგაძე თავის საპასუხო წერილში ვასაძისადმი, რომელიც გაჯერებულია პატრიოტი გაგრელი კაცის გულისტკივილით, აღშფოთებით, კაცის, რომელსაც 12 წლის ასაკში იძულებით დაატოვებინეს მშობლიური ქალაქი, დაუხვრიტეს ბებია, ბაბუა, მოუკლეს ბიძა და ნათლია.

„ბატონო ვასაძევ, გაგრა და სოხუმი არასოდეს ყოფილა გარყვნილების ბუდე", — აგრძელებს საპასუხო წერილში თავის გაბრაზებას გაგრელი მანაგაძე და დასძენს, რომ ვასაძემ მსგავსი შედარებით შეურაცხყო როგორც მანაგაძე, ასევე მისი სახით ასიათასობით დევნილი თანამემამულე და მათი დახვრეტილი, ნაწამები ოჯახის წევრების ხსოვნა.

„ მე მაყენებთ შეურაცხყოფას, როგორც გაგრელს, ათასობით ადამიანს აყენებთ შეურაცხყოფას, რომელმაც სახლი და კარი დატოვა აფხაზეთში, თქვენი მსგავსი ავანტიურისტების გამო", — ბრაზობს ახალგაზრდა გაგრელი კაცი და მოუწოდებს ლევან ვასაძეს, ბოდიში მოუხადოს აფახაზეთიდან დევნილ ქართველობას, ასევე პირადად მას — მანაგაძეს, რომელიც რუსულ იმპერიალიზმთან და შოვინიზმთან ბრძოლაში დამარცხდა და არა გარყვნილებასთან.

„მოუხადეთ ბოდიში ათასჯერ გამწარებულ ადამიანებს, რომლებიც, პრაქტიკულად, უაპელაციოთ, ისე როგორც თქვენ გჩვევიათ, გარყვნილებაში დაადანაშაულეთ. — მომიხადეთ მე ბოდიში, რადგან ვთვლი, რომ ჩემი დახვრეტილი ახლობლები და ოჯახის წევრები რუსულ იმპერიალიზმთან და შოვინიზმთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ და არა გარყვნილებასთან", — ბრაზობს მანაგაძე.

ერთი შეხედვით, გასაგებია ახალგაზრდა კაცის გულისტკივილი, რომლის მშობლიური მხარე „კაზანტიპთან" იქნა შედარებული და მაინც, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

შე, დალოცვილო ,ახალგაზრდა პატრიოტო, რომელიც ყურებს არ უჯერებდი, როდესაც ლევან ვასაძის ეს განცხადება მოისმინე, იმდენად გამაოგნებელი და დაუჯერებელი აღმოჩნდა შენთვის გარყვნილების ფესტივალთან შენი მშობლიური მხარის შედარება. რამოდენიჯერ გადაგიხვევია კიდევაც ვიდეოჩანაწერი, იმისათვის, რომ ბოლომდე დარწმუნებულიყავი, სწორად გაიგონე თუ არა ვასაძის ნათქვამი. შემდეგ გული გეტკინა, გაბრაზდი, შეურაცხყოფილად იგრძენი თავი და საპასუხო წერილიც გამოაქვეყნე, რომელსაც ბოდიშის მოხდის მოთხოვნით ასრულებ, ხოდა, ამიტომაც გკითხავ:

როდესაც საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა გადაცემა „პოლიტმეტრში" ღიად და დაუფარავად, მთელი ქართული საზოგადოების წინაშე სცადა გაეთეთრებინა შენს მშობლიურ ქალაქში გაგრაში დატრიალებული არნახული სისასტიკე,

მაშინ რატომ არ გეტკინა გული? რატომ არ გაბრაზდი? დავიჯერო, რედაქტორი კაცი ასეთი არაინფორმირებული ხარ იმის თაობაზე თუ რა განცხადებებს აჟღერებენ შენს ქვეყანაში მოქმედი მაღალი თანამდებობის პირები?

პაატა ზაქარეიშვილის განცხადება გაგრის სტადიონზე დატრიალებული ტრაგედიის ლეგენდად შერაცხვისა, ხომ სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასია. მაშინ რატომ არ იგრძენი თავი შეურაცხყოფილად? ათეულობით და ასეულობით ეთნიკური ნიშნით თავმოკვეთილი გვამი, რომელიც ზაქარეიშვილის ხელიდან გადაეცემოდა ჭირისუფალს არა თავმოკვეთილი გვამებია თურმე, როგორც დაამოწმა ზაქარეიშვილმა, არამედ აფხაზეთის ნესტიანი კლიმატის პირობებში სწრაფად მიმდინარე ხრწნითი პროცესის შედეგი, რის გამოც, თურმე, 2-3 დღეში გვამს თავი თავისით ძვრება, რაც ჩემო ახალგაზრდა პატრიოტო გაგრელო, ანატომიური აბსურდი და მიზანმიმართული სიცრუეა გამიზნული ჩემი და შენი წარსულის გასათეთრებლად, ჩემი და შენი მიწა-წყლის გასასხვისებლად.



მომდინარე, მერე მოყვებოდა კუდად ლეგენდები, რომ თავმოკვეთილი გვამი ჩააბარა პატრონს და არიქა და ხო კარგად ვიცი, როგორ მოხდა, ხომ ჩემი ხელით კეთდებოდა ყველაფერი ეს, ამიტომ მე ვარ ის პირველი ადამიანი, პირველი წყარო, რომლის მოქმედებების შემდეგ იწყებოდა ლეგენდები სხვადასხვა მიმართულებით, ჭირისუფალს რა ქვია და ვერც აუხსნი და ძნელიცაა. მე ვუხსნიდი ყველაფერს, მაგრამ მერე იქ სხვები მოდიოდნენ, იქ სხვები იყვნენ, ამას რომ უყურებდნენ, იგებოდა ასეთი ფაქტები, არის ათეულობით და ასეულობით ჩემი მონაწილეობით სხვისი კი არა, სხვისი კი არ მომიყოლია არაფერი, ასე შემიძლია მოვყვე ათასობით რალაცეები, მაგრამ ეს არ არის ეხლა ამის დრო, " — განაცხადა ზაზქარეიშვილმა

ზემოქმედებით, როგორიცაა მჩეხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და სხვა".

ექსპერტების დასკვნები, როგორც ზაქარეიშვილის სახელმწიფო ღალატში მამხილებელი უტყუარი მტკიცებულებები ჩემს მიერ არაერთხელ გამოქვეყნდა პრესის საშუალებით, სადაც მე სახელმწიფო მინისტრს სახელმწიფოს ღალატში დავდე ბრალი, მოვითხოვე მისი დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მივმართე საჩივრით თავმოკვეთილი გვამების გათეთრების საქმეზე დაწყებულიყო გამოძიება.

ზოგადსაკაცობრიო დანაშაულის — გენოციდის კვალის მიჩქმალვისა და გაყალბების გაუგონარი მცდელობა არ აღმოჩნდა, გაგრელო ახალგაზრდა პატრიოტო, საკმარისი მიზეზი შენი გაბრაზებისთვის და ლევან ვასაძის განცხადებამ გატკინა ასე გული???

განა გარყვნილება არ არის, როდესაც ჩემს მშობლიურ მხარეში



მაშინ რატომ არ გაგიჩნდა საპასუხო წერილის გამოქვეყნების სურვილი? სახელმწიფო მინისტრმა ხომ შენი დახვრეტილი და ნაწამები ოჯახის წევრები ამით ხელმეორედ დახვრიტა და აწამა? შენს თავმოკვეთილ თანამოქალაქეებს ხელმეორედ მოჰკვეთა თავები იმ ამაზრზენი და გაუგონარი განცხადებით, რომელიც ღია ეთერში გააჟღერა:

„მე ვასვენებდი იმ გვამებს, რომლებსაც თავები არ ქონდათ და რატომ არ ქონდათ, იმიტომ რომ გარედან, ზემოდან ეყარა გვამები მიწაზე და აფხაზეთი, მოგეხსენებათ, ნესტიანი მხარეა, საკმარისია გვამი ზემოდან იყოს ერთი თუ ორი დღე, ბოდიში ამ ნატურალიზმისათვის, რომ უკვე სხეული იშლება. მარტო მე ვაკეთებდი ამას, არავინ არ მეხმარებოდა, როგორც კი გვამს მოკიდებ ხელს ის იშლება და ხშირად ტომარაში ვდებდი ცალკე გვამს და ცალკე თავს და კიდევ უფრო უარესი რაღაცეები შეიძლება მოვყვე, მაგრამ ამიტომ ხშირად, ჩემი საქმიანობიდან გა-

საქართველოში მოღვაწე მაღალკვალიფიციურმა სამედიცინო ექსპერტებმა ალექსანდრე გეჯაძემ და ზაზა თოფურიამ დადეს თავიანთი დასკვნები ზაქარეიშვილის ამ განცხადების თაობაზე და ერთხმად დაამტკიცეს, რომ " გვამური გახრწნა და არა შლა მიკრობულ დონეზე ეხება რბილ ქსოვილებს, რაც შეეხება ძვლოვან ქსოვილს, ხერხემლის სვეტს თავის ქალასთან ერთად, ხრწნითი, ანუ ლპობითი პროცესი მის მთლიანობას ათეული და ასეული წლების განმავლობაში ნაკლებად აზიანებს". თავის ქალას მოცილებას სხეულიდან, მოგვიანებითი გვამური მოვლენების განვითარების შედეგად (ლპობა და ა.შ) ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამის განვითარება აბსურდია და მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. თავის მოცილება სხეულიდან არამცთუ დაუმარხავი გვამიდან ერთ-ორ დღეში, არამედ წლების განმავლობაშიც, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. თავის მოცილება სხულიდან შესაძლებელია მხოლოდ გარეშე ფიზიკური ძალის

შენი მშობლიური ენის გაქრობა აბრებიდან იწყება?! განა გარყვნილება არ არის, როდესაც ქუჩებში დადიხარ და ქართული საუბარი აღარ გესმის?! განა გარყვნილება არ არის, როდესაც ყველაფერს ქართულს არაქართული ერქმევა და საზოგადოება ეგუება ამას, იმიტომ რომ ქარიშხალი არ ატყდეს და პირად კეთილდღეობას საფრთხე არ დაემუქროს. დავთმეთ თეატრი, დავთმეთ უნივერსიტეტი, ტელევიზია, დავთმეთ ისტორია, მშობლიური ენა გადაგვავიწყდა და ბოლოს საკუთარ სახლ-კარში შემოგვივარდნენ და გამოგვაძევეს. ვინც წინააღმდეგობა გაუწია ადგილზე დახვრიტეს, ან აწამეს, ან მოკვეთეს თავი. როდესაც მცირედს თმობ, ისიც უნდა იცოდე, რომ დიდსაც წაგართმევენ. ასე რომ, ჩემო ახალგაზრდა პატრიოტო, ჩვენ რუსულ შოვინიზმთან კი არ დავმარცხდით, ჩვენი დამარცხება მაშინ დაიწყო, როდესაც აფხაზეთში აბრებიდან ქართული წარწერების გაქრობა დავუშვით. ჩვენ საკუთარ თავთან ომში დავმარცხდით, ჩვენ

დავმარცხდით მაშინ, როდესაც ვერ ვიქართველეთ, როდესაც წერეთლები, ჭავჭავაძეები, ერისთავები, თაყაიშვილები, მასხარაშვილები, ლალიძეები, მხეიძეები აფხაზებად იწერებოდნენ, მათ შორის შენი და ჩემი გვარისანი პრივილეგიებისა თუ სხვა „სიკეთეების" მისაღებად და საკუთარი ეროვნების გასხვისების მასშტაბები ბოლო ხანებში იქამდე მივიდა, რომ აფხაზთა 60%-ს გვარგადაკეთებული ქართველები შეადგენდნენ. განა ეს არ არის კაზანტიპი, როდესაც საკუთარ სამშობლოს ჰყიდი?! როდესაც საკუთარ ისტორიას და ღირსებას ჰყიდი?!

სწორედ ეს თქვა ლევან ვასაძემ ფრაზაში: „მე მიმაჩნია, კაზანტიპად რომ გადავაქციეთ აფხაზეთი 80-იან წლებში, იმიტომ დავკარგეთ". ისტორია მეორდება და დღეს დავთმეთ კანონი, ხვალ ამ ფესტივალსაც დავთმობთ, შემდეგ რუსთაველის გამზირს და ასე თანმიმდევრულად სრულიად საქართველო თავისი ძირძველი კუთხის აფხაზეთის ტრაგიკულ ბედს გაიზიარებს.

"მე მიმაჩნია, რომ კაზანტიპად რომ გადავაქციეთ აფხაზეთი 80-იან წლებში, იმიტომ დავკარგეთ", — ამბობს ლევან ვასაძე და ეს არის მწარე სიმართლე მამულიშვილისა, რომელსაც მართლა შესტკივა გული თავის ქვეყანაზე და უსუსურია, ჩემო ახალგაზრდა პატრიოტო, მანაგაძე შენი მცდელობა საპირისპიროში დაარწმუნო საზოგადოების გონიერი ნაწილი, რომელიც მთქმელს თავის სათქმელში სწორად მიუხვდა.

როდესაც სიმართლე გულზე გხვდება და გაბრაზებს, ხოლო პირდაპირ, დაუფარავ ღალატზე დუმხარ, ჩემო გაგრელო პატრიოტო, თავისდაუნებურად კითხვა მიჩნდება, ჩვენ, ქართულ საზოგადოებას, შენი საპასუხო წერილის წამკითხველთ, შეკვეთილ პროვოკაციასთან ხომ არ გვაქვს საქმე?! შენი აღშფოთება, გულის ტკივილი და გაბრაზება იაფფასიანი პოპულისტური სვლა ხომ არ არის, გამიზნული მართალი კაცის დისკრედიტაციისთვის, და აქ გაგრისა და აფხაზეთის სიყვარული არაფერ შუაშია?!

გულზე მჯიღის დარტმით რომ ითხოვ ბოდიშის მოხდას, რისთვის უნდა მოგიხადოს ბოდიში? სიმართლისათვის? იქნებ ბოდიში შენ გაქვს მოსახდელი, იმისათვის, რომ შეკვეთა ასე უნიჭოდ შეასრულე?! სხვისი დისკრედიტაციის ნაცვლად საკუთარი თავის ლუსტრირება რომ გამოგივიდა. ეტყობა, მსგავსს ავანტიურაში გამოუცდელი ხარ ჯერ. იქნებ ბოდიში მოიხადო გარეწარი სახელმწიფო მინისტრის დანაშაულებრივ ქმედებებზე რომ დუმხარ და ამ დუმილის გამო ძალაუნებურად მისი ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის თანამონაწილე რომ ხდები?!

თუმცა, შეცდომების გამოსწორებას წინ არაფერი უდგას, კარგი საქმის დაწყება არასოდეს არ არის გვიან, ხოდა არც ახლაა გვიან, ჩემო ახალგაზრდა გაგრელო, ზაქარეიშვილებს, არეშიძეებს და მათ მსგავს დანარჩენ მსუბუქი ყოფაქცევის კაცებს გაუბრაზდე, რადგან რაც უფრო მეტნი გავბრაზდებით, მით უფრო ნაკლებნი იქნებიან ნაძირალები!

**ზურაბ ჩიქოვანი**
**საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენოსანი, ღირსების ორდენის კავალერი, ექიმი, ოჩამჩირელი**
**მობ: 599 568778**



გვინდა გიორგი წიქარაძეზე მოგითხროთ. იგი ფლორიდის NORTH BROWARD PREPARATORY SCHOOL-ის წარმატებული მოსწავლეა. გიორგი თბილისს ხშირად სტუმრობს. ზაფხულობით, არდადეგების პერიოდში მოსკოვში სანოტარო კანტორაში მუშაობს. თბილისში სტუმრობისას ეკლესიის უპოვარ მრევლს რამდენჯერმე ფულადი თანხითაც დაეხმარა. სანოტარო კანტორაში მუშაობისას აღებული ჰონორარით წლეულს ქალაქის პარკისთვის ნერგები შეიძინა. გიორგიმ და მისმა მეგობრებმა ნერგები ქალაქის გამწვანებისთვის საკუთარი ხელით დარგეს თბილისის სკვერში. გიორგი წიქარაძე ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაბარებას აპირებს, მას სწავლის დამთავრების შემდეგ კატეგორიულად აქვს გადაწყვეტილი თბილისში დაბრუნება და აქ მუშაობა.

გიორგი წიქარაძის მსგავსი ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღის გარანტიაა.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ახალგაზრდები!


ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001




ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი კოლეგა, ულამაზესი და უკეთილშობილესი ადამიანი, ჟურნალისტი

თეა ასათიანი

გულწრფელად თანავუგრძნობთ მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

„საერთო გაზეთის“
რედაქცია

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**— რამდენხანს ითვლება პირი ნასამართლევად და როდიდან ხდება ნასამართლობის მოხსნა ან გაქარწყლება?**

— აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ პასუხს გაგცემთ სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

* * *

**— განვქორწინდი მეუღლესთან. გვყავს არასრულწლოვანი შვილები. როგორ მოხდება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201 -ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

* * *

**—გარდაიცვალა მამაჩემი.კანონისმიერი მემკვიდრეები ვართ დედა, მე და ორი და.რა ვადაში უნდა შევიტანოთ განცხადება სამკვიდროს გაყოფის შესახებ?**

—პირის გარდაცვალების მომენტიდან, 6 თვის განმავლობაში, უნდა შეიტანოთ განცხადება ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების შესახებ.

* * *

**—-ჩემი რძალი აპირებს ჩემს შვილთან განქორწინებას. მან უკვე წაიყვანა ბავშვი. შესაძლოა, მან მოითხოვოს წილი. ჩემი შვილის სახელზე არაფერი ირიცხება. გვაქვს ბინა, რომელიც ჩემს საკუთრებაშია. ეკუთვნის თუ არა წილი ჩემს რძალს?**

-როგორც ჩვენი პირადი სატელეფონო საუბრიდან გავიგე, თქვენს რძალს და შვილს ერთად ცხოვრების პერიოდში არ აქვთ შეძენილი საერთო ქონება, შესაბამისად, განქორწინების დროს მათ შორის ქონების გაყოფა ვერ მოხდება. თქვენს სახელზე რიცხული ქონება თქვენი საკუთრებაა.

## კოფეინი მხედველობას აუმჯობესებს

ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კოფეინის ხშირი ხმარება ხელს უწყობს თვალებში ცრემლის გამომუშავების პროცესს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს „მშრალი თვალის“ სინდრომის მკურნალობას.



„მშრალი თვალის“ სინდრომი იწვევს გულძმარვას, გულისრევას, პირის სიმშრალეს. კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც იღებდნენ კოფეინს. ვინც კოფეინს სვამდა, ანუ „მშრალი თვალის“ სინდრომით დაავადებულთა 17 პროცენტი, უკეთესად გრძნობდნენ თავს.

## წითელი ღვინო ცელულიტებს შლის



მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წითელ ღვინოში, ყურძენში და ზოგიერთ სხვა ხილში ისეთი ნივთიერებებია, რომელიც სიმსუქნეს პირდაპირ ებრძვის.

წითელ ღვინოში არის ისეთი ნივთიერება, სახელად პაისიტანოლი, რომელიც ზემოქმედებს ცხიმის უჯრედებზე და აფერხებს მათ განვითარებას. უფრო მეტიც, ეს ნივთიერება პირდაპირ უშლის ხელს გულის დაავადებებს, კიბოს განვითარებას, ნეიროდეგენერაციულ დაავადებებს.

წითელი ღვინო ითვლება დადებითად მოქმედ ნივთიერებად ადამიანის ორგანიზმზე. ქალებს, ვისაც მკერდის კიბოს საშიშროება აქვთ, რეკომენდებულია ყოველდღე მიიღონ ამ ნაყენის მცირე დოზა.



**საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ 2014 წლის 6 სექტემბერს, 5 საათზე, ვერის ბაღში, ჭადრაკის სასახლეში აწყობს ფართომასშტაბიან შეკრებას.**

**მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ კარს უღებს საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა — ვინც ეწინააღმდეგება ანტიდისკრიმინაციულ კანონს, მომხრეა ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის — პატივს სცემს ქართულ წესსა და ადათს, ტრადიციულ ღირებულებებს, სურს ქვეყანაში არსებული ხელისუფლება და საკანონმდებლო ორგანო, ყველა საჭირბოროტო საკითხს წყვეტდეს სახელმწიფოებრივი მიდგომით და არა მხოლოდ უცხო ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით.**

**ნუ შეგვეშინდება ქართველობის!**

**შემოგვიერთდით!**

**დასწრება თავისუფალია.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა**
**„ახალი რეალობისთვის“თავმჯდომარე:**
**მერაბ შათირიშვილი**
**საინიციატივო ჯგუფი**

## ჩეხეთში ცხოვრობს უნიკალური ადამიანი, რომელსაც გულის მაგივრად ბატარეა უდევს



ადამიანი, რომელსაც ხელოვნური გული აქვს, ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. უნდა ითქვას, რომ მას, ფაქტობრივად, არ აქვს გული. ოთხი თვის წინ ადგილობრივმა ექიმებმა მას გული ამოუღეს, რადგან ამ ორგანოზე კიბოს მძიმე ფორმა ჰქონდა ჩამოყალიბებული. სიმსივნე ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ აუცილებელი იყო მისი სასწრაფოდ ამოღება. ნამდვილი გულის მაგივრად მას ხელოვნური აპარატი ჩაუდგეს, რომელიც ბატარეებზე მუშაობს. იგი შინაგანი მექანიზმით შეერთებულია სპეციალური გადამყვანი მავთულებით. 37 წლის იაკობ ხალიკმა ოპერაცია კარგად გადაიტანა.

## ასი წლის მძღოლმა 11 ფეხით მოსიარულე დააშავა



29 აგვისტოს პრესტონ კარტერმა საჭე ველარ დაიმორჩილა, ტროტუარზე გადავიდა და 11 ადამიანი დააშავა. მათ შორის 10 ბავშვია. შემთხვევა სკოლის სიახლოვეს მოხდა. მედიკოსების თქმით, 4 დაზარალებულის მდგომარეობა კრიტიკულია. საუკუნეს მიტანებული კარტერი დღეს ნებაყოფლობით თანამშრომლობს გამოძიებასთან.

## დიდხანს ძილი საფრთხის შემცველია



ზედმეტი წონისგან რომ თავი დაიცვათ, დღეში 9 საათზე მეტი არ უნდა იძინოთ, — გვირჩევენ ვაშინგტონელი მეცნიერები.

როგორც ცხადი გახდა, ზედმეტი ძილი ზედმეტ წონას წარმოშობს.

ჩაატარეს ცდა, რომლის მიხედვით, ცდისპირთა ნაწილს 7 საათი ეძინა, ნაწილს — 9 საათი და მეტი. აღმოჩნდა, რომ 9 საათზე მეტ ხანს ძილი ორგანიზმში ჭარბ წონას წარმოქმნის.

**მოამზადა ანა მგელაძემ**


ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001


## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – ფუჭი ემოციები შეგაწუხებთ. თავი ხელში აიყვანეთ. თუ წინა კვირაში თქვენთვის სასიკეთო პირობები კარგად გამოიყენეთ, ახლა საუკეთესო დროა ადამიანებთან საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად.


**კურო** – უნდა გადაჭრათ ის პრობლემები, რომლებიც თქვენს წინაშე დააყენეს უფროსობამ. ფრთხილად იყავით გადაწყვეტილების მიღებისას. შვებას სიყვარულში მობებნით.


**ტყუპები** – წარუმატებლობის შემდეგ გამარჯვება გელით. უკვე მხრებში იშლებით. მთელი ძალით შეგიძლიათ იგრძნოთ თავი საჭირო ადამიანად. წარმატება უსათუოდ გაგახარებთ. მხოლოდ მართომ განსაჯეთ და გააანალიზეთ მომხდარი მოვლენები.


**კირჩხიბი** – ნელ-ნელა საქმიანი აქტიურობა იკლებს. ყველა პროექტი წარმატებული არ იქნება. მაქსიმალურად, ინტენსიურად შეეცადეთ თქვენი იდეების განხორციელებას. ამ დროს დაიწყებთ პერსპექტიულ, საქმიან ურთიერთობებს, რომელთა დადებითი შედეგები მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს თქვენს კარიერაზე.


**ლომი** – კოლეგები სიმართლეში რომ დაარწმუნოთ, გამოიჩინეთ გონიერება. დროა, შეეგუოთ წყნარ ცხოვრებას. ბობოქარი პერიოდი დამთავრდა.


**ქალწული** – გამოიჩინეთ გამძლეობა და მოთმინება. შეეცადეთ ამ კვირაში დაისვენოთ ქალაქგარეთ, ან გაისეირნოთ ბუნებაში.


**სასწორი** – თუ ნოსტალგიამ შეგაწუხათ, მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. გახსოვდეთ ახლა წარმატების დროა. თუ საკუთარ თავში ჩაიხედავთ, მრავალ კითხვაზე შეძლებთ პასუხის გაცემას.


**მორიელი** – შეეცადეთ, არ გაერფთოთ უსარგებლო პროექტებით. უსახსოვრეთ ნივთი საკუთარ თავს, შემატეთ რამე თქვენს გარდეროზს ან შეიძინეთ აქსესუარი.


**მშვილდოსანი** – მგზავრობისა და პარტნიორთან საკითხების გადაწყვეტის პერიდი დგება. მოაგვარეთ მატერიალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საბუთების გაფორმება. არ შეგეშინდეთ მოსალოდნელი უსიამოვნო საუბრის. მოერიდეთ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას.


**თხის რქა** – მოსალოდნელია სარგებლიანი შეთანხმებები და შემოსავალი. მოსალოდნელია წარმატებები სასიყვარულო საქმეებსა და კარიერაშიც. იგრძნობთ ენერგიის მოზღვავებას. მოგეცემათ საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოთ საკუთარი ინტელექტი.


**მერწყული** – გაერთობით, გექნებათ თავგადასავლები და სასიყვარულო საქმეები. გახსოვდეთ, თქვენ გაქვთ უნარი, ყველაზე გართულებული და დაძაბული მდგომარეობიდანაც კი იპოვოთ გამოსავალი.


**თევზები** – თუ თვითგვემას თავს დაანებებთ, პირად ცხოვრებაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწევთ. ბევრ საკითხს თქვენ სასარგებლოდ გადაწყვეტენ. თქვენს პარტნიორთან რომანტიკული ურთიერთობა სულიერ კომფორტს შეგიქმნით.

ISSN 2233-3983